ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და დაგეგმვის ცენტრი

CENN
Shaping the Future by Changing Today

ქედის მუნიციპალიტეტის საჭიროებების და რესურსების კვლევა

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

2018
თბილისი

სარჩევი

შესავალი 3

სამაგიდო კვლევის ანგარიში 5

I. შესავალი 7

II. ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული პროფილი 8

III. ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული პროფილი 10

1. მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე 10

2. მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით 11

3. ქედის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით 14

IV. ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი 14

1. შრომისუნარიანი მოსახლეობა და პენსიის მიმღებთა რაოდენობა 14

2. შემოსავლები და დასაქმება 15

3. სოციალური დახმარება და სოციალური მომსახურება 19

3.1 სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამები 19

3.2 აჭარის ა/რ მთავრობის მიზნობრივი სოციალური პროგრამები 23

3.3 ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სოციალური პროგრამები 24

3.4 სხვა სოციალური მომსახურება 25

V. ბიბლიოგრაფია 26

VI. დანართები 29

რაოდენობრივი კვლევის ანგარიში 42

I. შესავალი 44

II. მეთოდოლოგია 45

III. რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები 45

IV. რესპონდენტთა ზოგადი განწყობები 47

1. დასაქმება და უმუშევრობა 48

2. ზოგადი მდგომარეობა სხვადასხვა თემის ჭრილში 50

V. ეკონომიკური უსაფრთხოება და საცხოვრებელი პირობები 52

1. ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა 52

2. საცხოვრებელი პირობები 61

3. დასკვნები 63

VI. განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა 64

1. ზოგადი მდგომარეობა 64

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 71

3. დასკვნები 73
VII. ინფრასტრუქტურული საჭიროებები 74
VIII. თვითმმართველობა და სამოქალაქო მონაწილეობა 80
1. ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობა 80
2. სამოქალაქო ჩართულობა 86
3. ინფორმაციის მიღების საშუალებები 88
4. გაერთიანებები ქედის მუნიციპალიტეტში 89
5. დასკვნები 94
IX. სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა 95
1. სოფლის მეურნეობა 95
2. სოფლის მეურნეობის როლი ქედის მუნიციპალიტეტში 96
3. დასკვნები 102
X. ინფორმაციის მიღების საშუალებები და კულტურა/გართობა 103
XI. ქალთა ჩართულობა 105
XII. დანართები 109
თვისებრივი კვლევის ანგარიში 114
I. შესავალი 116
II. მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა 117
1. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა და ეკონომიკური მდგომარეობა 117
2. სამედიცინო მომსახურებასა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობა 128
3. ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები და მოწყვლადი ჯგუფები 130
III. რაიონის ინფრასტრუქტურული საჭიროებები 134
IV. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული განვითარების ხარისხი 136
1. მოსახლეობის ინფორმირებულობა რაიონული და მუნიციპალური მთავრობების მუშაობის შესახებ 136
2. მოსახლეობის ინფორმირებულობა რაიონში მოქმედი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისა და შესახებ 137
V. ძირითადი დასკვნები 139
VI. ბიბლიოგრაფია 144
VII. დანართები 145

შესავალი

კვლევა ჩატარდა მკვლევართა ჯგუფის მიერ, პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით.

კვლევის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა. კვლევა ფოკუსირდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ინფრასტრუქტურა;
- თვითმმართველობა, არსებული ორგანიზაციები და სათემო ჯგუფები;
- ადგილობრივი ინტერესები და ინტერესთა ჯგუფები;

კვლევაში გამოყენებულ იქნა რამდენიმე მიდგომა:

- სამაგიდო კვლევა;
- რაოდენობრივი კვლევა: გამოკითხვა (ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებული)
- თვისებრივი კვლევის მეთოდები: ფოკუსჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუ;

ანგარიში მომზადებულია მკვლევართა გუნდის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ტატანაშვილი	გუნდის ხელმძღვანელი/სამაგიდო კვლევის ანგარიშის ავტორი
გიორგი შუბითიძე	რაოდენობრივი კვლევის ანგარიშის ავტორი
თამარ მახარაძე	თვისებრივი კვლევის ანგარიშის ავტორი
გიორგი ჟღენტი	კვლევის ასისტენტი

კვლევის ტექსტის კორექტორი დავით კუტუბიძე

სამაგიდო კვლევის ანგარიში

I. შესავალი

სამაგიდო კვლევა წარმოადგენს პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის ნაწილს. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით.

სამაგიდო კვლევის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა. კვლევა ფოკუსირდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- ქედის დემოგრაფიული მდგომარეობა - მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, მოსახლეობის განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით;
- ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი - შრომისუნარიანი მოსახლეობა, დასაქმების მაჩვენებლები და შესაძლებლობები, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სოციალური პროგრამები (ცენტრალური, აჭარის ა/რ-ის და მუნიციპალური).

სამაგიდო კვლევისთვის ინფორმაცია მოძიებული იქნა შემდეგი საშუალებებით (წყაროები მითითებულია ბიბლიოგრაფიაში):

- ინტერნეტით, სხვადასხვა ვებ–გვერდზე მოძიებული მასალა;
- სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა;
- სხვა ორგანიზაციებიდან ინფორმაციის გამოთხოვა.

ინტერნეტით მოძიებული ინფორმაციის გარდა, მიღებულ იქნა როგორც ნარატიული ანგარიშები ისე სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი. ანგარიშში (როგორც ნარატიულ ნაწილში ისე ცხრილებში) შესულია ამ დოკუმენტების და მონაცემების დამუშავების შედეგები.

II. ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული პროფილი

ქედის მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობს. მისი საერთო ფართობია 452 კმ^2. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის (38 კმ), დასავლეთით – ხელვაჩაურის (24 კმ), აღმოსავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტები (24 კმ) და სამხრეთით თურქეთის სახელმწიფო (17კმ) (ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, 2016).

ქედის ტერიტორია მთაგორიანია და მდებარეობს ზღვის დონიდან 200-400 მეტრზე (დაბა ქედა - ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზე); მდინარე აჭარისწყლის ხეობის ძირი ზღვის დონიდან 100-200 მ სიმაღლეზეა (სხვადასხვა წერტილში), (ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, 2016).

რუკა 1: ქედის მუნიციპალიტეტი



ცხრილი 1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიული დაყოფა

#	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები	
1	დაბა ქედა	1. დაბა ქედა 2. სოფელი ქედა 3. სოფელი გულები 4. სოფელი ხუნკუდა 5. სოფელი ორცვა 6. სოფელი არსენაული	7. სოფელი შევაბური 8. სოფელი ძენწმანი 9. სოფელი კორომხეთი 10. სოფელი ცხემნა 11. სოფელი აქუცა 12. სოფელი ზენდიდი
2	დანდალო	1. სოფელი დანდალო 2. სოფელი ტაკიძეები 3. სოფელი მოსიაშვილები 4. სოფელი გოგიაშვილები	5. სოფელი ბალაძეები 6. სოფელი ხარაულა 7. სოფელი ჯალაბაშვილები
3	ზვარე	1. სოფელი ზვარე 2. სოფელი ზესოფელი 3. სოფელი კვაშტა	4. სოფელი სირაბიძეები 5. სოფელი ვაიო.
4	მახუნცეთი	1. სოფელი ზედა მახუნცეთი 2. სოფელი ქვედა მახუნცეთი 3. სოფელი ზუნდაგა 4. სოფელი ზედა ბზუბზუ 5. სოფელი ქვედა ბზუბზუ 6. სოფელი უჩხითი	7. სოფელი ნამლისევი 8. სოფელი ქოსოფელი 9. სოფელი მილისი
5	დოლოგანი	1. დოლოგანი 2. ჭალახმელა	3. ჭინკაძეები
6	მერისი	1. სოფელი მერისი 2. სოფელი სიხალიძეები 3. სოფელი ინაშარიძეები 4. სოფელი გარეტყე	5. სოფელი გუნდაური 6. სოფელი ნამონასტრევი 7. სოფელი სილიბაური.
7	ოქტომბერი	1. სოფელი ოქტომბერი 2. სოფელი კუჭულა 3. სოფელი მეძიბნა	4. სოფელი აგოთა 5. სოფელი გოგინიძეები.
8	პირველი მაისი	1. სოფელი პირველი მაისი 2. სოფელი ზედა აგარა	3. სოფელი ქვედა აგარა 4. სოფელი კოლოტაური
9	ცხმორისი	1. სოფელი ცხმორისი 2. სოფელი ახო 3. სოფელი ჩეტკიძეები	4. სოფელი გობრონეთი 5. სოფელი კოკოტაური 6. სოფელი გეგელიძეები
10	წონიარისი	1. სოფელი წონიარისი 2. სოფელი ვარჯანისი 3. სოფელი ტიბეთა 4. სოფელი კანტაური	5. სოფელი აბუქეთა 6. სოფელი სასადილოყელი 7. სოფელი საბადური
სულ		**65 დასახლება** [1]	

[1] ცხრილში მოყვანილი მონაცემები აღებულია ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ- გვერდიდან (http://keda.ge/ge/about-keda/territorial-division)

III. ქედის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული პროფილი

1. მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

2018 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ქედის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 16824. აღსანიშნავია, რომ 1994 წლიდან (მოსახლეობის რაოდენობა 24.8 ათასი) 2012 წლამდე (მოსახლეობის რაოდენობა 16632), მოსახლეობის რაოდენობის შემცირება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობდა. 2012 წლიდან 2018 წლამდე კი მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტში 1.1%-ით გაიზარდა (16632-დან 16824-მდე) (იხ: დიაგრამა 1. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018).

დიაგრამა 1. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით



მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე (452 კმ^2) 1 კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 37 ადამიანია. შედარებისთვის, აჭარაში ეს ციფრი 119-ია, თბილისში 2308[2], ქალაქ ბათუმში 2526 მოსახლე 1 კმ^2-ზე[3].

2014 წლის აღწერის მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 91% ცხოვრობს სასოფლო, ხოლო 9% ქალაქის ტიპის დასახლებაში.

განსხვავებულია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თემების განაწილება. 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ქედის მუნიციპალიტეტის ერთ თემში

[2] 1158677 მოსახლე 502 კმ^2-ზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, 2018)
[3] 163440 მოსახლე 64.7 კმ^2-ზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)

მოსახლეობის რაოდენობა 1000-ზე ნაკლებია[4], ექვს თემში 1000-დან 2000-მდე, ხოლო ორში 2000-ზე მეტი. დაბა ქედაში მოსახლეობის რაოდენობა კი 1510-ია (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართები

დანართი 1. მოსახლეობის რაოდენობა ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2014 წ.)) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების რაოდენობა 2014 წლის აღწერის მიხედვით იყო 3 815. აქედან დაახლოებით 698 ოჯახია ერთ ან ორწევრიანი, 3 117 ოჯახში 2-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის 88-ში 9 და მეტი (დეტალურად იხ. ცხრილი 2. ქედის მუნიციპალიტეტში კერძო შინამეურნეობების რაოდენობა მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით)).

ცხრილი 2. ქედის მუნიციპალიტეტში კერძო შინამეურნეობების რაოდენობა მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით)

	კერძო შინამეურნეობების რაოდენობა
სულ	**3,815**
მცხოვრებთა რიცხვი:	
1	289
2	409
3	587
4	729
5	685
6	615
7	305
8	108
9	52
10 და მეტი	36

2. მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, ქედის მუნიციპალიტეტში 49.8% ქალია ხოლო 50.2% მამაკაცი. ამავე მონაცემების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში მამაკაცთა პროცენტული წილი მერყეობს 44%-დან 57%-მდე, ხოლო ქალთა პროცენტული წილი კი 43%-დან 56%-მდე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014).

[4] 2014 წელს, როდესაც ეს მონაცემები შეგროვდა, დოლოგანის თემი და მასში შესული ტერიტორიული ერთეულები გაერთიანებული იყო მახუნცეთის თემის ფარგლებში.

შედარებისთვის მოგვყავს აჭარის ა/რ მოსახლეობის პირამიდა (2014 წ) და ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პირამიდა 2002 წლის და 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით.

როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს (დიაგრამა 2. აჭარის ა/რ მოსახლეობის პირამიდა 2014 წლის მდგომარეობით



), აჭარის მთლიანი მოსახლეობის ორი ყველაზე დიდი ასაკობრივი ჯგუფი არის 20-დან 30 წლამდე (ყველაზე დიდი წილით 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) ასაკის ახალგაზრდები. ხოლო ქედის მუნიციპალიტეტში კი 2002 წელს იყო 10-დან 19 წლამდე (ყველაზე დიდი წილით 10-14 წლის ასაკობრივი ჯგუფი) მოზარდები, 2014 წელს კი 15-დან 29 წლამდე (ყველაზე დიდი წილით 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი).

მიუხედავად ბოლო წლებში მატების ტენდენციისა, მოსახლეობის რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტში 2002 წლიდან 2014 წლამდე შემცირებულია 16.3%-ით (20024-დან 16760-მდე[5]).

[5] დიაგრამა 1. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით მოცემული რიცხვი არის წლის პირველი იანვრის მონაცემი, შესაბამისად მცირედ განსხვავებულია 2014 წლის საყოველთაო აღწერის შესაბამისი რიცხვისგან.

დიაგრამა 2. აჭარის ა/რ მოსახლეობის პირამიდა 2014 წლის მდგომარეობით



აღსანიშნავია, რომ თითქმის განახევრებულია 5-9 და 10-14 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა (5-დან 9 წლამდე ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია 42.93%-ით /1733-დან 989-მდე/ და 10-14 წლამდე ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია 45.46%-ით /1938-დან 1057-მდე/)[6].

გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში (უფრო ხანდაზმულ მოსახლეობაში), შეიმჩნევა მნიშვნელოვანი მატების ტენდენცია. კერძოდ 75-79 წლის ასაკის მოსახლეობა მომატებულია 55.84%-ით (394-დან 614-მდე), ხოლო 80-84 წლის მოსახლეობა კი 65.02%-ით (203-დან 335-მდე).

[6] დეტალური ინფორმაცია იხ.დანართი 2. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (2002 წ.) და დანართი 3. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით (2014 წ.).

დიაგრამა 3. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით 2002 და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით



3. ქედის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერას, აღმსარებლობის ნიშნით ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შემდეგნაირად არის გადანაწილებული: მოსახლეობის უმრავლესობა (62.12%) მუსლიმური აღმსარებლობისაა, რაოდენობით შემდეგი რელიგია მართლმადიდებლურია (31.23%), კათოლიკურის და იეჰოვას მოწმეების რაოდენობა კი თითოეულის 10 ადამიანზე ნაკლებია. არსებული მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არ არიან სომხური სამოციქულო ეკლესიის, იეზიდური და იუდეური რელიგიის წარმომადგენლები. მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებსაც არ მიუთითა აღმსარებლობა, უარი თქვა პასუხზე, მონშნა „არცერთი“, ან მიეკუთვნებიან სხვა მცირერიცხოვან კონფესიებს, გაერთიანებულია ჯგუფში „სხვა“ (6.75%)დიაგრამა 4. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წ.) (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2017).

დიაგრამა 4. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წ.)



IV. ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

1. შრომისუნარიანი მოსახლეობა და პენსიის მიმღებთა რაოდენობა

სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ–გვერდის მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში ქედის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღებთა რაოდენობაა 2909 (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017), რაც მოსახლეობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს. 2909 პენსიის მიმღებთაგან 1018 კაცია, ხოლო 1891 ქალი. სახელმწიფო პენსიის გარდა, მაღალმთიან რეგიონში სახელმწიფო პენსიის დანამატი აიღო 2809 ადამიანმა (990 მამაკაცი და 1801 ქალი). დევნილის სტატუსის მქონე პენსიის მიმღები ქედის მუნიციპალიტეტში არ აღირიცხება (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

2016 წლის მონაცემებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 2 მილიონამდეა (1998300), რაც მოსახლეობის 54%-ს შეადგენს. აჭარაში კი ეს მაჩვენებელია 189400, რაც მოსახლეობის 56 პროცენტია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

2. შემოსავლები და დასაქმება

2016 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის საშუალო ყოველთვიური ფულადი და არაფულადი შემოსავალი ოჯახზე შეადგენდა 992.6, ხოლო ერთ ადამიანზე – 238.8 ლარს. ყოველთვიური სამომხმარებლო ხარჯები კი ოჯახზე 755.7, ერთ ადამიანზე – 181.8 ლარს. ოჯახების

ხარჯის დიდი ნაწილი მოდის სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, კომუნალურ გადასახადებზე და სამედიცინო საჭიროებებზე[7] (იხ. ცხრილი 3. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2016 წელი და ცხრილი 4. მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2016 წელი)

ცხრილი 3. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2016 წელი

	ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	ერთ სულზე (ლარი)
1. შემოსავლები, სულ (2+3)	992.6	238.8
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები	911.9	219.4
დაქირავებული შრომიდან	427.5	102.9
თვითდასაქმებიდან	124.8	30.0
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	43.9	10.6
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	46.2	11.1
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	151.7	36.5
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	52.4	12.6
საჩუქრად მიღებული ფული	65.3	15.7
3. არაფულადი შემოსავლები	80.7	19.4
4. სხვა ფულადი სახსრები	102.8	24.7
ქონების გაყიდვა	8.5	2.0
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	94.3	22.7
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	1014.7	244.1
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	1095.4	263.6

ცხრილი 4. მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2016 წელი

	ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	ერთ სულზე (ლარი)
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)	755.7	181.8
2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	675.0	162.4
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	228.1	54.9
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	31.3	7.5
საოჯახო მოხმარების საქონელზე	30.3	7.3
ჯანმრთელობის დაცვაზე	94.5	22.7
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	114.1	27.5
ტრანსპორტზე	56.5	13.6
განათლებაზე	22.6	5.4
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	97.6	23.5
3. არაფულადი ხარჯები	80.7	19.4

[7] ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესახებ მსგავსი მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ აქვს.

4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	297.7	71.6
სასოფლო–სამეურნეო ხარჯები	13.8	3.3
ტრანსფერებზე	40.8	9.8
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	229.6	55.3
ქონების შეძენაზე	13.4	3.2
5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)	972.7	234.0
6. ხარჯები, სულ (3+5)	1053.4	253.5

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 88.2% დასაქმებულია. ეს მაჩვენებელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეადგენს 87%-ს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმებულთა 46% მუშაობს, როგორც დაქირავებული თანამშრომელი (75 221/164 871), 54% კი თვითდასაქმებულია (89 650/164 871) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

საქართველოს მასშტაბით დასაქმებულთა 14.9% მუშაობს სახელმწიფო სექტორში, ხოლო 85.1% კი არასახელმწიფოში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

იმისათვის, რომ შევაფასოთ დასაქმების ბაზარი ქედაში, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ გადასახადის გადამხდელი სუბიექტების რაოდენობა და მათი განაწილება წლიური შემოსავლების მიხედვით. ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან. მოწოდებული მონაცემები ეყრდნობა 2016 წლის საშემოსავლო და მოგების გადასახადების წლიურ დეკლარაციებს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ ქედაში ძირითადად განვითარებულია მეწარმეობა, რომლის წლიური შემოსავალი 100 000-ზე ნაკლებია (565 სუბიექტი); 20 სუბიექტის წლიური შემოსავალი ექცევა 100 ათასიდან 200 000 ლარის დიაპაზონში, ხოლო 34 სუბიექტის წლიური შემოსავალი აჭარბებს 200 000 ლარს (იხ. ცხრილი 5. ქედის მუნიციპალიტეტში სტატუსით "აქტიური" რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა (2016 წლის მონაცემებით))

ცხრილი 5. ქედის მუნიციპალიტეტში სტატუსით "აქტიური" რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა (2016 წლის მონაცემებით)

დიაპაზონი	ფიზიკური პირი	ინდ. მეწარმე	კოოპერატივი	შ.პ.ს	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
n<100000	89	350	6	98	22
100000≤n≥200000	1	9		10	

n>200000		9		25	

აღსანიშნავია, რომ გადამხდელის იურიდიული რეგისტრაციის ადგილს შესაძლოა წარმოადგენდეს რომელიმე ტერიტორიული ერთეული, თუმცა საქმიანობას ეწეოდეს სხვა ტერიტორიულ ერთეულზე. ანუ შესაძლოა რომელიმე გადამხდელი რეგისტრირებული იყოს ქედაში და სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს სხვა მუნიციპალიტეტში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ასევე მოგვაწოდა ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ და მოქმედ საწარმოთა რაოდენობების შესახებ, მათი სამართლებრივი ფორმის მიხედვით. 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქედაში დარეგისტრირებულია სულ 1579 საწარმო, მათ შორის მოქმედია 459. მოქმედი საწარმოებიდან 306 ინდ. მეწარმეა, 149 – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 3 – კოოპერატივი და 1 – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (იხ. ცხრილი 6: ქედის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ საწარმოთა და არასამეწარმეო ორგანიზაციების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით (2018 წლის, 1 იანვრის მდგომარეობით)).

ქედის მუნიციპალიტეტში ასევე რეგისტრირებულია 41 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთაგან აქტიური სტატუსი აქვს 7 ორგანიზაციას.[8] (ასევე იხ. დანართი 9. ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი გადასახადის გადამხდელების/ორგანიზაციების აღწერილობა და რაოდენობები, სამართლებრივი ფორმის და თემების მიხედვით (2017 წლის მდგომარეობით)).

ცხრილი 6: ქედის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ საწარმოთა და არასამეწარმეო ორგანიზაციების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით (2018 წლის, 1 იანვრის მდგომარეობით)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სულ	მ.შ. აქტიური
სულ სამეწარმეო	**1579**	**459**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	412	149
სააქციო საზოგადოება	1	
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	9	1
კომანდიტური საზოგადოება	-	-
კოოპერატივი	45	3
ინდივიდუალური მეწარმე	1112	306

[8] ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ორგანიზაციების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: https://www.companyinfo.ge/.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	41	7

ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ცხრილის მიხედვით დგინდება, რომ 2014-2016 წლების მანძილზე, ბიზნეს–სექტორი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით განვითარების დადებით ტენდენციას ინარჩუნებს. 2014 წლიდან 2016 წლამდე ქედის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში წლიური ბრუნვა გაორმაგებული, ხოლო პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი გასამმაგებულია. თითქმის გაორმაგდა დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაც. მზარდი ტენდენციაა ასევე სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასში (იხ. ცხრილი 7. ქედის მუნიციპალიტეტის ბიზნეს–სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2014-2016 წლები)

ცხრილი 7. ქედის მუნიციპალიტეტის ბიზნეს–სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2014-2016 წლები

მაჩვენებლის დასახელება	წელი		
	2014	2015	2016
ბრუნვა, მლნ.ლარი	13.2	17.3	25.7
პროდუქციის გამოშვება, მლნ.ლარი	7.6	14.5	22.1
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა, ერთეული	292	494	561
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	318.2	377.9	424.0

ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალო ნომინალური ხელფასი საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად იზრდება და 2016 წელს 940 ლარი შეადგინა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). შესაბამისად, მიუხედავად მზარდი ტენდენციისა, ქედაში მოქმედი ბიზნეს–სექტორის მიერ გაცემული საშუალო ანაზღაურება (2016 წელს) ქვეყნის საშუალო ხელფასის მხოლოდ ნახევარს შეადგენს. სხვა ფაქტორებთან ერთად ეს გარემოებაც უწყობს ხელს მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების შრომით მიგრაციას.

ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნევა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: „ქედაში ხშირად სტუმრობენ მახუნცეთის ჩანჩქერს, სადაც განლაგებულია რესტორნის ტიპის კვების ობიექტები და ასევე საპიკნიკე ადგილები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აჭარისწყლისა და მთის მდინარეების ხეობებში შესაძლებელია როგორც ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი ნიმუშების, ასევე ჩანჩქერების მონახულება. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. რეგიონი

მდიდარია სამკურნალო და მინერალური წყლებით“ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2018). ვინაიდან ქედის მუნიციპალიტეტი ბათუმიდან 1 საათის სავალზეა (45-55კმ) და ხულოსკენ მიმავალ ტურისტებს უწევთ მისი გავლა, გარდა სასტუმროების ბიზნესისა, შესაძლებელია პერსპექტიული იყოს ტურისტების მოზიდვა სხვა პროდუქტებით და მომსახურებით (მაგ. კაფე-ბარები, ე.წ. სწრაფი კვების ობიექტები /მგზავრებისთვის/, ტურისტული მარშრუტები მთაში/ჩანჩქერებთან და ა.შ.). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკის თანახმად, წლიდან წლამდე აღირიცხება ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ტურისტების რაოდენობამ, რომლებიც ღამისთევით განთავსდნენ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე არსებულ რეგისტრირებულ სასტუმროებში (მ. შ. ოჯახურ სასტუმროებში), 2016 წელს თითქმის გაორმაგდა და 871455-ს მიაღწია, მაშინ როდესაც 2015 წელს ეს რიცხვი 443667 იყო (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2016). 2016 წელს ჩამოსული უცხოელების დიდი ნაწილი რუსულ, თურქულ და ინგლისურენოვან ტურისტებზე მოდის.

3. სოციალური დახმარება და სოციალური მომსახურება

3.1 სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამები

სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს ათეულობით სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტოს აქვს მრავალმილიონიანი ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრულია მომსახურების/დახმარების საჭიროების მქონე ადამიანების (ბენეფიციარების) სოციალური განაცემების, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებით უზრუნველსაყოფად. სააგენტო მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შშმ სტატუსის მქონე პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და ა.შ (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2013).

მუნიციპალიტეტებში, მათ შორის ქედაში, ფუნქციონირებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი წარმომადგენლობები, რომლებიც სააგენტოს პროგრამებით უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საქართველოში სოციალური დახმარება რეაქტიულია, რაც გულისხმობს იმას, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა თვითონ უნდა მიმართოს სხვადასხვა სამსახურს დახმარების თხოვნით. სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამების დიდი ნაწილი, მიმართულია სოციალურად დაუცველი ფენების ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ზოგადად ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის/უზრუნველყოფის სისტემაში შეიმჩნევა ოჯახების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების დეფიციტი, რაც ბენეფიციარ ოჯახებს ხშირად სოციალური დახმარების სისტემაზე დამოკიდებულს ხდის.

ფულადი სოციალური დახმარების, ე.წ. საარსებო შემწეობის მიღება დამოკიდებულია ოჯახის სარეიტინგო ქულაზე, რომელიც ანგარიშდება სხვადასხვა ცვლადის გათვალისწინებით, ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიკაციის მიზნით. დახმარების ოდენობა დამოკიდებულია შეფასების ინსტრუმენტით მიღებულ ე.წ. ოჯახის სარეიტინგო ქულაზე, რომელიც 2015 წლის პირველი მაისიდან ახალი წესით ანგარიშდება და ხუთ სხვადასხვა ინტერვალს მოიცავს.

ცხრილი 8. ფულადი სოციალური დახმარება სარეიტინგო ქულების მიხედვით 01.05.2015-დან

სარეიტინგო ქულა	ოჯახის ყველა წევრზე (ლარი/თვე)
30001	60
30001 – 57000	50
57001 – 60000	40
60001 – 65000	30
65001 – 10000	10 ლარი ოჯახის თითო 16 წლამდე ასაკის წევრზე

ფულადი სოციალური დახმარების მიმღებთა შეფასებისა და დახმარების განაწილების წესი განსხვავებული იყო 2015 წლის პირველ მაისამდე. ძველი წესით დაანგარიშებული სარეიტინგო ქულის მიხედვით მიღებული დახმარებების მიმღებთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, რადგან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ხდება ოჯახების განმეორებითი შეფასება ახალი წესით. შესაძლო მაქსიმალური პერიოდი სარეიტინგო ქულის დაანგარიშებიდან ხელახალ დაანგარიშებამდე ოთხი წელია, შესაბამისად, 2019 წლის პირველ მაისამდე ყველა ბენეფიციარი ფულად სოციალურ დახმარებას მიიღებს ახალი წესით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით 2018 წლის აგვისტოში ქედის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა იყო 3870 მოსახლე (759 ოჯახი), რაც მოსახლეობის 22.9%-ს (ოჯახების 16.7%). საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების რაოდენობით ქედის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად აღემატება აჭარის ა/რ (10 %) და საქართველოს (11.1%) მაჩვენებლებს (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2018). უნდა აღინიშნოს რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 2017 წლის აგვისტოსთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია (2017 წლის აგვისტოში საარსებო შემწეობას იღებდა 4644 ადამიანი და 903 ოჯახი).

სოციალური პაკეტების მიღება შეუძლიათ რამდენიმე ჯგუფის წარმომადგენელ ადამიანებს, ესენია:

1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
2. მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
3. ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

4. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები;
5. ადამიანები, რომლებსაც მარჩენალი გარდაეცვალათ;
6. სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები ადამიანები;
7. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული ადამიანები.

ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეთავაზებული მხოლოდ ერთი სოციალური პაკეტით (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტებით სარგებლობს სულ 1157 ბენეფიციარი. მათ შორისაა სხვადასხვა ხარისხის შეზღუდვის მქონე 1011 პირი (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017), რაც მოსახლეობის დაახლოებით 6%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 9. სოციალური პაკეტების განაწილება ქედის მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა ჯგუფების მიხედვით - 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით). ეს ციფრი სხვა მუნიციპალიტეტების მაჩვენებელზე მაღალია. თუმცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გამოთვლებით, 6% მაინც დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევა, რადგან ქვეყნების უმეტესობაში შშმ პირების რაოდენობა მოსახლეობის საშუალოდ 10%-ს შეადგენს (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 616 კაცია, 541 ქალი. ბენეფიციართა ასაკობრივი ჯგუფების ანალიზის შედეგად კი ირკვევა, რომ მათგან ყველაზე მეტი 50-59 წლის ასაკის ჯგუფზე მოდის (406 ბენეფიციარი), რაოდენობით შემდეგია 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (253 ბენეფიციარი), შემდეგ კი 18-39 (209 ბენეფიციარი) (იხ. დანართი 8. ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტების მიმღებთა რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით). 1157 ბენეფიციარიდან 984-მა ასევე მიიღო დანამატი (საშუალოდ 23.5 ლარი) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის გათვალისწინებით (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

ცხრილი 9. სოციალური პაკეტების განაწილება ქედის მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა ჯგუფების მიხედვით - 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით

ბენეფიციართა ჯგუფი	რაოდენობა
წლამდე შშმ პირი	
მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	
მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	
ზომიერად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	
სულ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	
მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	
პოლიტ რეპრესირებულები	
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	
სხვა	
სულ	

სახელმწიფო კომპენსაციას, რომელიც არის დაწესებული ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემელი საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისთვის, იღებს ქედის მუნიციპალიტეტის 57 მოსახლე. აქედან 56 კაცია და ერთი ქალი. ბენეფიციართა უმეტესი ნაწილი 50-59 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი კაცია (25/57-დან), მათ უმრავლესობას (44/57-დან) კომპენსაცია დაენიშნა კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამოწურვის შემდეგ (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

სახელმწიფო სუბსიდიას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის 317 საპენსიო ასაკის მოსახლე. მათგან უმეტესობა (249/317-დან) იღებს თვეში 7 ლარს, ნაწილი (67/317-დან) 22 ლარს, ხოლო ერთი კი - 44 ლარს (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სერვისების მიმღებთა რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტში ძალიან მცირეა. მხოლოდ სამი ჯანმრთელი ბავშვია მინდობით აღზრდაში გადაცემული 2017 წლის ივლისის მდგომარეობით. მაშინ როცა ქვეყნის მასშტაბით ეს ციფრი საშუალოდ 24.5-ია თითო მუნიციპალიტეტზე (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

დევნილის/ლტოლვილის სტატუსის გამო ქედაში ორი ადამიანი იღებს თვეში 45 ლარს (2017 წლის დეკემბრის მონაცემები). ერთი 17 წლამდე კაცი, ერთი 60 წელზე მეტი ასაკის ქალი (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში საქართველოს შრომის კოდექსით და საჯარო სამსახურის შესახებ კანონებით განსაზღვრულია ერთჯერადი დახმარება. ამ დახმარებით 2017 წელს, მთელი წლის მანძილზე ისარგებლა სულ 53-მა ადამიანმა. ჯამში გაცემულმა თანხამ შეადგინა 51638 ლარი (საშუალოდ 974 ლარი/ბენეფიციარზე) (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017).

3.2 აჭარის ა/რ მთავრობის მიზნობრივი სოციალური პროგრამები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სოციალური პროგრამების ძირითადი მიმწოდებელი არის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სამინისტროს ფარგლებში მიმდინარეობს ოთხი ძირითადი მიმართულების პროგრამა:

- დასაქმების ხელშეწყობა;

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- სოციალური დაცვა;
- ჯანმრთელობის დაცვა.

დასაქმების ხელშეწყობაში, მოსახლეობის დასაქმების სხვა აქტივობებთან ერთად, ცალკეა გამოყოფილი შშმ პირების პროფესიული გადამზადება და დასაქმება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების პროგრამის მიზანია „მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა, ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია. პრიორიტეტული საკითხების ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმირება, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ჩართულობა;“ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017)

სოციალური დაცვის პროგრამაში შესულია შემდეგი პრიორიტეტები:

1. სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია;
2. მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
3. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით;
4. მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
5. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში კი შესულია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა:

- სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება;
- პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობ;ა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017).

აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წელს ქედის მუნიციპალიტეტიდან პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - 15 407 ბენეფიციარი[9];
2. სოციალური დაცვის პროგრამები - 91 ბენეფიციარი;
3. სტიქიით დაზარალებულთა პროგრამა - 29 ბენეფიციარი.

[9] შესაძლოა ერთი ბენეფიციარი იყოს ჩათვლილი იმდენჯერ, რამდენჯერაც ისარგებლა ამ პროგრამებით.

3.3 ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სოციალური პროგრამები

ქედის მუნიციპალიტეტი, მისი ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს (533 705 ლარი) ხარჯავს ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებში.

მუნიციპალიტეტში ბინადრობის უფლების მქონე მოსახლეობისთვის, 2018 წელს მოქმედებს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის შემდეგი პროგრამები:

ცხრილი 10. ქედის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ადგილობრივი პროგრამები

#	პროგრამის დასახელება	ბიუჯეტი (₾)
1.	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	25 185
2.	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების მიზნობრივი პროგრამა	1 900
3.	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	45 000
4.	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	21 000
5.	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	15 000
6.	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	9 500
7.	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა	30 000
8.	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა	140 100
9.	ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	24 800
10.	ამბულატორიული მომსახურების მიზნობრივი პროგრამა	105 000
11.	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	77 400
12.	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	29 120
13.	პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	9 700[10]
	სულ	533 705

3.4 სხვა სოციალური მომსახურება

ქედის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს რეგიონების სხვა მუნიციპალიტეტებში, მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაოდენობა ძალიან მცირეა. ადგილზე მუშაობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ქედაში

[10] ცხრილში მოყვანილი მონაცემები აღებულია ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ–გვერდიდან: http://keda.ge/ge/programs-and-projects/programs

არ არის რეგისტრირებული, თუმცა გარკვეულ სოციალურ მომსახურებას უწევს ადგილობრივ მოსახლეობას. მოქმედი ორგანიზაციების სოციალური მომსახურების მასშტაბი ძალიან მცირეა და პოტენციური ბენეფიციარების უმეტეს ნაწილს ვერ ფარავს.

V. ბიბლიოგრაფია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. (2016). *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი.* მოპოვებული სტატისტიკა: http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=344&gid=7&ppid=334#.W56GD6ZLg2x-დან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. (2018 წლის 1 სექტემბერი). *ათი მიზეზი.* მოპოვებული GoBatumi - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი: http://gobatumi.com/ka/10-reasons/diversity-of-nature-დან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. (2017). *2017 წლის პროგრამების პროექტი.* Retrieved from აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი: http://adjara.gov.ge/branches/listpage.aspx?pid=2519&gid=3&ppid=97

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტი. (2012). *სხვა გამოცემები.* მოპოვებული ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტის ვებ გვერდი: http://www.intellect.org.ge/index.php?m1=2&m3=10&rf=library&type=8&subtype=6&lang=ge-დან

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2017 წლის 7 მაისი). *შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში 2015*. მოპოვებული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ვებ გვერდი: https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities-დან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. (2017). *მოსახლეობის განაწილება მხარეების, მუნიციპალიტეტებისა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით.* მოპოვებული რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვებ გვერდი: http://religion.geo.gov.ge/statmaps/tables/table-districts.html-დან

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. (2017). *თვითმმართველი ქალაქები.* მოპოვებული საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვებ გვერდი: http://nala.ge/self_menage/-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2014). *მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება და შიდა მიგრაცია.* მოპოვებული მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ვებ გვერდი: http://census.ge/ge/results/census1/migration-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *დასაქმება და უმუშევრობა.* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *ხელფასები*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018 წლის იანვარი). *მოსახლეობა: საქსტატი*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2013). *ჩვენ შესახებ: სოციალური მომსახურების სააგენტო*. მოპოვებული 2018 წლის 03 იანვარი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *პენსია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წელი*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1237-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის ნოემბერი). *სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის რაიონული განყოფილება*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=431-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017). *სოციალური პაკეტი*. მოპოვებული 2018 წლის 03 იანვარი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *სოციალური პაკეტი 2012 წლის პირველი სექტემბრიდან 2017*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1238-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *სტატისტიკური მონაცემები დევნილთა და ლტოლვილთა შესახებ*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1247-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *სტატისტიკური მონაცემები ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევების რაოდენობის შესახებ 2017 წელი*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტო: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1248-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *სტატისტიკური მონაცემები საყოფაცხოვრებო სუბსიდიის შესახებ 2017 წელი*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1241-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის დეკემბერი). *სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ 2017 წელი*. მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1240-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2017 წლის ივლისი). *სტატისტიკური მონაცემები სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის შესახებ 2017 წელი.* მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1245-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2018 წლის აგვისტო). *სტატისტიკური მონაცემები საარსებო შემწეობის შესახებ 2018 წელი.* მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. (2018 წლის ივლისი). *გეოგრაფია და ბუნება.* მოპოვებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდი: http://tbilisi.gov.ge/page/9#-დან

ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა. (2016). *გეოგრაფია და ბუნება.* მოპოვებული 2017 წლის 2 ნოემბერი, ქედის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი: http://keda.ge/ge/about-keda/geography-and-nature-დან

VI. დანართები

დანართი 1. მოსახლეობის რაოდენობა ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (2014 წ.)

ქედის მუნიციპალიტეტი	სულ	კაცი	ქალი
მოსახლეობა ქედის მუნიციპალიტეტში	16,760	8,410	8,350
დაბა ქედა	**1,510**	**730**	**780**
ქედის თემი	**1,988**	**1,000**	**988**
არსენაული	89	48	41
აქუცა	262	133	129
გულები	235	122	113
ზენდიდი	297	145	152
კორომხეთი	160	84	76
ორცვა	232	126	106
ქედა	149	73	76
შევაბური	89	46	43
ცხემნა	156	68	88
ძენწმანი	197	93	104
ხუნკუდა	122	62	60
დანდალოს თემი	**1,961**	**985**	**976**
დანდალო	347	173	174
ბალაძეები	116	60	56
გოგიაშვილები	194	96	98
მოსიაშვილები	169	84	85
ტაკიძეები	186	92	94
ხარაულა	639	327	312
ჯალაბაშვილები	310	153	157
ზვარის თემი	**1,346**	**676**	**670**
ზვარე	201	107	94
ვაიო	409	202	207
ზესოფელი	205	99	106
კვაშტა	279	146	133
სირაბიძეები	252	122	130
მახუნცეთის თემი	**2,902**	**1,458**	**1,444**[11]
ქვედა მახუნცეთი	439	216	223
ზედა ბზუბზუ	306	142	164
ზედა მახუნცეთი	203	99	104
ზუნდაგა	299	141	158
ქვედა ბზუბზუ	261	132	129
ქოსოფელი	72	35	37
მილისი	123	65	58

[11] ციფრები მიღებულია დოლოგანის და მახუნცეთის თემის 2014 წელს აღწერილი მოსახლეობის რაოდენობის დაჯამებით (ქედის მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდზე დაყრდნობით, ეს ორი თემი გაერთიანდა მახუნცეთის თემში).

ნამლისევი	158	79	79
უჩხითი	260	141	119
დოლოგანი	417	228	189
ჭალახმელა	162	79	83
ჭინკაძეები	202	101	101
მერისის თემი	**1,132**	**581**	**551**
მერისი	300	155	145
გარეტყე	89	47	42
გუნდაური	218	115	103
ინაშარიძეები	200	103	97
ნამონასტრევი	60	29	31
სილიბაური	117	57	60
სიხალიძეები	148	75	73
ოქტომბრის თემი	**853**	**439**	**414**
ოქტომბერი	247	126	121
აგოთა	122	60	62
გოგინიძეები	95	48	47
კუჭულა	201	110	91
მეძიბნა	188	95	93
პირველი მაისის თემი	**1,213**	**614**	**599**
პირველი მაისი	525	262	263
ზედა აგარა	106	60	46
კოლოტაური	473	236	237
ქვედა აგარა	109	56	53
ცხმორისის თემი	**2,605**	**1,318**	**1,287**
ცხმორისი	600	286	314
ახო	594	307	287
გეგელიძეები	428	217	211
გობრონეთი	251	126	125
კოკოტაური	545	282	263
ჩეტკიძეები	187	100	87
წონიარისის თემი	**1,250**	**609**	**641**
წონიარისი	499	247	252
აბუქეთა	279	138	141
ვარჯანისი	185	84	101
კანტაური	76	35	41
საბადური	57	30	27
სასადილოყელი	0	0	0
ტიბეთა	154	75	79[12]

[12] მონაცემები აღებულია 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებიდან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014).

დანართი 2. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (2002 წ.)[13]

ასაკობრივი ჯგუფი	სულ	კაცი	ქალი
0-4	1428	748	680
5-9	1733	893	840
10-14	1938	1024	914
15-19	1845	934	911
20-24	1608	782	826
25-29	1556	798	758
30-34	1532	785	747
35-39	1500	797	703
40-44	1176	562	614
45-49	977	488	489
50-54	842	402	440
55-59	691	309	382
60-64	977	453	524
65-69	850	410	440
70-74	611	275	336
75-79	394	171	223
80-84	203	74	129
85-89	91	26	65
90-94	36	10	26
95-99	21	8	13
100 +	15	2	13
სულ	**20024**	**9951**	**10073**

[13] მონაცემები ეყრდნობა 2002 წლის საყოველთაო აღწერას (ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტი, 2012)

დანართი 3. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით (2014 წ.)

ასაკობრივი ჯგუფი	სულ	კაცი	ქალი
0-4	1,114	574	540
5-9	989	543	446
10-14	1,057	568	489
15-19	1,245	654	591
20-24	1,303	684	619
25-29	1,267	705	562
30-34	1,171	589	582
35-39	1,121	568	553
40-44	1,154	578	576
45-49	1,154	572	582
50-54	1,145	571	574
55-59	926	433	493
60-64	735	362	373
65-69	662	286	376
70-74	562	249	313
75-79	614	270	344
80-84	335	131	204
85+	206	73	133
სულ	**16,760**	**8,410**	**8,350**[14]

[14] მონაცემები ეყრდნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერას. მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

დანართი 4. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლების და მატების მაჩვენებლები ასაკის მიხედვით (2002 და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)

ასაკობრივი ჯგუფი	2002	2014	სხვაობა[15]	სხვაობის %[16]
0-4	1428	1,114	314	21.99%
5-9	1733	989	744	42.93%
10-14	1938	1,057	881	45.46%
15-19	1845	1,245	600	32.52%
20-24	1608	1,303	305	18.97%
25-29	1556	1,267	289	18.57%
30-34	1532	1,171	361	23.56%
35-39	1500	1,121	379	25.27%
40-44	1176	1,154	22	1.87%
45-49	977	1,154	-177	-18.12%
50-54	842	1,145	-303	-35.99%
55-59	691	926	-235	-34.01%
60-64	977	735	242	24.77%
65-69	850	662	188	22.12%
70-74	611	562	49	8.02%
75-79	394	614	-220	-55.84%
80-84	203	335	-132	-65.02%
85+	163	206	-43	-26.38%
სულ	20024	16,760	3,264	16.30%

[15] სხვაობა = 2002 წლის მაჩვენებელს - 2014 წლის მაჩვენებელი (შესაბამისად დადებითი რიცხვი არის კლება, უარყოფითი რიცხვი არის მატება)
[16] სხვაობის % = სხვაობა / 2002 წლის მაჩვენებელი

დანართი 5. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება საქალაქო და სასოფლო დასახლების მიხედვით (2014წ)

ასაკობრივი ჯგუფი	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
0-4	1,114	89	1,025
5-9	989	113	876
10-14	1,057	98	959
15-19	1,245	90	1,155
20-24	1,303	122	1,181
25-29	1,267	138	1,129
30-34	1,171	132	1,039
35-39	1,121	93	1,028
40-44	1,154	99	1,055
45-49	1,154	95	1,059
50-54	1,145	121	1,024
55-59	926	92	834
60-64	735	87	648
65-69	662	62	600
70-74	562	39	523
75-79	614	27	587
80-84	335	…	327
85+	206	…	201
სულ	**16,760**	**1,510**	**15,250**[17]

[17] მონაცემები ეყრდნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერას. მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

დანართი 6. პენსიის მიმღებთა რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტში სქესისა და ასაკის მიხედვით - 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით[18].

ასაკობრივი ჯგუფი	სქესი	რაოდენობა
60-64	კაცი	-
	ქალი	444
	სულ	444
65-69	კაცი	304
	ქალი	375
	სულ	679
70-74	კაცი	221
	ქალი	325
	სულ	546
75-79	კაცი	234
	ქალი	320
	სულ	554
80-90	კაცი	245
	ქალი	388
	სულ	633
მეტია 90–ზე	კაცი	14
	ქალი	39
	სულ	53
სულ	**კაცი**	**1,018**
	ქალი	**1,891**
	სულ	**2,909**

[18] მონაცემები აღებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ–გვერდიდან (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017)

დანართი 7. ქედის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წლის აღწერის მონაცემებით)

აღმსარებლობა	მოსახლეობის რაოდენობა	პროცენტული წილი
სულ	16760	100.00%
მართლმადიდებლური	5235	31.24%
მუსლიმანური	10411	62.12%
სომხეთის სამოციქულო	0	0.00%
კათოლიკური	...	....
იეჰოვას მოწმეები	...	....
იეზიდური	0	0.00%
იუდეური	0	0.00%
სხვა	1102	6.58%[19]

[19] მონაცემები აღებულია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვებ–გვერდიდან და ეყრდნობა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს.

დანართი 8. ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტების მიმღებთა რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით

ასაკობრივი ჯგუფი	სქესი	რაოდენობა
	კაცი	
	ქალი	
	სულ	
	კაცი	
	ქალი	
	სულ	
	კაცი	
	ქალი	
	სულ	
	კაცი	
	ქალი	
	სულ	
მეტია –ზე	კაცი	
	ქალი	
	სულ	
სულ	სულ კაცი	
	სულ ქალი	
	სულ	

დანართი 9. ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი გადასახადის გადამხდელების/ორგანიზაციების აღწერილობა და რაოდენობები, სამართლებრივი ფორმის და თემების მიხედვით (2017 წლის მდგომარეობით)[20]

#	ადმინისტრაციული ერთეული	აღწერილობა	რაოდენობა	სამართლებრივი ფორმა
		დაბა ქედა		
1	დაბა ქედა	ააიპ ქედის სასპორტო სკოლა	1	ააიპ
2	დაბა ქედა	ააიპ დემოკრატიის ინსტიტუტი	1	ააიპ
3	დაბა ქედა	ბანკი (ლიბერთი და საქართველოს ბანკი)	2	ბიზნესის ფილიალი
4	დაბა ქედა	ქედის კომუნალსერვისი	1	ბიზნესის ფილიალი
5	დაბა ქედა	ქედის წყალკანალი	1	ბიზნესის ფილიალი
6	დაბა ქედა	აფთიაქი	2	შპს
7	დაბა ქედა	ქედის ავტოსატ. საწარმო	1	შპს
8	დაბა ქედა	ლომბარდი	1	შპს
9	დაბა ქედა	ბენზინ გასამართი სადგური	1	შპს
10	დაბა ქედა	ქედის საკონსერვო ქარხანა	1	შპს
11	დაბა ქედა	ქედის ღვინის ქარხანა	1	შპს
12	დაბა ქედა	ავტოგასამართი	1	ინდ. მეწარმე
13	დაბა ქედა	აფთიაქი	1	ინდ. მეწარმე
14	დაბა ქედა	ვეტ აფთიაქი	1	ინდ. მეწარმე
15	დაბა ქედა	ვულკანიზაცია	3	ინდ. მეწარმე
16	დაბა ქედა	კაფე ბარი	4	ინდ. მეწარმე
17	დაბა ქედა	პურის საცხობი	3	ინდ. მეწარმე
18	დაბა ქედა	სასადილო	1	ინდ. მეწარმე
19	დაბა ქედა	სადალაქო	2	ინდ. მეწარმე
20	დაბა ქედა	სამრეწველო მაღაზია	2	ინდ. მეწარმე
21	დაბა ქედა	სარიტუალო დარბაზი	1	ინდ. მეწარმე
22	დაბა ქედა	სასურსათო მაღაზია	9	ინდ. მეწარმე
23	დაბა ქედა	სტომატოლოგიური კაბინეტი	3	ინდ. მეწარმე
24	დაბა ქედა	ტანსაცმლის მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
25	დაბა ქედა	ყვავილების მაღაზია	1	ინდ. მეწარმე

[20] სია არასრულია და მასში არ არის შეტანილი ოჯახებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი და ა.შ. ასევე ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია თემებში არსებულ ყველა საქმიანობაზე. საოჯახო სასტუმროების შესახებ ინფორმაცია აღებულია ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ–გვერდიდან http://keda.ge/ge/accommodation/guesthouses

26	დაბა ქედა	შერეული მაღაზია	22	ინდ. მეწარმე
27	დაბა ქედა	ცემენტის საწყობი	1	ინდ. მეწარმე
28	დაბა ქედა	საფუნთუშე	1	ინდ. მეწარმე
29	დაბა ქედა	სამოქალაქო რეესტრი	1	საჯარო
30	დაბა ქედა	საჯარო რეესტრი	1	საჯარო
31	დაბა ქედა	ქედის სასამართლო	1	საჯარო
32	დაბა ქედა	ქედის საჯარო სკოლა	1	საჯარო
33	დაბა ქედა	ქედის სახელოვნებო სკოლა	1	საჯარო
34	დაბა ქედა	ქედის რესურს ცენტრი	1	საჯარო
35	დაბა ქედა	ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება	2	საჯარო
36	დაბა ქედა	ქედის კულტურის ცენტრი	1	საჯარო
37	დაბა ქედა	ქედის საავადმყოფო	1	
38	დაბა ქედა	ქედის სოციალური ფონდი	1	
39	დაბა ქედა	ქედის მუზეუმი	1	
40	დაბა ქედა	რესტორანი	1	
41	დაბა ქედა	საოჯახო სასტუმრო	4	
		პირველი მაისი		
1	პირველი მაისი	შერეული მაღაზია	1	შპს
2	პირველი მაისი	რესტორანი	1	ინდ. მეწარმე
3	პირველი მაისი	კაფე–ბარი	1	ინდ. მეწარმე
4	პირველი მაისი	სასურსათო მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
5	პირველი მაისი	პირველი მაისის საჯარო სკოლა	1	საჯარო
6	პირველი მაისი	საოჯახო სასტუმრო	1	
		დანდალო		
1	დანდალო	მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა	1	შპს
2	დანდალო	საოჯახო სასტუმრო	3	
		ზვარე		
1	ზვარე	შერეული მაღაზია	2	ინდ. მეწარმე
2	ზვარე	ზვარეს საჯარო სკოლა	1	საჯარო
		მახუნცეთი		
1	მახუნცეთი	ქვა-ღორღის გადამამუშავებელი ქარხანა	1	შპს
2	მახუნცეთი	ბენზინგასამართი სადგური	1	შპს
3	მახუნცეთი	რესტორანი	3	ინდ. მეწარმე
4	მახუნცეთი	სასადილო	1	ინდ. მეწარმე
5	მახუნცეთი	კაფე ბარი	6	ინდ. მეწარმე
6	მახუნცეთი	სასურსათო მაღაზია	3	ინდ. მეწარმე
7	მახუნცეთი	სამრეწველო მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
8	მახუნცეთი	ავტობობილის ზეთების მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
9	მახუნცეთი	სადალაქო	1	ინდ. მეწარმე
10	მახუნცეთი	აფთიაქი	1	ინდ. მეწარმე

11	მახუნცეთი	მახუნცეთის საჯარო სკოლა	2	საჯარო
12	მახუნცეთი	საოჯახო სასტუმრო	5	
		დოლოგანი		
1	დოლოგანი	დოლოგანის საჯარო სკოლა	1	საჯარო
2	დოლოგანი	საოჯახო სასტუმრო	2	
		ცხმორისი		
1	ცხმორისი	ავტომაღაზია	1	შპს
2	ცხმორისი	ბენზინგასამართი სადგური	1	შპს
3	ცხმორისი	ვულკანიზაცია	1	შპს
4	ცხმორისი	ბენზინგასამართი სადგური / ბარი /	1	შპს
5	ცხმორისი	სასურსათო მაღაზია	1	შპს
6	ცხმორისი	მ.წყლის,,კოკოტაურის''საამქრო	1	შპს
7	ცხმორისი	ავტოშემკეთებელი საამქრო	1	ფიზიკური პირი
8	ცხმორისი	პურის (მშ შოთის) საცხობი	2	ინდ. მეწარმე
9	ცხმორისი	საბითუმო მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
10	ცხმორისი	შერეული მაღაზია	2	ინდ. მეწარმე
11	ცხმორისი	სასურსათო მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
12	ცხმორისი	სასადილო	1	ინდ. მეწარმე
13	ცხმორისი	კაფე ბარი	2	ინდ. მეწარმე
14	ცხმორისი	შემდუღებელი საამქრო	1	ინდ. მეწარმე
15	ცხმორისი	აფთიაქი	1	ინდ. მეწარმე
16	ცხმორისი	ნახევარფაბრიკატების საწარმო	1	ინდ. მეწარმე
17	ცხმორისი	ახოს #1 საჯარო სკოლა	1	საჯარო
18	ცხმორისი	გოგიაშვილის საჯარო სკოლა	1	საჯარო
19	ცხმორისი	სარიტუალო დარბაზი	1	
20	ცხმორისი	საოჯახო სასტუმრო	3	
		წონიარისი		
1	წონიარისი	სასურსათო მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
2	წონიარისი	შერეული მაღაზია	1	ინდ. მეწარმე
3	წონიარისი	ბენზინგასამართი სადგური	1	ინდ. მეწარმე
4	წონიარისი	წონიარისის საჯარო სკოლა	1	ინდ. მეწარმე
5	წონიარისი	საოჯახო სასტუმრო	3	
		ოქტომბერი		
1	ოქტომბერი	საოჯახო სასტუმრო	4	
		მერისი		
1	მერისი	საოჯახო სასტუმრო	8	

რაოდენობრივი კვლევის ანგარიში

I. შესავალი

რაოდენობრივი კვლევა წარმოადგენს პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ნაწილს. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით.

ზემოაღნიშული კვლევის ფარგლებში განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა. კვლევა ფოკუსირდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქედაში არსებული ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები;
- ორგანიზაციული განვითარების ხარისხი (თვითმმართველობების ორგანოების არსებობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფორმალური და არაფორმალური სათემო ჯგუფები, თემის მობილიზების და განვითარების გამოცდილება და ა.შ.);
- ადგილობრივი ინტერესები და ინტერესის ჯგუფები.

რაოდენობრივი კვლევა მიზნად ისახავდა გაენალიზებინა აღნიშნული თემები და აღეწერა ამ საკითხების რაოდენობრივი განზომილებები. რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა 2018 წლის მარტი-ივნისის პერიოდში. საველე კვლევითი საქმიანობა განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა კითხვარი საკვლევი თემატიკისა და თვისებრივი კვლევიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.

II. მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება შემთხვევითი შერჩევის პრინციპს. მონაცემების განზოგადება შესაძლებელია ქედის მუნიციპალიტეტის დონეზე. თემების ჭრილში მონაცემები ასახავს მხოლოდ ძირითად ტენდენციებს.

კვლევის გენერალური ერთობლიობა: ქედის მუნიციპალიტეტის საარჩევნო ასაკის მოსახლეობა (+18 წლის).

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის მეთოდი: გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით.

შერჩევის მოცულობა: შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა მთლიანობაში შეადგენს 292 რესპონდენტს (სულ ჩატარდა 288 დასრულებული ინტერვიუ) ქედის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული შერჩევა.

შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს 2016 წლის ამომრჩეველთა სია (ცესკოს მონაცემები). გამოსაკვლევი ერთობლიობა დაიყო 9 ერთეულად - სტრატად, სტრატას წარმოადგენს ადმინისტრაციული ერთეული.

განისაზღვრა შერჩევის პირველადი, მეორადი და საბოლოო შერჩევის ერთეულები:

- პირველადი შერჩევის ერთეული: საარჩევნო უბანი (სოფელი).
- მეორადი შერჩევის ერთეული: შინამეურნეობა (ოჯახი).
- საბოლოო შერჩევის ერთეული: თვრამეტი წლისა და მეტი ასაკის მოქალაქე.

გამოკვლევაში მიღებული შეფასებების ცდომილებები (95%-იანი საიმედოობისათვის) ქედის მუნიციპალიტეტისთვის არის 5.7%, ხოლო ცალკეული ადმინისტრაციული ერთეული ქვეშერჩევისთვის საშუალოდ 17%.

III. რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები

მოცემული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტში არსებული 9 თემის მოსახლეობა, მთლიანობაში 284 რესპონდენტი. დიაგრამა N1-ზე მოცემულია აღნიშნული 284 გამოკითხულის განაწილება საცხოვრებელი ადგილის (თემის) მიხედვით.

დიაგრამა N 1. გამოკითხული მოსახლეობის განაწილება თემების მიხედვით



რაოდენობრივი კვლევა ეფუძნება შემთხვევითი შერჩევის პრინციპს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს თითოეული თემიდან დაახლოებით თანაბარი ოდენობის რესპონდენტთა გამოკითხვას, რაც საშუალებას იძლევა გამორიცხულ იქნეს კვლევიდან ცალკეული თემის მახასიათებლების დომინირება საბოლოო შედეგებზე.

რესპონდენტთა 50.2% მდედრობითი, ხოლო 49.8% მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობა წარმოადგენს ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. რელიგიური მრწამსის მიხედვით გამოკითხულთა განაწილება შემდეგი სახისაა: 54.5% ტრადიციული ისლამის მიმდევარია, 43.2% წარმოადგენს მართლმადიდებელ ქრისტიან მოსახლეობას, ხოლო 2.3% ამბობს, რომ არ წარმოადგენს არცერთი რელიგიის მიმდევარს.

დიაგრამა N2-ზე განხილულია გამოკითხული მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით.

დიაგრამა N 2. გამოკითხული მოსახლეობის განაწილება ასაკის მიხედვით



როგორც დიაგრამა N2-ზე ჩანს, გამოკითხული მოსახლეობა ასაკის მიხედვითაც საკმარისად დივერსიფიცირებულია საიმისოდ, რომ შესაძლებელი იყოს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების განზოგადება მთლიან მოსახლეობაზე.

IV. რესპონდენტთა ზოგადი განწყობები

განვიხილოთ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ზოგადი მდგომარეობა. ცხრილ N1-ზე წარმოდგენილია თუ რას ფიქრობს მოსახლეობა საკუთარ სოფელში/დაბაში არსებული ცხოვრების დონის შესახებ.

ცხრილი N 1. ცხოვრების დონის შეფასება გამოკითხულთა მიერ

ძალიან ცუდი	ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	მიჭირს პასუხის გაცემა
4,2	13,6	64,1	13,9	3,2	0,9

წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (64.1%) ცხოვრების დონეს საშუალო მაჩვენებლით აფასებს. გამოკითხულთა 17.8% თვლის, რომ მის გარშემო ოჯახები ცუდად ან ძალიან ცუდად ცხოვრობენ, ხოლო 17.1% მდგომარეობას ცხოვრების დონესთან დაკავშირებით კარგი ან ძალიან კარგი მაჩვენებლით აფასებს.

1. დასაქმება და უმუშევრობა

გამოკითხული მოსახლეობის 43.4% დასაქმებულია, ხოლო 56.1% წარმოადგენს უმუშევარი და სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მოსახლეობის ჯამს, რაც ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ უმუშევარია არა უმუშევრობის ზოგადი განმარტებით, არამედ საკუთარი მოსაზრებით. დასაქმებასთან დაკავშირებულ კითხვას თავი აარიდა ერთმა გამოკითხულმა (0.4%). როგორც ვხედავთ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი აფიქსირებს, რომ სამუშაოს გარეშე იმყოფება. არ გამოირიცხება, რომ სიტუაცია დასაქმების კუთხით მართლაც მწვავეა, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე ფაქტორი, რის შედეგადაც შესაძლოა უმუშევრობის რეალური მაჩვენებელი ბევრად მცირეა, ვიდრე უმუშევრობის დასახელებული სიდიდე (56.1%), კერძოდ:

1. ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლის მეურნეობაში ჩართული ინდივიდი არ თვლის თავს დასაქმებულად და აფიქსირებს, რომ მას არ აქვს სამუშაო.
2. გამოკითხულთა 56.1% არ შეიძლება რეალურად განხილულ იქნეს, როგორც უმუშევარი მოსახლეობა. უმუშევარია ინდივიდი, რომელიც მიმდინარე პერიოდში აქტიურად ეძებს სამუშაოს და ვერ პოულობს მას[21]. მოსახლეობის უმეტესობა საკუთარი სტატუსის დაფიქსირებისას არ ითვალისწინებს ამ განმარტებას. შესაბამისად მოცემული 56.1% მოიცავს როგორც უმუშევარ, ისე სამუშაო ძალის მიღმა მყოფ მოსახლეობას[22]. ხაზგასასმელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ უმუშევართა ნაწილი სამუშაოს არქონას დროის უქონლობით ან ასაკში ყოფნით ხსნის. მაგალითად, სამუშაოს არმქონეთა 39.9% პენსიონერია, 19.6% - დიასახლისი, 5% - სტუდენტი, ხოლო 3% აბიტურიენტია. სავარაუდოდ სამუშაოს არქონა ამ ჯგუფის მოსახლეობისათვის ნაკლებ მტკივნეულია. აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად ხსნის უმუშევრობის პრობლემის სიმწვავეს.

საინტერესოა დასაქმებული მოსახლეობის განაწილება სამუშაოს ტიპის მიხედვით. დანართ N1-ზე მოცემულია აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად. როგორც დანართ N1-დან ჩანს ქედის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის დასაქმებული ნაწილის 49% მუშაობს საჯარო სექტორში ანუ ძირითადი შემოსავალი (50%-ზე მეტი) ამ სექტორიდანაა. საჯარო სექტორის შემდეგ მოდის კერძო სექტორი, რომელსაც შეესაბამება დასაქმებულთა 8.4%. დასაქმებულთა 6.3% ფერმერული მეურნეობით, ხოლო 6.2% ადგილობრივ მთავრობაში მუშაობით ირჩენს თავს.[23] აღნიშნულ მონაცემებზე მცირედი დაკვირვება მიანიშნებს პრობლემაზე, რომელიც

[21] უმუშევრობის კლასიკური ეკონომიკური განმარტება

[22] ეს კატეგორია მოიცავს შშმ პირებს, პენსიონრებს და სამუშაო ასაკის იმ მოსახლეობას, რომელმაც რაიმე მიზეზის გამო შეწყვიტა სამუშაოს ძიება

[23] იგულისხმება საჯარო სექტორი, რომელშიც არ შედის ადგილობრივ თვითმმართველობაში და აჭარის მთვრობაში დასაქმებული პირები

უმუშევრობის სტრუქტურას უკავშირდება. კერძოდ ის ფაქტი, რომ დასაქმებულ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი საჯარო სექტორში მუშაობს, ორი მიზეზის გამო წარმოადგენს პრობლემას:

საჯარო სექტორი, როგორც წესი, არ გამოირჩევა მაღალი ანაზღაურებით სხვა ალტერნატივებთან შედარებით (მაგალითად, კერძო სექტორთან შედარებით). მოცემული ვარაუდი აყალიბებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა შემოსავლები არ უნდა იყოს მაღალი, რადგან გამოკითხულთა დიდი ნაწილი საჯარო სექტორში მუშაობს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი ფაქტით: გამოკითხულთა 75.4% აცხადებს, რომ მის ოჯახს არ აქვს ან საჭმლის ან ტანსაცმლის ან ტექნიკის შესაძენად საჭირო თანხა (უკეთეს შემთხვევაში ამ ხალხს ერთ-ერთ ზემოხსენებულზე უწევთ უარის თქმა, ხოლო უარეს შემთხვევაში შესაძლოა არც ერთ მათგანზე სამყოფი ფული არ ქონდეთ). 17.1% აცხადებს, რომ მის ოჯახს აქვს შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს ისეთი პირველადი მოთხოვნილებები, როგორებიცაა საჭმლით, ტანსაცმლითა და ტექნიკით უზრუნველყოფა. მხოლოდ გამოკითხულთა 4.1% აცხადებს, რომ მის ოჯახს შეუძლია იყიდოს ის რასაც საჭიროდ თვლის. დარჩენილი 3.4% თავს იკავებს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საჯარო სექტორი ნაკლებადაა მიდრეკილი პროდუქციის შექმნისაკენ. მას ძირითადად ის პროცესები ეხება, რომლებიც პროდუქციის შექმნამდელ მოსამზადებელ პერიოდს (მაგალითად საჯარო სკოლა, რომელიც ადამიანური კაპიტალის შექმნას ემსახურება, აგრეთვე სამედიცინო მომსახურება, რომელიც ინდივიდის აქტივობას მეტად პროდუქტიულს ხდის. ორივე მათგანი მნიშვნელოვანია, მაგრამ არ შეიძლება მათი წარმოების პროცესად მიჩნევა) და პროდუქციის შექმნის შემდგომ გადანაწილებით და სხვა სახის პროცესებს მოიცავს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქედის მუნიციპალიტეტში შრომის ბაზართან დაკავშირებული რამოდენიმე ტიპის პრობლემა არსებობს. სამუშაოს არქონას გამოკითხულთა 56.1% უჩივის. როგორც აღვნიშნეთ, ამ ციფრს მცირედი შესწორება სჭირდება. თუკი მოცემული უმუშევართა წილიდან გამოვრიცხავთ ისეთ ჯგუფებს როგორებიც არიან პენსიონერები, სტუდენტები, აბიტურიენტები და დიასახლისები (ანუ ის გამოკითხულები, რომელთა უმუშევრობაც მათივე ასაკით ან სტატუსით შეიძლება იყოს განპირობებული), დაგვრჩება მხოლოდ ის ჯგუფი, რომელიც არც დროის უქონლობას და არც ასაკიანობას არ უჩივის. ასე შესწორებული სამუშაოს უქონელთა წილი გამოდის 22.4% (0.561*0.399*100). ეს რა თქმა უნდა ნაკლებია წინა მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა მაინც დიდია საიმისოდ, რომ ხაზი გაუსვას დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქედაში.

აღნიშნული საკითხი რამდენიმე კუთხით განვიხილეთ და პრობლემა ყველგან გამოიკვეთა, შესაბამისად ვფიქრობ საჭიროა გარკვეული აქტივობების დაგეგმვა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც არა რეალურ უმუშევრობას, არამედ

ეკონომიკურ პასიურობას უჩივის. მაგალითად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსის გამოყენება. კერძოდ შესაძლებელია ქედის მუნიციპალიტეტმა აქტიური მუშაობა დაიწყოს, როგორც შუამავალმა ქედაში არსებულ დამსაქმებლებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის. აქ ერთი საკითხია ამ კუთხით მუშაობის დაწყება, ხოლო მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ამ სიახლის მოსახლეობამდე მიტანა.

საინტერესოა, როგორ შეიძლება ქედაში კერძო სექტორის გააქტიურება. ქედის ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე შესაძლებელია მოსახლეობის ამ სექტორში ჩაბმით როგორც უმუშევრობის, ისე დასაქმების სტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემის შესუსტება. მეორე პოტენციურ გამოსავალს ქედაში სოფლის მეურნეობის გაძლიერება გვთავაზობს. თუკი ადგილობრივი, აჭარისა თუ ცენტრალური მთავრობა შეძლებს დაეხმაროს ქედის მოსახლეობას წარმოებული პროდუქციის ზრდასა და რეალიზებაში ამ გზით სოფლის მეურნეობა ქედაში უფრო მიმზიდველი გახდება, რაც შეამცირებს აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს.

2. ზოგადი მდგომარეობა სხვადასხვა თემის ჭრილში

განვიხილოთ, როგორ აფასებენ ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის მკვიდრნი მათ თემში არსებულ სოფლებსა და დაბებში ოჯახების ცხოვრების დონეს. N2 ცხრილში წარმოდგენილია მოცემული საკითხი.

ცხრილი N2. ცხოვრების დონის შეფასება გამოკითხულთა მიერ თემების ჭრილში

	დაბა ქედა	ცხმორისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნცეთი	დანდალო	მერისი	ოქტომბერი	წონიარისი
ძალიან ცუდი	0,0%	6,5%	6,7%	6,7%	8,8%	0,0%	0,0%	0,0%	10,3%
ცუდი	3,2%	9,7%	3,3%	20,0%	8,8%	21,2%	18,2%	18,8%	17,2%
საშუალო	80,6%	54,8%	70,0%	60,0%	67,6%	69,7%	75,8%	62,5%	31,0%
კარგი	16,1%	25,8%	13,3%	13,3%	14,7%	6,1%	6,1%	15,6%	17,2%
ძალიან კარგი	0,0%	3,2%	6,7%	0,0%	0,0%	3,0%	0,0%	3,1%	13,8%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	10,3%

პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დაბა ქედის მოსახლეობა სხვა თემების მოსახლეობასთან შედარებით ცხოვრების უკეთეს პირობებზე საუბრობს. ცხოვრების დონის ცუდ ან ძალიან ცუდ მაჩვენებელს დაბა ქედის მხოლოდ 3.2% უსვამს ხაზს. იგივე მაჩვენებელი სხვა თემებისათვის მინიმუმ 10%-ს შეადგენს. დაბა

ქედის მოსახლეობის დიდი ნაწილი ოჯახების ცხოვრების დონეს საშუალოდ აფასებს (80.6%), რაც აგრეთვე ნებისმიერი თემის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება.

ზემოთ განხილული ცხრილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბა ქედის მოსახლეობისათვის შეინიშნება მეტწილად დამაკმაყოფილებელი ცხოვრების დონე. ამასთანავე სავარაუდოა, რომ ცხოვრების დონე ოჯახებს შორის მნიშვნელოვნად არ იცვლება (რეალური შემოსავლები მეტწილად თანაბრადაა განაწილებული). მოცემული ეფუძნება დაშვებას, რომლის მიხედვითაც ადამიანები ცხოვრების დონის შეფასებისას საკუთარი ოჯახის ცხოვრების დონეს აკვირდებიან. როგორც ცხრილიდან ჩანს, საკუთარი ოჯახის ცხოვრების დონეზე დაკვირვებით გამოკითხულთა უმრავლესობა დაბა ქედის მოსახლეობის ცხოვრების დონეს საშუალო მაჩვენებელს ანიჭებს.

განვიხილოთ დასაქმებული და სამუშაოს გარეშე დარჩენილი მოსახლეობა თემების ჭრილში. N3 ცხრილში წარმოდგენილია მოცემული ინფორმაცია.

ცხრილი N3. დასაქმებულთა/უმუშევართა რაოდენობა გამოკითხულთა შორის თემების ჭრილში

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დანდა-ლო	მერი-სი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
დასაქმებული	50,0%	56,7%	16,7%	58,1%	44,1%	45,5%	39,4%	41,2%	35,7%
უმუშევარი	50,0%	40,0%	83,3%	41,9%	55,9%	54,5%	60,6%	58,8%	64,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	3,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%

ამ კუთხით დაბა ქედასა და სხვა თემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება და ზოგადი დასკვნა სამუშაოს არქონის მაღალი მაჩვენებლის შესახებ ყველა თემისათვის ნარჩუნდება. რაც შეეხება სხვებთან შედარებით ცუდ მდგომარეობაში მყოფ თემებს, ესენია: ზვარე 83.3% უმუშევრობით, წონიარისი - 64.3% და მერისი 60.6%.

თუ შევაჯამებთ ქედის მუნიციპალიტეტის ზოგად მდგომარეობას, მივიღებთ შემდგომ სურათს: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მის სოფელში/დაბაში ცხოვრების დონე საკმაოდ მისაღებია. ეს ეხება ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ თითოეულ თემს, თუმცა განსაკუთრებით დაბა ქედას. მიუხედავად ზემოთ მიღებული შედეგისა, არსებული მონაცემები

გვიჩვენებს, რომ ქედის მუნიციპალიტეტში დასაქმების კუთხით არსებობს გარკვეული პრობლემა.

V. ეკონომიკური უსაფრთხოება და საცხოვრებელი პირობები

1. ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა

ქედის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის ოჯახების ფინანსური მდგომარეობა შემდეგ სურათს ქმნის: გამოკითხულთა 3.2% აცხადებს, რომ მის ოჯახს არ გააჩნია საკმარისი ფინანსები საჭირო საკვების შესაძენად. 11.3% ამბობს, რომ მის ოჯახს გააჩნია საკმარისი ფინანსები საკვების შესაძენად, თუმცა იგივეს ვერ ამბობენ საჭირო ტანსაცმლის შეძენაზე. გამოკითხულთა ოჯახების 60.9%-ს აქვს შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს საკვებისა და ტანსაცმლის მოთხოვნილება, თუმცა ოჯახს არ შეუძლია შეიძინოს საჭირო საოჯახო ტექნიკა. 17.1% თვლის, რომ მის ოჯახს აქვს საიმისო რესურსი, რათა შეეძლოთ ისეთი პირველადი მოთხოვნილებებით უზრუნველყოფა, როგორებიცაა საკვებით, ტანსაცმლითა და საოჯახო ტექნიკით ოჯახის მომარაგება. მხოლოდ რესპონდენტთა 4.1% თვლის, რომ მის ოჯახს შეუძლია დაიკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნილება, რომელიც საჭიროა ნორმალური ცხოვრებისათვის. დარჩენილ 3.4%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

განვიხილოთ ზემოთ აღწერილი საკითხი ქედის მუნიციპალიტეტში არსებული 9 სხვადასხვა თემისათვის. ცხრილ N4-ზე წარმოდგენილია მოცემული ინფორმაცია.

თითოეულ მოცემულ თემში მცირეა იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის შემდეგ შეუძლია შეიძინოს რაიმე სახის ტექნიკა ან შეუძლია შეიძინოს ყველაფერი ის, რაც მას და მის ოჯახს სჭირდება. ანუ საკითხის თემის დონეზე კვლევით ვიღებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის თითოეულ თემში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი შემოსავლიდან მნიშვნელოვან თანხას ხარჯავს პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და მცირედი თანხა რჩება სხვა სახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ცხრილი N4 ცხოვრების დონე შეძენილი პროდუქციის მიხედვით.

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დანდა-ლო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
ჩემს არ ოჯახს აქვს საკმარისი ფული საჭმლისთვის	3,3%	6,7%	10,0%	0,0%	5,9%	0,0%	3,0%	0,0%	0,0%
ჩემს ოჯახს აქვს საკმარისი ფული საჭმლისთვის,	16,7%	6,7%	16,7%	3,2%	26,5%	6,1%	3,0%	14,7%	14,3%
ფული გვყოფნის საჭმლის და ტანსაცმლის შესაძენისთვის	56,7%	43,3%	33,3%	80,6%	52,9%	60,6%	90,9%	76,5%	46,4%
შეგვიძლია ვიყიდოთ საოჯახო ტექნიკა	16,7%	33,3%	30,0%	12,9%	14,7%	18,2%	0,0%	5,9%	21,4%
შეგვიძლია ვიყიდოთ ყველაფერი რაც გვჭირდება	6,7%	3,3%	10,0%	3,2%	0,0%	3,0%	0,0%	0,0%	14,3%
არ ვიცი	0,0%	6,7%	0,0%	0,0%	0,0%	12,1%	3,0%	2,9%	3,6%

გარდა შემოსავლებისა, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე წარმოდგენის შესაქმნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ ნივთებზე დაკვირვება, რომელსაც ესა თუ ის ოჯახი ფლობს. დიაგრამა N3-ზე წარმოდგენილია თუ გამოკითხულთა რა ნაწილი ფლობს კვლევისთვის საინტერესო ამა თუ იმ ნივთს.

როგორც დიაგრამიდან (N3) ჩანს, გამოკითხული მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს ისეთი ელემენტარული საყოფაცხოვრებო ტექნიკა, როგორებიცაა სარეცხი მანქანა (93.2%) და მაცივარი (97.3%).

დიაგრამა N3 ნივთები, რომლებსაც ფლობენ შინამეურნეობები



სახლის პირობებში განტვირთვისა და ინფორმაციის მიღებისათვის, როგორც ჩანს, მეტწილად ფერადი ტელევიზორის გამოყენება ხდება (97.7%). ანუ, ტელევიზორი უფრო პოპულარულია ქედის მუნიციპალიტეტში კომპიუტერთან და ინტერნეტთან შედარებით. ინტერნეტთან წვდომის შედარებით პოპულარულ გზად ქედის მუნიციპალიტეტში მობილურის საშუალებით ინტერნეტის გამოყენება გვევლინება. ამ გზით ინტერნეტს გამოკითხულთა 79% იყენებს, ხოლო კომპიუტერის ან ლეპტოპის საშუალებით ინტერნეტთან წვდომა მხოლოდ გამოკითხულთა 33.9%-ს აქვს. ის ფაქტი, რომ ინფორმაციის მიღების საშუალებად ძირითადად ტელევიზორი და მობილური ინტერნეტი გვევლინება, გარკვეულწილად პრობლემატურია. ტელევიზორით შედარებით ნაკლებ ინფორმაციასთან წვდომაა შესაძლებელი. მობილური ინტერნეტის გამოყენება ხსნის ინფორმაციის გავრცელების პრობლემას, თუმცა მასაც გარკვეული შეზღუდვები გააჩნია ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით.

მოცემული დიაგრამის მიხედვით შეგვიძლია დავინახოთ ტენდენცია, რომელსაც სახლის ტელეფონის მობილურით ჩანაცვლების პროცესი ჰქვია და რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ ქედის მუნიციპალიტეტისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. მიღებული მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა 21.2% ფლობს სახლის, ხოლო 96% მობილურ ტელეფონებს. ეს პროცესი განვითარების

თანამედროვე პროცესიდან გამომდინარე შესაძლებელია აღქმულ იქნეს, როგორც აბსოლუტურად „ბუნებრივი“ მოვლენა.

დიაგრამა N5-ის მიხედვით გამოიკვეთა ქედის მუნიციპალიტეტისათვის ეგრეთწოდებული „ფუფუნების საგნებიც“. ასეთებად მოცემულ შემთხვევაში გვევლინებიან ჰაერის კონდინციონერი და ფოტოკამერა. გამოკითხულთა მხოლოდ 10.5-10.5% ფლობს როგორც ფოტოკამერას, ისე ჰაერის კონდინციონერს.

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რა წყაროებიდან ხდებოდა 2017 წელს ამა თუ იმ ოჯახის უზრუნველყოფა ფინანსური სახსრებით. ამ გზით შესაძლებელია არა მხოლოდ ახლანდელი სურათის წარმოდგენა, არამედ იმის განსაზღვრაც თუ რა მიმართულებით განვითარდება კონკრეტული ოჯახის მომავალი ფინანსური თვალსაზრისით.

დიაგრამა N 4. ოჯახის შემოსავლის წყარო



გამოკითხულთა 50%-ზე მეტისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს პენსია, ხელფასი ან/და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. გამოკითხულთა მხოლოდ 16.2% იღებს შემოსავალს ახლობელის ან ნათესავისაგან, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. რესპონდენტთა 9.7% ფულად გზავნილებს იღებს საზღვარგარეთ მყოფი ნათესავის ან ახლობლისაგან. საკმაოდ მცირეა ისეთი გამოკითხული, რომელის ოჯახმაც 2017 წლის განმავლობაში მიიღო

შემოსავალი შემდეგი საქმიანობიდან: უძრავი ქონების გაქირავება (3.7%), უძრავი ქონების გასხვისება (3.5%), რეპეტიტორობიდან მიღებული შემოსავალი (2.2%), ექიმის/ექთნის კერძო პრაქტიკიდან მიღებული შემოსავალი (2.0%) და ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული შემოსავალი (4.9%). მცირეა გამოკითხული მოსახლეობის წილი, რომელმაც 2017 წელს მიიღო სოციალური დახმარება (6.4%)

ცალკე ქვეჯგუფად შეიძლება გამოიყოს სეზონურად მომუშავეთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ რამოდენიმე თვიან სამუშაო პროცესში იღებს მონაწილეობას. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება მოსახლეობა, რომელთა ოჯახის წევრები ან თვითონ რესპონდენტები მუშაობდნენ საზღვარგარეთ სეზონურად (31.4%) ან საქართველოში სეზონურად (25.1%). როგორც აქედან ჩანს სეზონური დასაქმება საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ფორმირებაში, რაც თავის მხრივ ყოველთვის პრობლემატურია. პრობლემას წარმოადგენს, როგორც შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული არათანაბარი განაწილება (რომელიც თავის მხრივ არათანაბარ მოხმარებასაც ნიშნავს - მეტი მოხმარება დასაქმების პროცესში და ნაკლები – დარჩენილი წლის მანძილზე), ისე შინაგანი დისკომფორტი, რომელიც არასამუშაო პროცესში ეკონომიკურ პასიურობას ახლავს თან.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას, რომ გამოკითხულთა ოჯახები გარკვეულ შემოსავალს ბათუმში დასაქმებიდან იღებენ. ასეთი რესპონდენტები მთლიანი რესპონდენტების 20.8%-ს წარმოადგენენ. როგორც აქედან ჩანს, ქალაქთან სიახლოვე დადებით როლს თამაშობს ქედის მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრისთვის.

იმ ფონზე, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა უჩივის სამუშაოს უქონლობას, შესაბამისად, შემოსავლების უკმარისობას პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი, საინტერესოა რამდენად ეხმარება ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მოსახლეობას. გამკითხულთა 79.7% აცხადებს, რომ მას არ მიუღია რაიმე ტიპის დახმარება მუნიციპალიტეტისაგან 2017 წლის განმავლობაში. 19.4% ამბობს, რომ მიუღია დახმარება მუნიციპალიტეტისაგან დროის ამ მონაკვეთში, ხოლო 0.9% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. N5ცხრილში წარმოდგენილია, თუ რა სახის დახმარება მიიღო გამოკითხულმა მოსახლეობამ მთავრობისაგან 2017 წელს.

N5 ცხრილიდან ჩანს, რომ 2017 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის დახმარება ძირითადად იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც საჭირო იყო რაიმე სახის სამედიცინო დახმარება. მაგალითად, მოსახლეობის 40%-მა, რომელმაც მუნიციპალიტეტისაგან დახმარება მიიღო, ოპერაციის ხარჯის დასაფარად გამოიყენა. 18.6%-ის შემთხვევაში დახმარების გაწევის მიზანს პიროვნების მედიკამენტებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. როგორც აქედან ჩანს, ქედის მუნიციპალიტეტისათვის ჯანდაცვა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. გარდა ამისა, 2017 წლის მანძილზე დაფიქსირდა შემთხვევები,

როდესაც მუნიციპალიტეტი ოჯახს დაეხმარა სახლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დაფინანსებაში.

ცხრილი N5. თვითმმართველობიდან მიღებული დახმარების მიმღებთა რაოდენობები

	რაოდენობა	პროცენტი
მივიღე დაფინანსება ოპერაციის გასაკეთებლად	23	40,0%
მივიღე დაფინანსება მედიკამენტების შესაძენად	11	18,6%
მივიღე დაფინანსება სახლის გასამაგრებლად	13	22,1%
მივიღე დაფინანსება სასწავლებლად	5	8,8%
სარწყავი მილი	1	1,4%
სახლის სახურავი	2	3,1%
ბინისთვის	1	1,5%
ბავშვის გაჩენისთვის	2	3,1%
სოციალურად დაუცველის სტატუსისთვის	1	1,4%

განვიხილოთ მუნიციპალიტეტის მხრიდან 2017 წელს მოსახლეობის მიმართ გაწეული დახმარება თემების ჭრილში. N6 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ხდებოდა სხვადასხვა თემში მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის მიმართ დახმარების გაწევა.

ცხრილი N 6. მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობისთვის გაწეული დახმარება თემების ჭრილში.

	დაბა ქედა	ცხმორისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნცეთი	დანდალო	მერისი	ოქტომბერი	წონიარისი
კი	3,3%	36,7%	6,5%	16,1%	32,4%	6,1%	15,2%	12,1%	46,4%
არა	96,7%	56,7%	93,5%	83,9%	67,6%	93,9%	84,8%	87,9%	50,0%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	6,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	3,6%

როგორც N6 ცხრილიდან ჩანს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის მიმართ დახმარების გაწევა დაბა ქედაში მცირეა სხვა თემებთან შედარებით. აქ მხოლოდ გამოკითხულთა 3.3% აქვს მიღებული რაიმე ტიპის დახმარება მიღებული. დაბა ქედაში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი (80.6%) მის გარშემო არსებულ საცხოვრებელ პირობებს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ორი მიზეზით: ქედის მოსახლეობას არ დასჭირვებია დახმარება

მუნიციპალიტეტისაგან ან მოსახლეობას დასჭირდა დახმარება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიიღო იგი.

ფინანსური სიდუხჭირისა და სამუშაოს უქონლობის მიუხედავად ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა ნაკლებადაა მიდრეკილი სესხების აღებისკენ (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სესხი მიღებული კერძო მევახშისა თუ ბანკისაგან). დიაგრამა N5-ზე წარმოდგენილია თუ რა სიხშირითა და რა საჭიროების გამო იღებდა სესხს 2017 წლის განმავლობაში გამოკითხული მოსახლეობა.

დიაგრამა N 5 სესხის აღების სიხშირე სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით



2017 წლის განმავლობაში გამოკითხული მოსახლეობის 72.1%-ს არასოდეს აუღია სესხი კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით. გამოკითხულთა 21.3%-ს მოუწია ამ მიზნით რამოდენიმეჯერ აეღო სესხი, ხოლო მხოლოდ 4.7% იღებს სესხს ყოველთვიურად კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით. შედარებით ხშირია სესხის აღების სიხშირე საკვებისა და მედიკამენტების შეძენის მიზნით. კერძოდ, გამოკითხული მოსახლეობის ოჯახების 6.5% უწევს ყოველთვიურად ფულის სესხება ამ მიზნით. გამოკითხულთა 37.1% შედარებით იშვიათად იღებდა სესხს ამ მიზნით, ხოლო 54.4%-ს 2017 წელს არ აუღია სესხი არც საკვების და არც მედიკამენტებისათვის.

2017 წელს გამოკითხული მოსახლეობის 6.9% სესხს იღებდა ყოველთვიურად სხვადასხვა სახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შედარებით იშვიათად იღებდა სესხს გამოკითხულთა 50.4%, ხოლო არასოდეს გამოუყენებია ნასესხი ფულადი საშუალებები გამოკითხულთა 39.6%-ს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ნაკლებადაა მიდრეკილი სესხის აღებისაკენ. ამას შესაძლოა ორი ახსნა მოეძებნოს:

1. შემოსავლის უკმარისობისა და სამუშაოს უქონლობის პირობებში არ არსებობს იმის გარანტია, რომ ნასესხები ფულის დაბრუნება სამომავლოდ არ გაჭირდება. მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლისთვისაც სესხი ვალდებულებასთან ასოცირდება და არა შემოსავლის წყაროსთან (რეალურად ასეცაა - სესხი წარმოადგენს ვალდებულებას), შემოსავლის უკმარისობა შეიძლება იყოს მიზეზი სესხის არ აღებისა.
2. ერთია სესხის არ აღება, ხოლო მეორე - მისი ვერ აღება. შეიძლება რთული იყოს ისეთი ბანკის ან კერძო მევახშის მოძიება, რომელიც სესხს გადასცემს მსურველს იმ პირობებში, რომლის მიხედვითაც გამოკითხული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სამუშაოს გარეშეა დარჩენილი ან მუშაობს სეზონურად. ფულადი სახსრების გამსესხებელს უმუშევრობის პირობებში არ აქვს გარანტია, რომ სესხად აღებული თანხის დაფარვა დროულად მოხდება, ეს კი მისთვის ხელსაყრელი არაა.

საინტერესოა, შემოსავლების რა ნაწილი იხარჯება საკვებზე, მედიკამენტებსა და კომუნალურ გადასახადებზე. მოცემული ინტერესი მომდინარეობს იქიდან, რომ ზემოხსენებული ხარჯები დაკავშირებულია ადამიანის საბაზისო მოთხოვნილებებთან. თუკი გამოვა ისე, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი ამ ტიპის საქონელსა და მომსახურებაზე იხარჯება, მაშინ საფიქრებელია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მასლოუს პირამიდის ქვედა საფეხურზე იმყოფება, რაც გულისხმობს ორიენტირის მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ქონას. განვიხილოთ დიაგრამა N6. მასზე მოცემულია სამი სხვადასხვა ტიპის ხარჯები, როგორც მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი: მედიკამენტების, საკვებისა და კომუნალური ხარჯები. ჰორიზონტალურ ღერძზე წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლის ინტერვალებად დანაწილება (ინტერვალები შეფარდებითი სიდიდეებისთვისაა გამოსახული - აგებულია პროცენტული მაჩვენებლებისათვის).

დიაგრამა N6. მედიკამენტებზე, საკვებსა და კომუნალურ გადასახადებზე გაწეული დანახარჯების წილი მთლიან შემოსავალში



როგორც დიაგრამა N6-დან ჩანს გამოკითხული მოსახლეობის ხარჯი მედიკამენტებზე საშუალოდ ოჯახის შემოსავლის [0-20]% ინტერვალში ვარდება. ანუ საშუალო რესპონდენტის ოჯახი მედიკამენტებზე საკუთარი შემოსავლის არაუმეტეს 20%-ს ხარჯავს, რაც, ერთი შეხედვით დასაშვებ შედეგს გვაძლევს. თუმცა ერთია რას ამბობს საშუალო მაჩვენებელი, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ფაქტი, რომ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად იცვლება სხვადასხვა რესპოდენტის ოჯახს შორის. კერძოდ, რესპონდენტთა 8.2% საკუთარი შემოსავლის 40-60%-ს მედიკამენტებზე ხარჯავს, ხოლო 3.9% კი უფრო მეტს - 60-80%-ს იყენებს საიმისოდ, რომ შეიძინოს მედიკამენტები.

უფრო მარტივი დასანახია პრობლემის არსებობა თუ განვიხილავთ გამოკითხული რესპონდენტების ხარჯებს საკვების შესაძენად. როგორც დიაგრამა N6-დან ჩანს საშუალო რესპონდენტის ოჯახი საკუთარი შემოსავლის 40-60%-ს ხარჯავს საკვებზე, რაც სავარაუდოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

კომუნალური გადასახადების მხრივს პრობლემა თითქმის არ არსებობს. დიაგრამის მიხედვით საშუალო რესპონდენტის ოჯახი საკუთარი შემოსავლის 0-20%-ს ხარჯავს, თუმცა ამ შემთხვევაშიც გვხვდება პრობლემური ჯგუფი (გამოკითხულთა 4.3%), რომელიც საკუთარი შემოსავლის 40-60%-ს ხარჯავს კომუნალურ გადასახადებზე.

ვფიქრობთ, ზემოთ განხილულ საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოაჩენს. აღნიშნული პრობლემა მეორედ გამოჩნდა, თუმცა ამჯერად იგი სხვა

კუთხიდან დავინახეთ. პირველ ეტაპზე ვნახეთ შემდეგი სურათი: გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ მას და მის ოჯახს არ შეუძლია საკუთარი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება. უფრო მეტიც, მათი შემოსავლის უდიდესი ნაწილი იხარჯება საკვებზე, ტანსაცმელსა და ელემენტარულ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე. სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გამოკითხულთა უმრავლესობას არ შეუძლია. აღნიშნული პრობლემა ამჯერად ცოტა სხვა კუთხით დავინახეთ: რესპონდენტთა დიდი ნაწილი საკუთარ შემოსავლების მნიშვნელოვან პროცენტს ხარჯავს საკვებზე, მედიკამენტებსა და კომუნალურ გადასახადებზე. დასკვნა ორივე ზემოხსენებულ შემთხვევაში ერთია - ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის დაკმაყოფილებული არ არის პირველადი მოთხოვნილებები.

2. საცხოვრებელი პირობები

განვიხილოთ სახლის მდგომარეობით კმაყოფილება ქედის მუნიციპალიტეტში არსებული თემების ჭრილში. N7 ცხრილში წარმოდგენილია მოცემული ინფორმაცია.

ცხრილი N7. რესპონდენტთა კმაყოფილება საკუთარი საცხოვრებელი სახლებით (თემების მიხდვით).

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დან-დალო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
ძალიან კმაყოფილი	50,0%	30,0%	16,7%	0,0%	8,8%	5,9%	27,3%	33,3%	27,6%
კმაყოფილი	36,7%	53,3%	76,7%	81,3%	64,7%	73,5%	63,6%	66,7%	55,2%
უკმაყოფილო	10,0%	16,7%	6,7%	15,6%	20,6%	8,8%	9,1%	0,0%	10,3%
ძალიან უკმაყოფილო	3,3%	0,0%	0,0%	3,1%	5,9%	8,8%	0,0%	0,0%	0,0%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	2,9%	0,0%	0,0%	6,9%

დაბა ქედაში გამოკითხულთა 50% საკუთარი სახლის მდგომარეობით ძალიან კმაყოფილია, რაც ნებისმიერი სხვა თემის შესაბამის მაჩვენებელზე მაღალია (იხილით ცხრილი N7). სხვა თემების შემთხვევაში გამოკითხული მოსახლეობა საკუთარი სახლის მდგომარეობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ იგი უბრალოდ კარგ მდგომარეობაშია. აღნიშნული სურათი საერთოა ნებისმიერი თემისათვის. ზემოთ მოყვანილი ცხრილი შესაბამისობაშია ზოგად სურათთან, რომლის მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად კმაყოფილია

საკუთარი სახლის მდგომარეობით. როგორც ჩანს, ეს სურათი ნებისმიერი თემის შემთხვევაში შეინიშნება, თუმცა იგი განსაკუთრებით ნათლად დაბა ქედაში ჩანს.

დიაგრამა N7-ზე წარმოდგენილია სახლის კეთილმოწყობისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის საშუალებები და გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ კეთილმოწყობის საშუალებას ფლობს.

დიაგრამა N7 სახლის კეთილმოწყობის საშუალებები



როგორც დიაგრამა N7-დან ჩანს, რესპონდენტთა დიდი ნაწილის ოჯახი აღჭურვილია ისეთი აუცილებელი საგნებით, როგორებიცაა: ტუალეტი სახლში (89.5%), აბაზანა სახლში (95.2%), შეშის ღუმელი (97%), ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა სახლში (88.5%). ეზოში არსებული აბაზანა ჩანაცვლებულია სახლში არსებული აბაზანით და ამჟამინდელი მდგომარეობით გამოკითხულთა მხოლოდ 7.4%-ს აქვს აბაზანა ეზოში. ჭის ფუნქციებს ითავსებს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა. გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს აქვს ჭა. რაც შეეხება გათბობას, როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად შეშის ღუმლით თბება და მხოლოდ მათ მცირე ნაწილს მიუწვდება ხელი ცენტრალურ გათბობასთან (2.2%). ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს წვდომა არც ეგრეთწოდებულ გაზის „კალონკასთან“ და არც დენის „ატმორთან“. ცხელი

წყლისთვის გამოკითხულთა დიდი ნაწილი (68.4%) იყენებს შეშის ღუმელს, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ დისკომფორტთანაა დაკავშირებული.

3. დასკვნები

მოცემულ თავში განვიხილეთ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები. პირველი, რაც აღინიშვნის ღირსია არის ის, რომ ქედის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარი შემოსავლით შეუძლია მხოლოდ პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილება და არ შეუძლია კონცენტრირების მოხდენა უფრო მაღალი რანგის მოთხოვნილებებზე. ამას ადასტურებს როგორც შედეგები პირდაპირ კითხვაზე _ როგორ შეაფასებდნენ საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე შედეგები, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი საკუთარი შემოსავლიდან მნიშვნელოვან თანხას ხარჯავს მედიკამენტებზე, საკვებით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებზე.

გამოკითხული მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს პენსია, ხელფასი ან/და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. ზემოხსენებული შემოსავლის წყაროებიდან (ერთ-ერთიდან მაინც) 2017 წელს შემოსავალი მიღებული აქვს გამოკითხულთა 50%-ზე მეტს. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილისათვის დამსაქმებლად ქალაქი ბათუმი გვევლინება (20.8%), რაც სავარაუდოდ ქალაქთან ტერიტორიული სიახლოვითაა გამოწვეული.

მცირეა ქედის მუნიციპალიტეტში ისეთი ადამიანების რიცხვი, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ ადგილობრივი მთავრობისაგან (გამოკითხულთა 6.4%). მსგავსი სურათია მთავრობის ერთჯერადი დახმარებების კუთხითაც. 2017 წლის განმავლობაში რესპონდენტთა 19.4%-მა მიიღო მუნიციპალიტეტისაგან ერთჯერადი დახმარება სხვადასხვა მიზნისათვის. ერთჯერადი დახმარების სიმცირეს განსაკუთრებით დაბა ქედის მოსახლეობა უჩივის, თუმცა არ გამოირიცხება, რომ მათ რეალურად არც აქვთ ამგვარი საჭიროება, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ აფასებენ ისინი საკუთარ ცხოვრების დონეს.

აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხული ნაწილი საკუთარ საცხოვრებელ პირობებს მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებს. მოცემული დასკვნა ეხება მუნიციპალიტეტში არსებულ თითოეულ თემს, თუმცა იგი განსაკუთრებით კარგად დაბა ქედაში ჩანს, სადაც გამოკითხულთა 50% საკუთარ საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას ძალიან დადებითად აფასებს.

VI. განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

1. ზოგადი მდგომარეობა

განვიხილოთ ქედაში არსებული სიტუაცია განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველ რიგში, რამდენად არსებობს რესპონდენტის სიახლოვეს განათლებასთან და ჯანდაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული ობიექტები. დიაგრამა N8-ზე გრაფიკულადაა გაანალიზებული რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე, არის თუ არა კონკრეტული დაწესებულება მის თემსა თუ სოფელში.

დიაგრამა N8. საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული დაწესებულებები ქედის მუნიციპალიტეტში



როგორც დიაგრამიდან ჩანს ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სოფლები თუ თემები ნაკლებად უჩივიან საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირეს. მართლაც, გამოითხულთა 97.6% ამბობს, რომ მის სოფელში ან თემში არსებობს სკოლა, სადაც მსურველს შეუძლია მიიღოს სრული ზოგადი განათლება. გამოკითხულთა 94.8%-ს აქვს წვდომა საბავშვო ბაღთან, რომელიც მის სოფელში/თემში არსებობს. შედარებით მცირეა იმ რესპონდენტთა წილი (66.3%), რომელიც ამბობს, რომ მის სოფელში/თემში არსებობს არასრული სკოლა.

ერთი შეხედვით განსხვავებული სიტუაციაა იმ ობიექტებთან დაკავშირებით, რომელთა დანიშნულებაც ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს. კერძოდ, მხოლოდ გამოკითხულთა 14.2%-ის სოფელში/თემში არსებობს აფთიაქი, ხოლო რესპონდენტთა 15.7%-ის შემთხვევაში არსებობს საავადმყოფო მათსავე

სიახლოვეს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სოფლის ექიმის მომსახურების მხრივ. გამოკითხულთა 56.3% აცხადებს, რომ მის სოფელში/თემში არსებობს სოფლის ექიმი, რომლისგანაც შესაძლებელია კონკრეტული მომსახურების მიღება. საავადმყოფოებისა და აფთიაქების სიმცირეს გარკვეულწილად აბალანსებს ამბულატორიების მაღალი რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტში. როგორც დიაგრამიდანიდან ჩანს, გამოკითხულთა 88.9% ამბობს, რომ მის სოფელში/თემში არის ამბულატორია.

ცხრილი N8 გვიჩვენებს მანძილს რესპონდენტის სახლიდან კონკრეტულ საგანმანათლებლო თუ ჯანდაცვის ობიექტამდე.

ცხრილი N8. მანძილი საცხოვრებელი სახლიდან ობიექტამდე

%	სკოლა	არასრული სკოლა	საბავშვო ბაღი	ამბულატორია	საავადმყოფო	ექიმი (კერძო მომსახურება)
[0-2] კმ	59,8	87,1	57,7	63,5	65,5	52,6
(2-4] კმ	25,2	10,3	26,0	24,3	20,6	28,7
(4-6] კმ	9,5	0,0	10,4	6,2	3,8	5,2
(6-8] კმ	4,9	0,9	5,9	1,6	6,1	6,9
(8-10] კმ	0,6	0,0	0,0	1,4	4,0	0,7
უარი პასუხზე	0,0	1,7	0,0	3,0	0,0	5,8

ზემოთ მოცემული ცხრილი რაიმე სახის ტენდენციას არ უსვამს ხაზს. თითოეული ზემოთ წარმოდგენილი ობიექტის შემთხვევაში გვაქვს შემდეგი სიტუაცია: მოსახლეობის ნახევარზე მეტი 1-2 კილომეტრში იმყოფება თითოეული ხსენებული ობიექტიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ არის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სხვადასხვა ობიექტთან 8-10 კილომეტრით არიან დაშორებულნი, თუმცა ასეთი მოსახლეობა ძალზედ მცირეა. ეს ფაქტი ჩანს N8 ცხრილში.

ობიექტთან მისასვლელად მნიშვნელოვანია, როგორც მანძილი ისე ტრანსპორტირების შესაძლებლობა მოცემულ ობიექტამდე. დიაგრამა N9-ზე განხილულია თუ რა სახის სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის ფეხით) დადის გამოკითხული მოსახლეობა მათთვის საჭირო ობიექტამდე.

დიაგრამა N9. საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ობიექტებამდე მისვლის საშუალებები



როგორც დიაგრამა N9-ზე ვხედავთ, საგანმანათლებლო დაწესებულებებამდე მისასვლელ ძირითად საშუალებას წარმოადგენს სიარულისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება. მართლაც, სკოლის გამოკითხულ მოსწავლეთა 55.4% გადაადგილებისათვის საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებს, ხოლო 38.5% სიარულით მიდის სკოლამდე. არასრული სკოლის შემთხვევაში 22% იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ხოლო 64.5% ფეხით გადაადგილდება აღნიშნულ ობიექტამდე. საბავშვო ბაღის ბავშვების 37.2% ობიექტამდე ფეხით მიდის, 33.9% კი საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებს. საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ობიექტამდე მიყვანა ხშირად (20.9%) ავტომანქანის გამოყენებით ხორციელდება. სიარულისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამგვარი პოპულარობა არ არის გასაკვირი, რადგან როგორც N3 ცხრილში ვნახეთ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მომხმარებლების დიდი ნაწილი შესაბამისი დაწესებულებებიდან 1-2 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობენ, ხოლო ამ მანძილის დასაფარად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ან ფეხით სიარული სრულიად მისაღებია.

აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო დაწესებულებებამდე მისვლის პოპულარულ საშუალებას არ წარმოადგენს სკუტერისა და მოპედის გამოყენება. მოცემული დასკვნა ეფუძნება იმ ფაქტს, რომლის მიხედვითაც გამოკითხული 284 რესპონდენტიდან არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც მოცემულ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მისასვლელად. ნაკლებ გავრცელებულ ტრანსპორტირების მეთოდს განეკუთვნება სახლიდან აღსაზრდელის წამოყვანა საგანმანათლებლო დაწესებულების კუთვნილი მანქანით. გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 0.3% იყენებს ამ მეთოდს როგორც საბავშვო ბაღამდე, ისე

სკოლამდე მისასვლელად, ხოლო არასრული სკოლის შემთხვევაში იგი საერთოდ არ გამოიყენება. ზემოხსენებულის ახსნაც შეიძლება იმ ფაქტით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ახლოს იმყოფება და არ დგას ამ სერვისის განვითარების საჭიროება.

სატრანსპორტო საშუალებები მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება, როდესაც განვიხილავთ ჯანდაცვის ობიექტებამდე ტრანსპორტირების საკითხს. ამბულატორიამდე გამოკითხული მოსახლეობის 43.5% მიდის ფეხით, 9.6% მანქანით, 20.5% საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ხოლო 24.2%-ის შემთხვევაში მომსახურების გაწევა რესპონდენტის სახლში ხდება. გამოკითხულთა 2.2% უარს ამბობს უპასუხოს კითხვას თუ რა ტრანსპორტით მიდის ამბულატორიამდე. გამოკითხულთა 28% საავადმყოფომდე მიდის ფეხით, 22.7% ავტომანქანით და 46.6% საზოგადოებრივი ტრანსპორტით. გამოკითხულთა 3.7%-ს უჭირს პასუხის გაცემა იმასთან დაკავშირებით თუ რა სახის სატრანსპორტო საშუალება სჭირდება საავადმყოფოთი სარგებლობისათვის. ექიმის კერძო მომსახურების მისაღებად გამოკითხულები გადაადგილდებიან ფეხით (22.5%), პირადი ავტომანქანით (3.4%), საზოგდოებრივი ტრანსპორტით (22.3%) ან ექიმი თვითონ მიდის ავადმყოფთან სახლში (44.8%). გამოკითხულთა 6.2%-ს უჭირს უპასუხოს კითხვას, თუ რა სახის სატრანსპორტო საშუალებას იყენებს ექიმის კერძო მომსახურების მისაღებად. აფთიაქში გამოკითხულთა დიდი ნაწილი ფეხით მიდის (56.7%), 9.4% გადაადგილდება კერძო სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით, ხოლო 31.9% იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს. გამოკითხულთა 2%-ს თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მოიცავდა ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლებელია გაართულოს ან გაამარტივოს განათლებასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღება. ასეთი ფაქტორების როლში ზემოთ განხილული იყო მანძილი ობიექტიდან მისი სარგებლობის მოსურნე ინდივიდამდე და ამ მანძილის დაფარვის საშუალებები. ეს მხოლოდ ორი (თუმცაღა მნიშვნელოვანი) კონკრეტული მიზეზია. რეალურად კი ხსენებული მომსახურების მიღებაზე მრავალმა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა, რომელთაგან ყველა დაკვირვებადიც კი არ არის. შესაბამისად, იმის გასაანალიზებლად, არსებობს თუ არა საგანანათლებლო და ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები, განხილულია გამოკითხული მოსახლეობის რა ნაწილს დასჭირვებია კონკრეტული მომსახურება და მიუღია თუ არა ეს მომსახურება შესაბამისი ობიექტისგან. ამ მიზნით წარმოდგენილია დიაგრამა N10.

დიაგრამა N10. ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა



საჯარო სკოლის მომსახურება არ დასჭირვებია გამოკითხული მოსახლეობის 12.2%. დარჩენილ 87.8%-ს ერთხელ მაინც დასჭირვებია სკოლის გამოყენება. გამოყენების მსურველთა 14.7%-ს (გამოკითხულთა 12.8% დიაგრამა N10-დან)[24] არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სასურველი სერვისით. დარჩენილმა 83.5%-მა გამოიყენა საჯარო სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისი.

აღსანიშნავია შემდეგი: სკოლის სერვისის მოსარგებლეთა 96.8% ძალიან ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩა მიღებული მომსახურებისა. მხოლოდ სკოლით მოსარგებლეთა 2.2% ამბობს, რომ მიღებული სერვისი სრულიად უხარისხოა. დარჩენილ 2%-ს უჭირს მიღებული სერვისის ხარისხთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

სკოლამდელი დაწესებულების მომსახურების გამოყენება არ დასჭირვებია გამოკითხულთა 52.5%-ს, ხოლო დარჩენილ 47.5%–ს იგი დასჭირვებია. იმ მოსახლეობის 29.5%-მა, რომელსაც ჰქონდა სკოლამდელი დაწესებულების გამოყენების სურვილი, შეძლო აღნიშნული დაწესებულების გამოყენება. დარჩენილი

[24] შენიშვნა! სკოლის გამოყენების მსურველთა 14.7% ([12.8/87.8]*100) რაოდენობრივად იგივეა, რაც გამოკითხული მოსახლეობის 12.8%. მოცემული პროცენტული მაჩვენებლის გამოყენების მიზანია წარმოადგინოს მაქსიმალურად სწორი სურათი. ამის განსახორციელებლად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ადამიანების წილზე, ვინც სცადა და ვერ მიიღო მომსახურება და არა მათზე, ვისაც ეს არ უცდია. სხვა დაწესებულებებისათვის დიაგრამა N10-ზე მოცემული იქნება გამოკითხულთა ის პროცენტული წილი, რომელსაც ეს დაწესებულება დასჭირდა და ვერ გამოიყენა, ხოლო მსჯელობაში გამოვიყენებთ იმ მაჩვენებელს, რომელიც გვეუბნება თუ რა ნაწილმა ვერ გამოიყენა დაწესებულება იმათგან, ვისაც იგი დასჭირდა.

70.5%-ისათვის სკოლამდელი დაწესებულების გამოყენება პრობლემას არ წარმოადგენდა. გამოდის, რომ იმ რესპონდენტებიდან, რომელსაც სკოლამდელი დაწესებულებით სარგებლობა დასჭირვებია, ყოველმა მესამემ ვერ შეძლო ამ მომსახურების მიღება, რაც ხაზს უსვამს ისეთი ფაქტორების არსებობას, რომლებიც აფერხებს სკოლამდელი დაწესებულებით სარგებლობას.

სკოლამდელი დაწესებულებით მოსარგებლეთა 94.2% კმაყოფილი ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილია მიღებული სერვისით. მხოლოდ 2.7%-ს არ მოსწონს სკოლამდელი დაწესებულების მომსახურება. რაც შეეხება დარჩენილ 3.1%-ს მათ უჭირთ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 20.7% ამბობს, რომ მას არასოდეს დასჭირვებია ჯანდაცვის ადგილობრივი მომსახურების (ამბულატორია, ოჯახის ექიმი...) მიღება, ხოლო 79.3% ჰქონია მათი გამოყენების საჭიროება. მათ 4.7%-ს, ვისაც დასჭირვებია ამ ტიპის მომსახურება, გაუჭირდა სასურველი მომსახურების მიღება, ხოლო დარჩენილმა 95.3%-მა მიიღო იგი. როგორც აქედან ჩანს, ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ჯანდაცვის მომსახურება ხელმისაწვდომია ქედის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის.

ადგილობრივი ჯანდაცვის ობიექტებით მოსარგებლეთა 93.9% მიღებული მომსახურების ძალიან ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. მხოლოდ, 2.2% აცხადებს, რომ მის მიერ მიღებული მომსახურება უხარისხო იყო, ხოლო 3.8%-ს უჭირს მომსახურების ხარისხის შეფასება.

გამოკითხულთა 42.8%-ს არასოდეს დასჭირვებია საბავშვო წრეების გამოყენება (ცეკვის, სიმღერის, სპორტული წრეები...). 57.2%–ს დასჭირვებია, თუმცა მათ 37.9%-ს ვერ უსარგებლია. დარჩენილმა 62.1%-მა ისარგებლა სასურველი სერვისით. პრობლემა აქაც ნათლად ჩანს - მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს საბავშვო წრეებით სარგებლობის ხელშემშლელი ფაქტორები.

ისევე, როგორც საჯარო სკოლის, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ჯანდაცვის ადგილობრივი მომსახურების შემთხვევაში, მოსახლეობა საბავშვო წრეების ხარისხსაც არ უჩივის. კერძოდ, საბავშვო წრეებით მოსარგებლეთა 88% მიღებული მომსახურების ძალიან ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. 9.2% თვლის, რომ მიღებული სერვისი უხარისხოა, ხოლო 2.8% თავს იკავებს პასუხის გაცემისგან.

განვიხილოთ, რამდენად არსებობს ცალკეულ თემში კონკრეტულ ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან წვდომა. N9 ცხრილში წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის 9 თემში გამოკითხული მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა სხვადასხვა ობიექტი მათ თემში.

ცხრილი N9. ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წვდომა თემების ჭრილში

		დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დან-დალო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
სკოლა	კი	100,0%	96,7%	100,0%	100,0%	97,1%	100,0%	100,0%	87,9%	96,4%
	არა	0,0%	3,3%	0,0%	0,0%	2,9%	0,0%	0,0%	12,1%	3,6%
არასრულო სკოლა	კი	26,7%	90,0%	56,7%	100,0%	36,4%	21,2%	93,9%	93,9%	78,6%
	არა	73,3%	10,0%	43,3%	0,0%	63,6%	78,8%	6,1%	6,1%	21,4%
საბავშვო ბაღი	კი	100,0%	96,7%	90,3%	90,3%	94,1%	93,9%	93,9%	97,0%	96,4%
	არა	0,0%	3,3%	9,7%	9,7%	5,9%	6,1%	6,1%	3,0%	3,6%
ამბულატორია	კი	93,3%	93,3%	100,0%	100,0%	44,1%	100,0%	78,8%	97,0%	100,0%
	არა	6,7%	6,7%	0,0%	0,0%	55,9%[25]	0,0%	21,2%	3,0%	0,0%
საავადმყოფო	კი	100,0%	26,7%	0,0%	0,0%	5,9%	0,0%	0,0%	0,0%	14,3%
	არა	0,0%	73,3%	100,0%	100,0%	94,1%	100,0%	100,0%	100,0%	85,7%
ექიმი (კერძო მომსახურება)	კი	25,8%	73,3%	71,0%	80,6%	8,8%	0,0%	93,9%	84,8%	75,9%
	არა	74,2%	26,7%	29,0%	19,4%	91,2%	100,0%	6,1%	15,2%	24,1%
აფთიაქი	კი	100,0%	26,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	6,9%
	არა	0,0%	73,3%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	93,1%

როგორც ცხრილში ვხედავთ, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება თემებში სხვადასხვა საგანმანათლებლო და ჯანდაცვასთან დაკავშირებული ობიექტების არსებობის კუთხით. დაბა ქედის გამოკითხული მოსახლეობის 100% ადასტურებს

[25] კვლევის პრეზენტაციისას ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ დოლოგანი ცალკე ერთეულად გამოეყო მახუნცეთს, ამიტომ აქვს დაბალი პროცენტი ამბულატორიას (დოლოგანში ამბულატორია არ არის).

დასახლებაში სკოლის არსებობას. რაც შეეხება სხვა თემებს, არის შემთხვევები, როდესაც გამოკითხული მოსახლეობა არ ადასტურებს მის სოფელში/თემში სკოლის არსებობას. სკოლების სიმრავლის გამო, როგორც ჩანს, ნაკლებად არსებობს არასრული სკოლის არსებობის საჭიროება დაბა ქედის შემთხვევაში, სხვა თემებთან შედარებით. სწორედ ამას ადასტურებს მოყვანილი მონაცემები. კერძოდ, მხოლოდ დაბა ქედის გამოკითხული მოსახლეობის 26.1% ადასტურებს მის სიახლოვეს არასრული სკოლის არსებობას. ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდია სხვა თემების შემთხვევაში (გარდა დანდალოს თემისა - 21.2%). რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, აქაც იგივე სურათია, რაც გვქონდა სკოლების შემთხვევაში: დაბა ქედის გამოკიხული მოსახლეობის 100% ადასტურებს მის სოფელში საბავშვო ბაღის არსებობას, ეს მაჩვენებელი კი სხვა თემებისათვის ასეთი მაღალი არ არის.

მნიშვნელოვანი ტენდენციები იკვეთება საავადმყოფოს, სოფლის ექიმის მომსახურებისა და აფთიაქების არსებობა/არარსებობის კუთხითაც. მოცემული ტენდენციებიც უკავშირდება განსხვავებას დაბა ქედასა და სხვა თემებს შორის. კერძოდ, გამოკითხული მოსახლეობის 100% ადასტურებს დაბა ქედაში საავადმყოფოს (საავადმყოფოების) არსებობას. სხვა თემების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ბევრად მცირეა (ხშირ შემთხვევაში ნულსაც უტოლდება). რაც შეეხება სოფლის ექიმს, ასეთის არსებობაზე დაბა ქედაში გამოკითხულთა მხოლოდ 25.8% საუბრობს. N9 ცხრილიდან ჩანს, რომ ყველა სხვა თემის შემთხვევაში მოცემული მაჩვენებელი ბევრად დიდია. ეს მონაცემები, საავადმყოფოს არსებობასთან დაკავშირებულ მონაცემებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ დაბა ქედაში საავადმყოფოებზე ხელმისაწვდომობა ამცირებს სოფლის ექიმის მომსახურების საჭიროებას. რაც შეეხება დარჩენილ თემებს, აქ შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია: საავადმყოფოების მომსახურება აქ, როგორც ჩანს, სოფლის ექიმის მომსახურებითაა ჩანაცვლებული.

აფთიაქებთან დაკავშირებითაც შეინიშნება დაბა ქედის, როგორც მუნიციპალური ცენტრის უპირატესი მდგმარეობა. დაბა ქედის გამოკითხული მოსახლეობის 100% ადასტურებს მის სიახლოვეს აფთიაქის არსებობას. რაც შეეხება სხვა თემების შემთხვევას, სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია და შესაბამისი მაჩვენებლები ბევრად დაბალი.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ქედის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის 92.3%-ს ოჯახში არ ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები, ხოლო 6.8% შშმ პირებთან ერთად ცხოვრობს. გამოკითხულთა 0.9%-ს უჭირს გასცეს პასუხი კითხვას, ცხოვრობს თუ არა მის ოჯახში შშმ პირი.

გამოკითხულთა 59.3% ამბობს, რომ მის თემში/სოფელში ცხოვრობს შშმ პირი და იგი მას/მათ იცნობს. რესპონდენტთა 39.8% შშმ პირს საკუთარ სოფელსა თუ თემში არ იცნობს, ხოლო 0.9%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

საინტერესოა, რამდენად აქტიურები არიან შშმ პირები რესპონდენტთა შეფასებით. ამის დასადგენად ინტერვიუერმა კითხვარის შევსებისას რესპონდენტებს გააცნო რამდენიმე მტკიცება შშმ პირების აქტივობასთან დაკავშირებით და სთხოვა მათ ამ წინადადებების თანხმობა ან უარყოფა მოეხდინათ. დიაგრამა N11-ზე წარმოდგენილია შედეგი, რომელიც აღნიშნულმა ქმედებამ მოგვცა.

დიაგრამა N11. შშმ პირები და მათი აქტივობა



პირველი მტკიცების შინაარსი შემდეგი სახისაა: შშმ პირები ძირითადად არ გამოდიან, ან არ გამოჰყავთ სახლიდან. როგორც დიაგრამა N11-დან ჩანს მოცემულ მტკიცებას დაეთანხმა მხოლოდ 15.4%, უარყო 79.8%-მა და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისგან თავი შეიკავა 4.8%-მა.

შემდეგი მტკიცების მიხედვით შშმ პირებთან მეზობლებს და ნათესავებს ისეთივე ურთიერთობა აქვთ, როგორიც ყველა სხვა დანარჩენთან. მოცემულ მტკიცებას გამოკითხულთა დიდი ნაწილი – 69,6% დაეთანხმა. იგი უარყო 26.4%-მა და ვერ უპასუხა 4%-მა.

მესამე მტკიცება ძირითადად იმის გაანალიზებას ემსახურება, არიან თუ არა დასაქმებულები შშმ პირები. გამოკითხულთა უმრავლესობა მოცემულ აზრს უარყოფს (81.7%) და ამბობს, რომ შშმ პირები არ არიან დასაქმებულნი. მხოლოდ 13.9% ადასტურებს მათ დასაქმებას, ხოლო 4.4% ვერ ახერხებს აღნიშნული მტკიცების დადასტურებას ან უარყოფას.

მეოთხე მტკიცების მიხედვით შშმ პირებისათვის სრულიად ადაპტირებულია სოციალური გარემო. აქაც გამოკითხულთა უმრავლესობა არ ეთანხმება აღნიშნულ მტკიცებას (72.6%). ეთანხმება მხოლოდ 18.7% და უარს ამბობს პასუხზე 8.7%.

მეხუთე მტკიცების მიხედვით შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია/ადაპტირებულია სამედიცინო დაწესებულებები. წამოყენებულ აზრს 35.7% ეთანხმება, 56.4% უარყოფს, ხოლო 7.9% თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან. მდგომარეობა ამ კუთხით თითქოს უკეთესია იმასთან შედარებით, რაც გვაქვს დასაქმებასთან და სოციალური გარემოს ადაპტაციასთან დაკავშირებით, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ საქმე ეხება სამედიცინო დაწესებულობის ხელმისაწვდომობისა და ადაპტირებულობის ხარისხს, მივხვდებით, რომ მონაცემები საკმაოდ საგანგაშო შედეგს იძლევა.

საბოლოო დებულება რესპონდენტებს სთავაზობს შემდეგ მტკიცებას: შშმ პირები ერთვებიან თემისა და მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში. მოცემულ მტკიცებას გამოკითხულთა 13.1% ეთანხმება, 78% უარყოფს, ხოლო 8.9% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას მივიღებთ, რომ შშმ პირები არ არიან სხვადასხვა ეკონომიკურ თუ სოციალურ აქტივობაში აქტიურად ჩართული. ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა და საჭიროა ამ კუთხით მუშაობა, თუმცა აქ ხაზგასასმელია ერთი ფაქტი - გამოკითხულთა 39.8% ამბობს, რომ იგი არ იცნობს შშმ პირს მის სოფელში/თემში. არადა იმისათვის, რომ კვლევაში გამოყენებულმა მეთოდმა იმუშაოს და მოხდეს იმის დადგენა, არიან თუ არა შშმ პირები სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩართული აუცილებელია რესპონდენტი იცნობდეს შშმ პირს (მინიმუმ ერთს). შესაბამისად, არსებული მონაცემების ინტერპრეტაციისას აუცილებელია განხილულ იქნეს მიღებულ მონაცემებთან დაკავშირებული შესაძლო ხარვეზი. გარდა ამისა, ჩვენი საბოლოო დასკვნა შშმ პირების პასიურობის შესახებ ძალაში რჩება შემდეგი მიზეზით: ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 39.8% არ იცნობს შშმ პირს შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინდიკატორი ეკონომიკური თუ სოციალური აქტივობის შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ეს ინდიკატორი მიგვითითებს, რომ ქედის მუნიციპალიტეტში შშმ პირები არ არიან აქტიურად ჩართულნი სხვადასხვა სახის პროცესში, არ არიან ეკონომიკურად და სოციალურად აქტიურები.

3. დასკვნები

ზოგადად ქედის მუნიციპალიტეტში არ შეინიშნება საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლა, არასრული სკოლა და საბავშვო ბაღი) სიმცირე. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დაბა ქედის შემთხვევაში. სიტუაცია განსხვავებულია ჯანდაცვასთან დაკავშირებული ობიექტების განხილვისას. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე შეიმჩნევა საავადმყოფოების არარსებობა

სხვადასხვა სოფელსა თუ თემში (84.3%). გამოკითხულთა მცირე ნაწილი ადასტურებს მის სოფელში აფთიაქის არსებობას (14.2%). შედარებით მეტი გამოკითხულის სოფელში/თემში არსებობს ამბულატორია (88.9%) და სოფლის ექიმის მომსახურება (56.3%).

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულება არ იმყოფება რესპონდენტის სოფელსა და თემში, იგი ძირითად შემთხვევაში იმყოფება შესაბამისი სოფლიდან და თემიდან ახლო მანძილზე. ძირითად შემთხვევაში ეს მანძილი 0–დან 2 კმ–მდე ინტერვალში მერყეობს. ობიექტის სიახლოვე გარკვეულწილად ხსნის თემში ობიექტის არარსებობის პრობლემას, თუმცა როგორც ზემო მონაცემებით დასტურდება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არის შემთხვევები, როდესაც ობიექტი დასჭირდა ცალკეულ სუბიექტს და მან სასურველი მომსახურებით ვერ ისარგებლა (იხილეთ დიაგრამა N10).

აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საზოგადოებისაგან იზოლირებულობაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალური გარემო მათზე მორგებული არაა, არ აქვთ მათი შესაბამისი სამუშაო და ნაკლებად გამოდიან სახლიდან.

VII. ინფრასტრუქტურული საჭიროებები

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობაა ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის კუთხით და ამაზე დაყრდნობით გაანალიზებულია, თუ რა სახის პროგრესია საჭირო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

დიაგრამა N12-ზე წარმოდგენილია გამოკითხულთა სოფლების/თემების მდგომარეობა ინფრასტრუქტურის კუთხით.

დიაგრამა N12. სოფელში/თემში არსებული ინფრასტრუქტურა



ამ აბზაცში მსჯელობა მიყვება შემდეგ პრინციპს: არსებობს ან არ არსებობს ხსენებული სახის ინფრასტრუქტურა, ამიტომ მსჯელობაში განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელიც გულისხმობს ობიექტის არსებობას და ვიგულისხმებთ, რომ დანარჩენი პროცენტი მოიცავს იმ რესპონდენტენს, რომელებსაც ეს ობიექტი არ მოეპოვებათ სოფელსა თუ თემში. გამოკითხულთა 83%-ის სოფელში/თემში არსებობს მოასფალტებული გზა. 44%-ის შემთხვევაში მის სოფელს/ თემს აქვს მოხრეშილი, ხოლო 67.2% გრუნტირებული გზა. სანიაღვრე სისტემა გამოკითხულთა 63.1%-ის სოფელს/თემს გააჩნია. როგორც დიაგრამა N12-დან ჩანს, შედარებით იშვიათია ქედის მუნიციპალიტეტში ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის არსებობა (38.9%). გამოკითხულთა 68.6%-ის სოფელი/თემი იყენებს ღამის განათებას. აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში დასუფთავების კუთხით მდგომარეობა მოწესრიგებულია: 84.3%-ის შემთხვევაში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნებით სარგებლობა, ხოლო 84.1%-ის სოფელში/თემში მოსახლეობას ემსახურება ნაგვის მანქანა, რომელიც მინიმუმ კვირაში ერთხელ სტუმრობს შესაბამის სოფელსა თუ თემს.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, არსებობს თუ არა ესა თუ ის ობიექტი რესპონდენტის სოფელში/თემში.[26] მოცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული საჭიროებების დასადგენად, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ გვიქმნის წარმოდგენას. საიმისოდ, რომ სრული წარმოდგენა შევიქმნათ ხსენებულ საკითხზე, აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს ზემოთ

[26] აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შესაძლოა არსებობს ზემოთ განხილული ინფრასტრუქტურული ობიექტები, თუმცა რესპონდენტთა ნაწილმა არ იცის ამის შესახებ

მოყვანილი ობიექტების ხარისხი. სწორედ ამიტომ დიაგრამა N13-ზე წარმოდგენილია რესპონდენტთა სუბიექტური ხედვის შედეგები მათ სოფელში/თემში არსებული ობიექტების ხარისხის შესახებ.

დიაგრამა N13. ინფრასტრუქტურული ობიექტების ხარისხი.



როგორც დიაგრამა N13-ზე ვხედავთ, ის რესპონდენტები, რომლის სოფელშიც არსებობს ესა თუ ის ობიექტი, ძირითადად არ უჩივიან ობიექტის ხარისხს და მას კარგ ან დამაკმაყოფილებელ შეფასებას აძლევენ. კერძოდ, მოასფალტებული გზის ხარისხს 94.2% კარგად ან დამაკმაყოფილებლად თვლის, მხოლოდ 5% აფასებს მის ხარისხს უარყოფითად და 0.7%-ს უჭირს საუბარი მოასფალტებული გზის ხარისხის შესახებ. მოხრეშილი გზის შემთხვევაში გამოკითხულთა 83.1% მის ხარისხს არაუარყოფითად აფასებს, 11.7% თვლის, რომ მისი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, ხოლო 5.2% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. გრუნტირებული გზის ხარისხს შედარებით მეტი აფასებს უარყოფითად. კერძოდ, 79.5% ამბობს, რომ მისი ხარისხი მინიმუმ დამაკმაყოფილებელია, 29.1% უარყოფითად აფასებს გრუნტირებული გზის ხარისხს, ხოლო 1.4% თავს იკავებს მის ხარისხზე საუბრისაგან. აგრეთვე შედარებით უარყოფითად ფასდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემისა და სანიაღვრე სისტემის ხარისხი. სანიაღვრე სისტემის ხარისხს უარყოფითად გამოკითხულთა 29.2% აფასებს, ხოლო დადებითად და საშუალო ხარისხის მქონედ მიიჩნევს გამოკითხულთა 70.8%. რაც შეეხება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემას, მას უარყოფითად 30.8% აფასებს. 66.5%-ს

მიაჩნია, რომ ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა გამართულად მუშაობს, ხოლო 2.6% თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. ღამის განათების მუშაობის ხარისხი მეტ-ნაკლებად მოსწონს გამოკითხულთა 79.2% და არ მოსწონს 28.8%-ს. რაც შეეხება სანაგვე ურნებისა და ნაგვის მანქანის მუშაობის ხარისხს, მოსახლეობის დიდი ნაწილი მას არაუარყოფითად აფასებს. მართლაც, გამოკითხულთა 94.5%-ს მეტ-ნაკლებად მოსწონს ნაგვის ურნების, ხოლო 95.3%-ს მოსწონს ნაგვის მანქანის მუშაობის ხარისხი. ნაგვის ურნების ხარისხს უარყოფითად 5.2% აფასებს, ხოლო 0.4%-ს უჭირს შეაფასოს ნაგვის ურნების ხარისხი. ნაგვის მანქანის მომსახურების ხარისხს უარყოფითად გამოკითხულთა 3.6% აფასებს, 1.1%-ს კი არ სურს შეაფასოს მისი ხარისხი.

საინტერესოა აგრეთვე იმის დადგენა, თუ სოფლების/ თემების რა ნაწილის დაფარვა ხდება ცალკეული ობიექტით. დიაგრამა N14-ზე წარმოდგენილია აღნიშნული საკითხი.

დიაგრამა N 14. ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფარვის არეალი



როგორც, დიაგრამა N14-ზე ვხედავთ ჩამოთვლილი ობიექტები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ რესპონდენტის სოფლის/თემის ნაწილს ფარავენ. განვიხილოთ მათი დაფარვა ცალ-ცალკე. მოასფალტებული გზით მთელი სოფლის/თემის დაფარვა მხოლოდ გამოკითხული რესპონდენტების 9.7%-ის შემთხვევაში ხდება. გამოკითხულთა 40.6% ამბობს, რომ მოასფალტებული გზით დაფარულია მათი სოფლის/თემის ნახევარზე მეტი, 24.8% ფიქრობს, იგი ფარავს სოფლის ნახევარს,

23.4% თვლის, რომ მოასფალტებული გზით სოფლის ნახევარზე ნაკლებია დაფარული, ხოლო 1.5% უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

ქვეთავში ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოცემულობა, რომელში ცხოვრებაც ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრებს უწევთ. მონაცემების მიხედვით, მართალია, ესა თუ ის ინფრასტრუქტურული ობიექტი ხშირად არ ფარავს მთლიან სოფელს/თემს და შესაბამისად არ ფარავს მთლიან მოსახლეობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი ხშირ შემთხვევაში არსებობს და ემსახურება სოფლის/თემის მკვიდრთა ნაწილს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა, რომელიც იყენებს ცალკეულ ობიექტს ძირითადად კმაყოფილია მისი ხარისხით. არასასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა. მისი გამართულად მუშაობა პირდაპირ ახდენს გავლენას მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე. შესაბამისად მისი მნიშვნელობისა და უკმაყოფილო მოსახლეობის პროპორციის (30.8%) გათვალისწინებით, ნათელია ქედის მუნიციპალიტეტში ამ კუთხით არსებული პრობლემა.

აღსანიშნავია აგრეთვე ნაგვის ურნებისა და ნაგვის მანქანის გამართული და ხარისხიანი მუშაობა, რომელსაც მიღებული მონაცემები უსვამს ხაზს. მოცემული სახის მომსახურებას სხვებთან შედარებით ნაკლები პრობლემა აქვს სოფლების/თემების დაფარვის კუთხითაც. ანუ ნაგვის ურნები და ნაგვის მანქანა გამოკითხული მოსახლეობის აზრით ქედის მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილს ემსახურება.

რაც შეეხება სავალ გზას ქედის მუნიციპალიტეტში, როგორც ჩანს წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის გზები. ძირითადად მათი ხარისხი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია.

N2დანართში განხილულია იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომლებსაც ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრნი ასახელებენ. თითოეულ რესპონდენტს მიეცა შესაძლებლობა დაასახელოს მისთვის 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. მიღებული მონაცემების მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემათა რიგს განეკუთვნება: უმუშევრობა, რომელსაც გამოკითხულთა 48.7% ასახელებს, გზის რეაბილიტაცია (37.6%), წყლის პრობლემა (28.3%), გარე განათების პრობლემა (29.9%) და ინტერნეტის არქონა (18.2%).

განვიხილოთ ინფრასტრუქტურული ობიექტების არსებობა თემების მიხედვით. მოცემული წარმოდგენილია N10 ცხრილში.

ცხრილი N10. ინფრასტრუქტურული ობიექტების არსებობა თემების მიხედვით

		დაბა ქედა	ცხმორი-სი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დანდა-ლო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
მოასფალტებული გზა	კი	86,7%	93,3%	83,9%	64,5%	91,2%	100,0%	48,5%	90,9%	89,7%
	არა	13,3%	6,7%	16,1%	35,5%	8,8%	0,0%	51,5%	9,1%	10,3%
მოხრეშილი გზა	კი	20,0%	93,3%	0,0%	29,0%	14,7%	93,9%	35,3%	39,4%	71,4%
	არა	80,0%	6,7%	100,0%	71,0%	85,3%	6,1%	64,7%	60,6%	28,6%
დაგრუნტული გზა	კი	43,3%	90,0%	63,3%	12,9%	61,8%	87,9%	81,8%	81,8%	82,1%
	არა	56,7%	10,0%	36,7%	87,1%	38,2%	12,1%	18,2%	18,2%	17,9%
სანიაღვრე სისტემა	კი	76,7%	80,0%	46,7%	21,9%	76,5%	78,8%	54,5%	57,6%	75,0%
	არა	23,3%	20,0%	53,3%	78,1%	23,5%	21,2%	45,5%	42,4%	25,0%
წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა	კი	80,0%	56,7%	16,7%	6,5%	38,2%	84,8%	0,0%	3,0%	75,0%
	არა	20,0%	43,3%	83,3%	93,5%	61,8%	15,2%	100,0%	97,0%	25,0%
ღამის განათება	კი	70,0%	80,0%	56,7%	61,3%	23,5%	87,9%	85,3%	78,8%	75,0%
	არა	30,0%	20,0%	43,3%	38,7%	76,5%	12,1%	14,7%	21,2%	25,0%
ნაგვის ურნები	კი	96,7%	80,6%	90,0%	93,8%	32,4%	97,0%	97,0%	100,0%	89,3%
	არა	3,3%	19,4%	10,0%	6,3%	67,6%	3,0%	3,0%	0,0%	10,7%
ნაგვის მანქანა	კი	96,7%	70,0%	90,0%	96,8%	32,4%	90,9%	97,0%	100,0%	82,8%
	არა	3,3%	30,0%	10,0%	3,2%	67,6%	9,1%	3,0%	0,0%	17,2%

ინფრასტრუქტურული ობიექტების კუთხით არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება დაბა ქედისა და ქედის მუნიციპალიტეტის დანარჩენ თემებს შორის, თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად, როგორც გამოკითხვიდან ჩანს, წყალმომარაგების ცენტრალური სისტემით სარგებლობა სხვებთან შედარებით უფრო მეტად შეუძლიათ დაბა ქედის, დანდალოსა და წონიარისის მკვიდრებს.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების კუთხით პრობლემები შეინიშნება მახუნცეთის თემში არსებულ სოფლებში. მართლაც, მოცემულ თემში გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 32.4% ადასტურებს მის სოფელში როგორც სანაგვე ურნების არსებობას, ისე ნაგვის მანქანის ყოველკვირეულ მომსახურებას. გარდა ამისა, მახუნცეთის თემის მოსახლეობას აწუხებს აგრეთვე ღამის განათების არქონის პრობლემა. გამოკითხულთაგან მხოლოდ 23.5% ადასტურებს მახუნცეთის თემში ღამის განათების არსებობას, რაც სხვა თემების შესაბამის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

კვლევის შედეგად ქედის მუნიციპალიტეტში კრიტიკული პრობლემები გამოვლენილი არ არის. თუ რაიმეს პრობლემატურობაზე შეიძლება საუბარი, ეს პირველ რიგში არის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა. პრობლემა არსებობს პირველ რიგში იმ რესპონდენტთა არსებობიდან გამომდინარე, რომელთაც მასზე ხელი არ მიუწვდებათ, ხოლო ამას მეორე მხრივ ამწვავებს ის, თუ რა როლი აქვს წყალმომარაგებას ადამიანის ნორმალურ ცხოვრებაში - ხშირად ადამიანის ჯანმრთელობა პირდაპირ უკავშირდება წყალმომარაგების სისტემის გამართულ და ხარისხიან მუშაობას. მოცემული კავშირი შეიძლება აიხსნას იმით, რომ, როგორც წესი, ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა უფრო აკმაყოფილებს ჰიგიენურ სტანდარტებს, ვიდრე წყალმომარაგების სხვა ალტერნატივები. გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი ხაზს უსვამს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემაზე წვდომის არქონას, არსებობს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მის უხარისხობას უსვამს ხაზს. რა თქმა უნდა, ეს პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

VIII. თვითმმართველობა და სამოქალაქო მონაწილეობა

1. ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობა

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობა ნებისმიერი მუნიციპალიტეტისათვის განვითარების კარგ შესაძლებლობას ქმნის და პირიქით, კოორდინაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობა ნიშნავს ერთი მთლიანის (თვითმმართველობა და მოსახლეობა) ორი სხვადასხვა ვექტორით მოძრაობის მცდელობას, რაც, რა თქმა უნდა, მინიმუმ ძალზე რთულია და ხელს უშლის მუნიციპალიტეტის ზოგად განვითარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ მუნიციპალური მთავრობისა და მოქალაქეთა თანამშრომლობის საკითხი.

N11 ცხრილში განხილული მონაცემები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, არის თუ არა ქედის მოსახლეობა დაინტერესებული მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობით.

ცხრილი N 11. თვითმმართველობის საქმიანობით მოსახლეობის დაინტერესების დონე

	%
საერთოდ არ მაინტერესებს	21,3
უფრო არ მაინტერესებს, ვიდრე მაინტერესებს	23,6
უფრო მაინტერესებს, ვიდრე არ მაინტერესებს	29,8
ძალიან მაინტერესებს	20,7
მიჭირს პასუხის გაცემა	4,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობა გამოკითხულთა არცთუ დიდ ნაწილს აინტერესებს. კერძოდ, გამოკითხულთა 44.9%-ს ნაწილობრივ (26.6%) ან სრულებით (21.3%) არ აინტერესებს, თუ რა საქმიანობას ეწევა ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა. გამოკითხულთა 50.5%-ს ნაწილობრივ (29.8%) ან ძალიან (20.7%) აინტერესებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ის პროცესები, რომელსაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ახორციელებს. რესპონდენტთა 4.7%-ს უჭირს გამოხატოს საკუთარი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

საინტერესოა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობისადმი მოსახლეობის ინტერესი თემურ ჭრილში. აღნიშნული განხილულია N12 ცხრილში.

ცხრილი N 12. მოსახლეობის დაინტერესება მუნიციპალიტეტის საქმიანობისადმი თემების ჭრილში.

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დაწ-დალო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
საერთოდ არ მაინტერესებს	16,7%	10,0%	9,7%	12,9%	47,1%	33,3%	11,8%	36,4%	10,7%
უფრო არ მაინტერესებს, ვიდრე მაინტერესებს	10,0%	23,3%	22,6%	12,9%	41,2%	15,2%	41,2%	30,3%	10,7%
უფრო მაინტერესებს, ვიდრე არ მაინტერესებს	46,7%	33,3%	48,4%	51,6%	0,0%	12,1%	29,4%	18,2%	28,6%
ძალიან მაინტერესებს	26,7%	26,7%	19,4%	12,9%	11,8%	21,2%	14,7%	15,2%	42,9%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	6,7%	0,0%	9,7%	0,0%	18,2%	2,9%	0,0%	7,1%

ცხრილში მოცემული ინფორმაციიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მახუნცეთის მოსახლეობის გამოკითხული ნაწილიდან უმრავლესობა არაა დაინტერესებული თვითმმართველობის საქმიანობით. დაინტერესების დონე ამ თემში მნიშვნელოვნად ნაკლებია ყველა სხვა თემთან შედარებით. არადა მოცემული თემი როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველაზე მეტად განიცდის ინფრასტრუქტურული ობიექტების სიმცირეს. სხვა დანარჩენ თემებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

განვიხილოთ ცხრილი N13, რომელშიც ასახულია გამოკითხული მოსახლეობის აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხდება ადგილობრივების ინტერესების გათვალისწინება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ.

ცხრილი N 13. ხდება თუ არა თვითმმართველობის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება

საერთოდ არ არის გათვალისწინებული	17,7
უფრო არ არის გათვალისწინებული, ვიდრე გათვალისწინებულია	32,8
უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე არა	36,3
სრულიად გათვალისწინებულია	5,4
მიჭირს პასუხის გაცემა	7,7

გამოკითხულთა 50.5%-ის აზრით მუნიციპალური მთავრობა ნაწილობრივ (32.8%) ან სრულებით (17.7%) არ ითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს. რაც შეეხება რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ თვითმმართველობა ადგილობრივების ინტერესებს ითვალისწინებს. იგი წარმოადგენს გამოკითხულთა 41.7%-ს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, გამოკითხულთა 5.4%-ის აზრით სრულად, ხოლო 36.3%-ის აზრით ნაწილობრივ ითვალისწინებს ქედის მოსახლეობის ინტერესებს. გამოკითხულთა 7.7% თავს იკავებს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

განვიხილოთ ქედის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების ჭრილში საკითხი იმასთან დაკავშირებით, რამდენად ხდება მოსახლეობის აზრით მოსახლეობისავე ინტერესების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. მოცემული წარმოდგენილია N14 ცხრილში.

ცხრილი N 14. თვითმმართველობის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება თემების ჭრილში

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დანდა-ლო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
საერთოდ არ არის გათვალისწინებული	3,2%	13,3%	10,0%	3,1%	32,4%	63,6%	6,1%	9,1%	13,8%
უფრო არ არის გათვალისწინებული, ვიდრე გათვალისწინებულია	32,3 %	16,7%	50,0%	18,8%	58,8%	24,2%	36,4%	36,4%	17,2%
უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე არ არის გათვალისწინებული	51,6 %	46,7%	33,3%	65,6%	8,8%	6,1%	42,4%	42,4%	34,5%
სრულიად გათვალისწინებულია	6,5%	3,3%	3,3%	3,1%	0,0%	6,1%	9,1%	9,1%	10,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	6,5%	20,0%	3,3%	9,4%	0,0%	0,0%	6,1%	3,0%	24,1%

მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით შეგვიძლია თემებისაგან შემდგარი ორი ჯგუფი გამოვყოთ, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება აქვს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში: ძირითადი ნაწილი გამოკითხული მოსახლეობისა ზვარეს, მახუნცეთისა და დანდალოს თემებში ფიქრობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობის ინტერესებზე ნაკლებად ფიქრობს. დარჩენილ 6 თემში მოსახლეობის უმეტესობა მეტი ოპტიმიზმითაა განწყობილი და მათი უმრავლესობის აზრით, ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა თავის საქმიანობაში ითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს.

საინტრესოა რესპონდენტთა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ მათ თვითმმართველობის წარმომადგენელთან დაკავშირება საჭიროების შემთხვევაში. N15 ცხრილში წარმოდგენილია შედეგები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ცხრილი N15. შესაძლოა თუ არა თვითმმართველობის წარმომადგენელთან დაკავშირება

	%
შესაძლებელია	69,2
მეტ-ნაკლებად შესაძლებელია	18,3
მეტ-ნაკლებად შეუძლებელია	4,1
შეუძლებელია	3,2
მიჭირს პასუხის გაცემა	5,2

როგორც N15 ცხრილიდან ჩანს, გამოკითხულთა 69.2% სრულიად შესაძლებლად მიიჩნევს საჭიროების შემთხვევაში თვითმმართველობის წარმომადგენელთან

დაკავშირებას. გამოკითხულთა 18.3%-ის აზრით ზემოაღნიშნული ქმედება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო 4.1%-ს იგი მეტ-ნაკლებად შეუძლებლად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთაგან მხოლოდ 3.2% მიიჩნევს საჭიროების შემთხვევაში თვითმმართველობის წარმომადგენელთან დაკავშირებას შეუძლებლად. რაც შეეხება დარჩენილ 5.2%–ს, რესპონდენტთა ამ ნაწილმა თავი შეიკავა ამ საკითხზე აზრის დაფიქსირებისაგან. მოცემული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს თვითმმართველობის წარმომადგენელთან დაკავშირებას, რაც თავისთავად დადებითია.

ზემოთ მოცემული შედეგი, რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა არ არის საზოგადოებისაგან განყენებული ორგანო, წარმოადგენს მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის კავშირის ერთ რგოლს. შემდეგ რგოლად შესაძლებელია განხილულ იქნეს, თუ ზოგადად რამდენად მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას რაიმე პრობლემის (პირადი, ოჯახის, სოფლის) მოსაგვარებლად. კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გამოკითხულთა 35.4%-ს ერთხელ მაინც მიუმართავს ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისათვის პრობლემის მოსაგვარებლად. რესპონდენტთა 61.1%-ს ასეთი შემთხვევა 2017 წელს არ ჰქონია, ხოლო 3.5% უარს ამბობს პასუხზე.

განვიხილოთ თუ რა პრობლემების მოსაგვარებლად მიმართავს ძირითადად ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობა ამავე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას. N16 ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული ინფორმაცია.

ცხრილი N 16. პრობლემები, რომლის მოგვარების მიზნითაც ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა თვითმმართველობას მიმართავს.

	%
საკუთრების აღიარების შესახებ	1,6
ეზოს სანიაღვრე სისტემის მოსაგვარებლად	1,2
დასაქმებასთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა	9,8
კედლის ჩამოსხმა/სახლთან კედლის გაკეთება	6,5
სასმელი წყლის მოსაყვანად სოფლის მოთხოვნა	6,7
გზის პრობლემასთან დაკავშირებით/ჩახერგილი გზა	8,7
სარწყავი მილის მოთხოვნა/წყალმომარაგება/სარწყავი სისტემა	4,9
საქონლის დაავადებასთან დაკავშირებით	1,1
მეწყრული ზონა/ზვავსაშიში ზონა	10,4
ბინის მიღება/სახლის გამაგრება/სახურავი	12,6
ოპერაციის/ოჯახის წევრის რეაბილიტაციის თანხა	11,8
სანიაღვრე არხის შეკეთება/სისტემის მოგვარება	6,5
ბინების გაფორმება	1,6

სოციალური სტატუსის მისანიჭებლად	1,1
მიწის დაკანონებისათვის	1,1
სწავლის დაფინანსება	2,2
ოჯახური მდგომარეობა	1,2
მზის განათება	1,2
ეზოს გაფართოება	1,2
ხიდის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება/ხიდების შეკეთება	2,4
მთაში სატელეფონო კავშირის მოსაგვარებლად	1,1
ელექტროგანათების უბნებად განაწილება/ქუჩის განათება	3,9
სკოლამდელი დაწესებულების ვერ გამოყენებისათვის	1,2

გამოკითხული მოსახლეობის მხრიდან ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან მიმართვის ძირითად მიზეზებად ხშირ შემთხვევაში გვევლინება შემთხვევები, რომლებიც ძირითადად სოფლისა თუ თემის დონეზე არსებული პრობლემების მოგვარებას ეხება. მოცემულ ქვეჯგუფს განეკუთვნება შემდეგი მოთხოვნები: სასმელი წყლის მოსახლეობამდე მოყვანა (6.7%), გზასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება (8.7%), სარწყავი სისტემა/წყალმომარაგება (4.9%), მეწყერსაშიში ზონისთვის დამახასიათებელი პრობლემების მოგვარება (10.4%), სანიაღვრე არხის შეკეთება (6.5%).

შემდეგ მნიშვნელოვან ქვეჯგუფად შეიძლება განხილულ იქნას მოთხოვნები, რომლებიც საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას ეხება. ასეთებად გვევლინება: ბინის მიღება/სახლის გამაგრება/სახურავის შეკეთება (12.6%) და კედლის ჩასხმა/სახლთან კედლის გაკეთება (6.5%).

გარდა ზემოთ ხსენებული პრობლემებისა, ხშირია ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისადმი მიმართვები სამუშაოს მიღების მიზნით. გამოკითხულთა 9.8% ამბობს, რომ 2017 წლის განმავლობაში მიუმართავს ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისთვის განცხადებით სამუშაოს მიღების თაობაზე. აგრეთვე, გამოკითხულთა 11.8%-ს 2017 წლის მანძილზე ერთხელ მაინც დასჭირვებია მუნიციპალიტეტის მხრიდან დახმარება ოჯახის წევრის ოპერაციისა თუ ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის დაფინანსებისათვის.

საინტერესოა, თუ რამდენად დაკმაყოფილდა 2017 წლის განმავლობაში მოსახლეობის მხრიდან წარდგენილი მოთხოვნები ქედის მუნიციპალიტეტის მიერ. ცხრილი N17 მოიცავს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გადაიჭრა პრობლემები, რომელთა მოგვარების მიზნითაც მოსახლეობამ მუნიციპალიტეტს მიმართა.

ცხრილი N 17. დაკმაყოფილდა თუ არა მუნიციპალიტეტის მიმართ არსებული მოთხოვნები

	%
პრობლემა სრულიად გადაწყდა	26,6
პრობლემა გადაწყდა ნაწილობრივ	30,6
პრობლემა საერთოდ არ გადაწყვეტილა	42,8

როგორც ცხრილიდან ჩანს არსებული პრობლემების მოგვარება სრულიად მხოლოდ 26.6%-ის, ხოლო ნაწილობრივ 30.6% შემთხვევაში მოხდა. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუბარია მხოლოდ იმ პრობლემებზე, რომელთა შესახებაც მოსახლეობამ მუნიციპალიტეტს მაწოდა ინფორმაცია. იმ გამოკითხულების 42.8%-ს, ვინც 2017 წელის განმავლობაში მუნიციპალიტეტს საკუთარი თუ საზოგადო პრობლემის მოგვარების მიზნით მიმართა, მოთხოვნა არ დაუკმაყოფილდა.

2. სამოქალაქო ჩართულობა

განვიხილოთ, რამდენად ჩართულია ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ამავე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობაში. N18 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ცხრილი N 18. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში

	%
საერთოდ არ ვარ ჩართული	49,7
უფრო არ ვარ ჩართული, ვიდრე ჩართული ვარ	26,4
უფრო ჩართული ვარ, ვიდრე არ ვარ ჩართული	14,8
აქტიურად ვარ ჩართული	5,8
მიჭირს პასუხის გაცემა	3,2

გამოკითხული მოსახლეობის 49.7% საერთოდ არ ერევა საკუთარი მუნიციპალიტეტის/თემის/სოფლის საქმიანობაში. 26.4% მეტწილად არ ერევა, ხოლო 14.8% მეტწილად იღებს მონაწილეობას მუნიციპალიტეტის, სოფლის ან თემის საქმიანობაში. გამოკითხულთაგან მხოლოდ 5.8% არის აქტიურად ჩართული საკუთარი მუნიციპალიტეტის, თემის ან სოფლის საქმიანობაში. ამ ნაწილში მიღებული შედეგი შესაბამისობაშია იმ შედეგთან, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აინტერესებს ადგილობრივი თვითმმართველობის

საქმიანობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ნაკლები სამოქალაქო აქტივობით ხასიათდება.

ქედის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების ჭრილში განვიხილოთ მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის, თემისა და სოფლის საქმიანობაში (ცხრილი N19).

ცხრილი N 19. მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში თემების ჭრილში

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დან-დალო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
საერთოდ არ ვარ ჩართული	56,7%	30,0%	30,0%	9,7%	82,4%	82,4%	57,6%	60,6%	25,0%
უფრო არ ვარ ჩართული, ვიდრე ჩართული ვარ	13,3%	40,0%	36,7%	45,2%	17,6%	8,8%	27,3%	30,3%	25,0%
უფრო ჩართული ვარ, ვიდრე არ ვარ ჩართული	16,7%	23,3%	23,3%	29,0%	0,0%	2,9%	6,1%	9,1%	25,0%
აქტიურად ვარ ჩართული	13,3%	3,3%	10,0%	9,7%	0,0%	5,9%	6,1%	0,0%	10,7%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	3,3%	0,0%	6,5%	0,0%	0,0%	3,0%	0,0%	14,3%

მუნიციპალიტეტის, თემისა და სოფლის საქმიანობაში მეტად ჩართულია პირველი მაისის, ზვარესა და წონიარისის მოსახლეობა სხვა თემების მოსახლეობასთან შედარებით. ამ თემების შემთხვევაში გამოკითხულთა 33%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ მაღალი ან მეტ-ნაკლები აქტივობითაა ჩართული მუნიციპალიტეტის, თემისა და სოფლის საქმეებში.

N20 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა სახის საქმიანობაში მიიღო მონაწილეობა გამოკითხული მოსახლეობის ამ კუთხით აქტიურმა ნაწილმა (რესპონდენტს შეუძლია რამოდენიმე ტიპის აქტივობის აღნიშვნა).

ცხრილი N 20. აქტივობის სახეები

მივიღე მონაწილეობა დასახლების საერთო კრებზე	26,5%
ხელი მოვაწერე პეტიციას	6,7%
მივიღე მონაწილეობა საკრებულოს სხდომაში	5,9%
მოვისმინე გამგებლის/მერის მომზადებული ანგარიში	43,2%
დავესწარი საჯარო შეხვედრას	58,0%
მივიღე მონაწილეობა ბიუჯეტის განხილვაში	6,4%
გამოვხატე აზრი მედიის საშუალებით	9,0%
მივიღე მონაწილეობა პოლიტიკური პარტიების აქციებში	15,9%
მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	1,0%
სოფლის მოსახლეობასთან ერთად მივმართეთ განცხადებით	0,7%

დიდმა ნაწილმა იმ გამოკითხული მოსახლეობისა, რომელიც მეტ-ნაკლებად აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის, თემისა თუ სოფლის საქმეებში, განაცხადა, რომ ინფორმაციის მიღების მიზნით ერთხელ მაინც დასწრებია საჯარო შეხვედრებს. 43.3% აცხადებს, რომ მოსმენილი აქვს გამგებლის ან/და მერის მომზადებული ანგარიში, ხოლო 26.5% მიღებული აქვს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაზე.

3. ინფორმაციის მიღების საშუალებები

თვითმმართველობის საქმიანობაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაკლები ჩართულობის ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი შესაძლოა იყოს მათი არაინფორმირებულობა. აქ იგულისხმება ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა სახის აქტივობებს გეგმავს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა (საკრებულოს სხდომები, საჯარო განხილვები, საერთო კრებები). გამოკითხულთაგან მხოლოდ 18%-ს აქვს ინფორმაცია, თუ როდის მართავს თვითმმართველობა ზემოთ მოცემულ აქტივობებს. 79.7% არანაირ ინფორმაციას არ ფლობს საკრებულოს სხდომების, საჯარო განხილვებისა თუ საერთო კრებების გამართვის თარიღთან დაკავშირებით. რაც შეეხება გამოკითხულთა დარჩენილ 2.4%-ს, მათ უჭირთ მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

საინტერესოა, თუ რა სახის საინფორმაციო საშუალებები გამოიყენება საიმისოდ, რომ მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. დიაგრამა N15-ზე წარმოდგენილია მონაცემები იმასთან დაკავშირებით თუ რა გზით მიიღო ინფორმაცია გამოკითხული მოსახლეობის ინფორმირებულმა ნაწილმა თვითმმართველობის გარკვეული აქტივობებთან დაკავშირებით.

დიაგრამა N 15. თვითმმართველობის აქტივობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებები (%)



ინფორმირებული რესპონდენტების 25.8%-მა ინფორმაცია თვითმმართველობის ვებ-გვერდის ან facebook-ის საშუალებით მიიღო. 25.7%-ის შემთხვევაში ინფორმაციის მიღების საშუალებად მეგობრებთან/ მეზობლებთან/ ნათესავებთან კონტაქტი წარმოადგენს, 17.1%-ისათვის - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე გაკრული განცხადება, 10.4% - თვითმმართველობის შენობაში გაკრული განცხადება, 8.4% - მოკლე ტექსტური შეტყობინება, 7.4% - ოჯახის წევრები, 1.8% - ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო 1,6% - ტელევიზია. აღნიშნულ საკითხში ინფორმირებული მოსახლეობის 1.8% უარს ამბობს უპასუხოს კითხვას თუ საიდან მიიღო მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

4. გაერთიანებები ქედის მუნიციპალიტეტში

გამოკითხული მოსახლეობის პასუხი კითხვაზე, არსებობს თუ არა ქედის მუნიციპალიტეტში რაიმე სახის ორგანიზაცია, რომელიც სოფლის/თემის პრობლემებზე მუშაობს და რომლებშიც მოიაზრება არასამთავრობო ორგანიზაცია, კოოპერატივი, ასოციაცია, გაერთიანება ან რელიგიური გაერთიანება პასუხები შეჯამებულია N21 ცხრილში.

ცხრილი N21. სოფლის/თემის პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციები

	კი (%)	არა (%)
არასამთავრობო ორგანიზაცია	36,4	63,6
სპორტული ჯგუფი	31,4	68,6
სოფლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი	27,8	72,2
ახალგაზრდების გაერთიანება	23,4	76,6
კოოპერატივი	13	87
რელიგიური გაერთიანება	12,9	87,1
სათემო ჯგუფები (არ იგულისხმება ორგანიზაცია "ამაგი")	11,6	88,4
ქალთა ჯგუფი	11,2	88,8
ფერმერთა გაერთიანება	10,2	89,8
შშმ პირების უფლებების დაცვის ორგანიზაცია	8	92
ბიზნესმენთა გაერთიანება	2,2	97,8

სურათი შემდეგი სახისაა: გამოკითხულთა 10.2% ადასტურებს მის სოფელში/თემში ფერმერთა გაერთიანების არსებობას, 13% ადასტურებს კოოპერატივის არსებობას, 2.2% - ბიზნესგაერთიანების, 11.2% - ქალთა ჯგუფის, 23.4% - ახალგაზრდების გაერთიანების, 8% - შშმ პირების უფლებების დაცვის ორგანიზაციის, 31.4% - სპორტული ჯგუფის, 27.8% - სოფლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის, 36.4% - არასამთავრობო ორგანიზაციის, 12.9% - რელიგიური გაერთიანების, ხოლო 11.6% ადასტურებს სათემო ჯგუფების არსებობას. როგორც აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, გამოკითხულთა დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია მის მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სახის ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გამოკითხულთა 15.5% აქვს. რესპონდენტთა დიდ ნაწილს მის შესახებ არაფერი სმენია (84.2%), ხოლო 0.3%-ს არ სურს პასუხის გაცემა.

საინტერესოა კითხვაზე – რა უნდა იყოს LAG-ის ძირითადი საქმიანობა ქედის მუნიციპალიტეტში – იმ რესპონდენტთა პასუხი, რომელთაც ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ აქვთ გარკვეული ინფორმაცია. N22 ცხრილში წარმოდგენილია, თუ რას ფიქრობენ რესპონდენტები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ცხრილი N 22. მოსახლეების წარმოდგენები LAG-ის შესაძლო საქმიანობასთან დაკავშირებით

	%
ქედის მუნიციპალიტეტის განვითარებაში მონაწილეობის მიღება	3,9
ქედის მუნიციპალიტეტში/ სოფელში არსებული პრობლემების მოგვარება	7,5
სოფლის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა	10,0
სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებები	50,3
სოფლის განვითარება	2,0
ტურიზმი	10,6
სოფლის მოსახლეობის პრობლემებზე მუშაობა	2,0
მიჭირს პასუხის გაცემა	13,7

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, გამოკითხულთა დიდი ნაწილი (50.3%) თვლის, რომ LAG-ის სამოქმედო სფეროს უნდა წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების ხელშეწყობა. გამოკითხულთა 10.6%-ს ტურიზმი მიაჩნია იმ სფეროდ, რომელზეც LAG-მა უნდა იმუშავოს, ხოლო 10%-ს მიაჩნია, რომ LAG-მა უნდა გამოავლინოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ კითხვაზე – რა უნდა იყოს LAG-ის საქმიანობა ინფორმირებული რესპონდენტების 13.7%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

ამაგისა და LAG-ის ცნობადობა (პროცენტული წილის მიხედვით) დაახლოებით ერთნაირია. კერძოდ, გამოკითხულთა 18.4%-ს აქვს ინფორმაცია ამაგის არსებობის შესახებ, 80.7%-მა არაფერი იცის მასზე, ხოლო 0.9% არ სცემს პასუხს კითხვაზე სმენია თუ არა LAG-ის შესახებ.

განვიხილოთ თუ როგორ აფასებს „ამაგის“ საქმიანობას გამოკითხული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ამაგის არსებობის შესახებ. მოცემული წარმოდგენილია N23 ცხრილში.

ცხრილი N 23. „ამაგის“ საქმიანობის შეფასება.

	%
ძალზე დადებითად	9,0
დადებითად	63,5
უარყოფითად	7,1
ძალზე უარყოფითად	4,0
მიჭირს პასუხის გაცემა	16,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, დიდი ნაწილი ჩვენთვის საინტერესო რესპონდენტებისა „ამაგის“ საქმიანობას დადებითად (63.5%) ან ძალიან დადებითად (9%) აფასებს. მხოლოდ 11.1% არის უარყოფითად განწყობილი მისი საქმიანობის მიმართ, ამათგან „ამაგის“ საქმიანობას ძალზე უარყოფითად 4%, ხოლო უარყოფითად 7.1% აფასებს. ინფორმირებული რესპონდენტების 16.5%-ს უჭირს ამაგის საქმიანობის შეფასება.

განვიხილოთ რამდენად იცნობს ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა „ამაგისა“ და LAG-ის საქმიანობას თემების ჭრილში. ცხრილ N24-ში წარმოდგენილია მოცემული ინფორმცია.

ცხრილი N 24. ამაგის და LAG-ის საქმიანობის ცნობადობა თემების ჭრილში

		დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნ-ცეთი	დანდა-ლო	მერისი	ოქტომ-ბერი	წონი-არისი
"ლაგი"	მსმენია	36,7%	9,7%	6,7%	35,5%	11,8%	6,1%	18,2%	12,1%	0,0%
	არ მსმენია	63,3%	90,3%	93,3%	64,5%	88,2%	93,9%	81,8%	87,9%	96,4%
	მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	3,6%
"ამაგი"	მსმენია	13,3%	10,0%	29,0%	38,7%	11,8%	8,8%	5,9%	21,2%	27,6%
	არ მსმენია	86,7%	90,0%	71,0%	61,3%	85,3%	91,2%	91,2%	78,8%	69,0%
	მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	2,9%	0,0%	2,9%	0,0%	3,4%

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაბა ქედის, პირველი მაისისა და მერისის შედარებით მეტმა მკვიდრმა იცის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის („ლაგი“) საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება „ამაგს“, მის შესახებ სხვებთან შედარებით მეტ ინფორმაციას ფლობს ზვარეს, პირველი მაისის, ოქტომბრისა და წონიარისის თემების მკვიდრი მოსახლეობა.

მოცემული ქვეთავის დარჩენილ ნაწილში ჩვენი მსჯელობა მიეძღვნება იმას, რომ დადგინდეს თუ რომელ ორგანიზაციებს მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პრობლემის არსებობის შემთხვევაში და რამდენად ხდება მისი გადაჭრა. დიაგრამა N16-ზე წარმოდგენილია თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ 2017 წელს მოსახლეობის მხრიდან არსებული მიმართვების რაოდენობის განაწილება. მიმართვების მოცემულ შემთხვევაში უკავშირდება სოფლის მოსახლეობის პრობლემების გადაჭრის მოთხოვნას.

დიაგრამა N16. 2017 წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობის პრობლემათა მოგვარების მიზნით მოსახლეობის მიმართვების განაწილება თვითმმართველობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.



როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პრობლემების მოსაგვარებლად არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით ამავე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას უფრო მეტი სიხშირით მიმართავდა. მართლაც, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას სოფელთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიზნით გამოკითხულთა 57.2%-მა მინიმუმ ერთხელ მაინც მიმართა. იგივე მაჩვენებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის 22.9%-ს შეადგენს და რამდენადმე ჩამორჩება თვითმმართველობასთან დაკავშირებულ მაჩვენებელს. გამოკითხულთა 55.5%-ს 2017 წლის მანძილზე არ მიუმართავს არასამთავრობო ორგანიზაციისათვის პრობლემის მოგვარების მიზნით, ხოლო 21.6%- უჭირს უპასუხოს, მომხდარა თუ არა მსგავსი პრეცენდენტი 2017 წლის განმავლობაში. გამოკითხულთა 23%-ს არ მიუმართავს არც ერთხელ თვითმმართველობისათვის პრობლემის მოგვარების მიზნით.

N25 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოხდა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ცხრილი N 25. რამდენად დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის მოთხოვნები

	%
სრულიად დაკმაყოფილდა	8,8
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	60,7
არ დაკმაყოფილდა	28,3
მიჭირს პასუხის გაცემა	2,2

მუნიციპალიტეტმა მხოლოდ მოთხოვნების 8.8% დააკმაყოფილა სრულად. საერთოდ არ დააკმაყოფილა მოთხოვნების 28.3%, ხოლო ნაწილობრივ დააკმაყოფილა 60.7%. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების ავტორების 2.2%–ს უჭირს უპასუხოს კითხვას, დაუკმაყოფილდა თუ არა მოთხოვნა.

შედარებისათვის N26 ცხრილში წარმოდგენილია ის, თუ რამდენად დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოსახლეობის მოთხოვნები 2017 წელს.

ცხრილი N 26. რამდენად დაკმაყოფილდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მოთხოვნები

	%
სრულიად დაკმაყოფილდა	21,2
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	58,0
არ დაკმაყოფილდა	14,7
მიჭირს პასუხის გაცემა	6,0

არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2017 წელს მოსახლეობის მიმართვების 21.2% დააკმაყოფილეს, რაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შესაბამის მაჩვენებელს თითქმის 3-ჯერ აღემატება. არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართვების 14.7% საერთოდ არ დაუკმაყოფილებიათ. მოცემული მაჩვენებელი თვითმმართველობის შესაბამის მაჩვენებელს 2-ჯერ ჩამორჩება. რაც შეეხება ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნების წილს, იგი არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში 58%-ს შეადგენს და მცირედით ჩამორჩება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შესაბამის მაჩვენებელს.

5. დასკვნები

ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის შეინიშნება კოორდინირებულ მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები. ერთი მხრივ მოსახლეობა ნაკლები ინტერესითაა განწყობილი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ ისინი თვლიან, რომ თვითმმართველობა არ ითვალისწინებს მათ საჭიროებებს.

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობა იშვიათად მიმართავს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად. გარდა ამისა, ამ მიმართვათაგან ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის მოთხოვნა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით არ სრულდება. ამ ნაწილში არ არის საუბარი აუცილებლად იმაზე, რომ ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელიც მიღებული მონაცემებიდან გამომდინარეობს: ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პრობლემის მოსაგვარებლად უფრო ხშირად მიმართავს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით. არადა არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართვათა უფრო მეტ პროცენტულ რაოდენობას აკმაყოფილებენ, ვიდრე მუნიციალიტეტის თვითმმართველობა. მოცემული ქმნის რესურსს საიმისოდ, რომ მეტად მოხდეს ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება. მართლაც, თუკი ცნობადობის დაბალი დონის მიუხედავად (36.4%) არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მეტ-ნაკლები ეფექტურობით მუშაობა, მაშინ საფიქრებელია, რომ მათ აგრეთვე შეეძლებათ აღნიშნული ეფექტიანობის ზრდა მათი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების პირობებში.

IX. სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა

1. სოფლის მეურნეობა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80.9% მეტ-ნაკლები აქტივობით ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო დარჩენილი 19.1% არ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტს არც საკუთარი მოხმარებისა და არც გაყიდვის მიზნით.

განვიხილოთ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობა სოფლის მეურნეობაში მუნიციპალიტეტში არსებული თემების ჭრილში. მოცემული ინფორმაცია დატანილია N27 ცხრილში.

ცხრილი N 27. მოსახლეობის ჩართულობა სოფლის მეურნეობაში თემების მიხედვით

	დაბა ქედა	ცხმო-რისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნცეთი	დანდალო	მერისი	ოქტომბერი	წონიარისი
დიახ	66,7%	83,3%	90,0%	100,0%	44,1%	93,9%	81,8%	72,7%	96,4%
არა	33,3%	16,7%	10,0%	0,0%	55,9%	6,1%	18,2%	27,3%	3,6%

როგორც ცხრილში არსებული მონაცემები გვეუბნება, დაბა ქედის მოსახლეობა მახუნცეთის მოსახლეობის მსგავსად ნაკლებადაა ჩართული სოფლის მეურნეობაში.

სხვა თემებში გამოკითხული მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილია ჩართული სასოფლო –სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმით.

N3დანართში მოცემულია სრული ინფორმაცია თუ რა სახის საქმიანობას მისდევს გამოკითხული მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტს კითხვის სტრუქტურის მიხედვით აქვს საშუალება დააფიქსიროს არა ერთი, არამედ იმდენი სახის აქტივობა, რამდენსაც ის და მისი ოჯახი მისდევს (მოცემული საქმიანობები არ გულისხმობს მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას). როგორც N3 დანართიდან ჩანს, ქედის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევს შემდეგ საქმიანობებს: მეცხოველეობა (54.2%), მეკარტოფილეობა (37.6%), მეხილეობა (39.3%), მებოსტნეობა (59.2%), მევენახეობა (46.3%), თხილის წარმოება (51%) და თამბაქოს მოყვანა (21.8%). რაც შეეხება არასასოფლო აქტივობებს, გამოკითხულთა 4.8%-ს აქვს საოჯახო სასტუმრო, ხოლო 2.3%-ს - მაღაზია.

2. სოფლის მეურნეობის როლი ქედის მუნიციპალიტეტში

მოცემულ ქვეთავში განსახილველ საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა თუ რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობები ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხული ნაწილისათვის. დანართი N4 მოიცავს ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით. მიღებული მონაცემების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობებს განეკუთვნება: მებოსტნეობა (16.7%), თამბაქოს მოყვანა (16.4%), მევენახეობა (14.3%), თხილის ბაღების გაშენება (7.3%) და მეფუტკრეობა (6.8%).

ტურიზმი ქედის მუნიციპალიტეტისათვის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს როგორც მოცემული მომენტისათვის, ისე სამომავლოდ. საინტერესოა, რამდენად არსებობს საოჯახო ან ჩვეულებრივი სასტუმროები ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში. N28 ცხრილში მოცემულია აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ცხრილი N 28. გაქვთ თუ არა სასტუმრო?

	%
დიახ, სხვებს აქვთ	29,5
დიახ, მეც მაქვს და სხვებსაც	5,8
არ მაქვს	63,1
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	1,5

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, სასტუმროების არსებობას ჯამურად ადასტურებს 35.3%, ხოლო 63.1% უარყოფს მის სოფელში სასტუმროების არსებობას.

გამოკითხულთა 1.5% თავს იკავებს უპასუხოს კითხვას, არის თუ არა მის სოფელში სასტუმრო.

იმ მოსახლეობისათვის, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობის პროდუქტი არა მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, არამედ შემოსავლის მიღების მიზნითაც გამოიყენება, მნიშვნელოვანია გასაღების ბაზრების არსებობა. N17 დიაგრამაზე წარმოდგენილია, თუ რა გზებით ხდებოდა სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა 2017 წლის ზაფხულში (აღსანიშნავია, რომ რესპონდენტს შეუძლია რამოდენიმე გასაღების ბაზრის დასახელება).

დიაგრამა N 17. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრები



ქედის მუნიციპალიტეტში გასაყიდად წარმოებული პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილის რეალიზება ხდება ბათუმის აგრარულ ბაზარზე (65.8%). შემდეგ მოდის პროდუქციის რეალიზება შუამავლების გამოყენებით (17.4%) და მინიმარკეტები/ სუპერმარკეტები (8.5%). რაც შეეხება მიღებული პროდუქციის ტურისტებზე მიყიდვას, მხოლოდ რესპონდენტთა 5.6% აფიქსირებს 2017 წლის ზაფხულის განმავლობაში ასეთი პრეცედენტის არსებობას. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ 5.5%-ს არ გაუყიდია სოფლის მეურნეობის პროდუქტი აღნიშნულ პერიოდში.

ზემოთ მოცემულია, თუ სად და რა ფორმით ხდებოდა 2017 წლის ზაფხულში წარმოებული პროდუქციის გაყიდვა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომელი ტიპის გასაღების ბაზარია მეტად სასურველი ქედის მუნიციპალიტეტის

გამოკითხული მოსახლეობისათვის. N18 დიაგრამაზე მოცემულია მუსახლეობისთვის ყველაზე ხელსაყრელი გასაღების ბაზრების განაწილება.

დიაგრამა N 18. გასაღების სასურველი ბაზრები.



როგორც N18 დიაგრამიდან ჩანს, ქალაქ ბათუმის აგრარული ბაზარი წარმოადგენს არა მხოლოდ ყველაზე გამოყენებად (ეს შედეგი ზემოთ დიაგრამა N17-ზე წარმოვადგინეთ), არამედ ყველაზე ხელსაყრელ გასაღების ბაზარსაც. გამოკითხულთა 58.3% ხაზს უსვამს პროდუქციის ამგვარად გასაღების ხელსაყრელობას. აქ კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებით დამოკიდებულებას, რამეთუ გამოკითხულთა 15.5% ტურისტებს მისთვის ყველაზე ხელსაყრელ მომხმარებლად მიიჩნევს. გადამამუშავებელი ქარხნების ხელსაყრელობაზე რესპონდენტთა 6.1%, ხოლო შუამავლების ხელსაყრელობაზე 5.8% საუბრობს.

ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია იკვეთება:

1. შუამავლები წარმოადგენენ გასაღების მნიშვნელოვან საშუალებას, რამეთუ რესპონდენტთა 17.4%-ს 2017 წლის ზაფხულში გამოყენებული აქვს ეს მეთოდი პროდუქციის გაყიდვისათვის, თუმცა მოსახლეობის სამჯერ ნაკლები ნაწილი (5.8%) უსვამს ხაზს ამ მეთოდით პროდუქციის გასაღების ხელსაყრელობას. შესაბამისად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრებს არ აქვთ დიდი არჩევანი პროდუქციის

გასაღებისას და უწევთ გამოიყენონ მათთვის არახელსაყრელი გასაღების საშუალებები.

2. გამოკითხულთა მხოლოდ 5.6%-ს მიუყიდია 2017 წლის ზაფხულში საკუთარი ნაწარმი ტურისტებისათვის, თუმცა გასაღების ამ მეთოდის ხელსაყრელობას ბევრად მეტი (15.5%) უსვამს ხაზს. აქედანაც იგივე შედეგი მიიღება, რაც ზემოთ მივიღეთ: მწარმოებელთა ნაწილს არ შეუძლია სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის გასაღება მათთვის სასურველ გასაღების ბაზრებზე.

აღნიშნული მსჯელობა კიდევ ერთხელ და ამჯერად უკვე სხვა კუთხით უსვამს ხაზს ტურიზმის განვითარების სასურველობას ქედის მუნიციპალიტეტში.

N29 ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მფლობელობაში მყოფ სახნავ-სათეს მიწის ფართობს.

ცხრილი N 29. სახნავ-სათესი მიწის ფართობი.

ჰა	%
[0 ; 0.1)	10,0
[0.1 ; 0.2)	17,6
[0.2 ; 0.5)	34,7
[0.5 ; 1)	28,8
[1 ; 3)	5,7
[3 ; 5)	2,4
5 ჰექტარზე მეტი	0,7

მცირეა ისეთი მოსახლეობის წილი, რომელიც სასოფლო–სამეურნეო მიწის დიდ ნაკვეთს ფლობს. გამოკითხულთაგან მხოლოდ 5.7%-ს აქვს მიწის ნაკვეთი [1;3)ჰა ინტერვალში. უფრო ცოტას 2.4%-ის მიწის ნაკვეთია[3;5)ჰა ინტერვალში, ხოლო 5 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი მიწა გამოკითხულთა 0.7%-ს აქვს. უფრო მეტია ისეთი მოსახლეობის წილი, რომელიც ნახევარ ჰექტრამდე სახნავ-სათესს მიწის ნაკვეთს ფლობს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს მცირე ფართობის მქონე სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი გააჩნია.

განვიხილოთ თუ მოსახლეობის ხელთ არსებული სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთიდან რა ნაწილის დამუშავება მოხდა. მოცემული წარმოდგენილია N19 დიაგრამაზე.

დიაგრამა N 19. დამუშავებული მიწის ნაკვეთი ჰექტრებში.



როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში დამუშავებული მიწის ნაკვეთის ფართობი არ აღემატება ნახევარ ჰექტარს. მართლაც, გამოკითხულთა 84.9% ამბობს, რომ ის და მისი ოჯახი ამუშავებს არაუმეტეს 0.5ჰა მიწის ნაკვეთს[27]. მხოლოდ გამოკითხულთა 12.5% ამუშავებს 0.5 ჰექტარზე მეტ მიწის ნაკვეთს, ხოლო გამოკითხულთა 2.7%-ს არ შეუძლია ზუსტად იმის თქმა, თუ რა ფართობის მიწის ნაკვეთს ამუშავებს მისი ოჯახი.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ გამოკითხულთა ოჯახის შემოსავლის რა ნაწილი მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზების შედეგად. N20 დიაგრამაზე წარმოდგენილია ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დიაგრამა N 20. შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან (%)



მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის თანახმად, სოფლის მეურნეობის გაყიდვიდან შემოსავლის მცირე წილს ([0;20]%) იღებს გამოკითხულთა 31.9%.

[27] აღსანიშნავია, რომ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც საკუთარი, ისე ვინმესგან რაიმე პირობით დროებით სარგებლობაში აღებული მიწის ნაკვეთის ფართობიც.

გამოკითხულთა 30.3% ამბობს, რომ მისი შემოსავლის ([20;40]%) მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვაზე. აღსანიშნავია, რომ მცირერიცხოვანია, თუმცა მაინც არის ისეთი მოსახლეობა, რომლის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა წარმოადგენს. მაგალითად გამოკითხულთა 1.6%-ისათვის შემოსავლის 80–100% მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ხოლო გამოკითხულთა 13.2% თავისი შემოსავლის 60–80%-ს ზემოთ აღნიშნული საქმიანობიდან იღებს.

მოცემული ციფრები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა ნაწილის შემოსავალი პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის წახალისება, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს მოსახლეობის ამ ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობას.

N5 დანართში წარმოდგენილია მოსახლეობის აზრი იმ ვექტორთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობის უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიყვანა შეუძლია. მევენახეობის განვითარების პერსპექტივებზე გამოკითხულთა 42.1%, ხოლო სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე რესპონდენტთა 39% საუბრობს. მომავალი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას თხილის ბაღების გაშენებაში ხედავს გამოკითხულთა 35%, ხოლო 34.2%-ს მიაჩნია, რომ მომავალი ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა ქედის მუნიციპალიტეტში მოხდეს მეფუტკრეობის ხელშეწყობა.

N30 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საკუთარი მეურნეობისა თუ ბიზნესის განვითარებისათვის (რესპონდენტი ასახელებს 3 მისთვის ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას).

ცხრილი N 30. მოსახლეობის ხედვა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის განვითარება ქედის მუნიციპალიტეტში

ტრენინგები მცირე ბიზნესის მართვის უნარების გასაუმჯობესებლად	22,7%
ტრენინგები სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის ხელშეწყობისთვის	31,6%
იაფ სესხზე ხელმისაწვდომობა	75,5%
ნერგების მიწოდება	51,0%
შხამქიმიკატების მიწოდება	61,5%
საგრანტო პროგრამები	1,8%
სარწყავი სისიტემის მოწესრიგება	0,9%
სასუქები	2,5%
სასოფლო სამეურნეო ტექნიკით მომსახურება	2,4%
დაავადებებისა და მავნებლების კონტროლი	0,4%
პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიება	0,9%
მიჭირს პასუხის გაცემა	2,0%

კვლევისას მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობისა და ბიზნესის ხელშეწყობისათვის სასურველია იაფ სესხზე ხელმისაწვდომობა. მოცემულს ხაზს უსვამს გამოკითხულთა 75.5%. გარდა ამისა გამოკითხულთა 51%-ს სურს მოხდეს რაიმე გზით ნერგების მიწოდების უზრუნველყოფა, ხოლო 61.5% საკუთარი მეურნეობისა თუ ბიზნესისათვის შხამ-ქიმიკატების მიწოდებას საჭიროებს.

3. დასკვნები

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობაში შედარებით მცირე ჩართულობით დაბა ქედისა და მახუნცეთის გამოკითხული მოსახლეობა ხასიათდება.

თვისებრივ კვლევაში ხშირია ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალზე ხაზგასმა. რაოდენობრივი კვლევითაც დასტურდება იგივე, რამეთუ გამოკითხულთა დაახლოებით 30%-ის საიხლოვეს არსებობს მინიმუმ ერთი სასტუმრო (ან თვითონ მას აქვს იგი). როგორც ჩანს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პოტენციური შემოსავლის წყაროდ განიხილავს ტურიზმს. სწორედ ამიტომ სასურველია მოხდეს ტურიზმის მაქსიმალური წახალისება ქედის მუნიციპალიტეტში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარ მცირე მიწაზე მოჰყავს (საუბარია არაუმეტეს (დაახლოებით) 0.5 ჰექტარზე). მიღებული პროდუქციის გასაღების მთავარ და სასურველ ბაზარს ბათუმის აგრარული ბაზარი წარმოადგენს. აქ აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მოსახლეობის ნაწილს ამჟამად გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი გადამყიდველების ჩანაცვლება სურთ სხვადასხვა ბაზრის მეშვეობით. ამათგან აღსანიშნავია ტურისტული ბაზარი. შესაბამისად ტურიზმის წახალისებით ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების ორი ფართო ჯგუფის მდგომარეობის გაუმჯობესებაა შესაძლებელი: პირველი, გაუმჯობესდება სასტუმროების მქონე ოჯახების მდგომარეობა და მეორე, გაუმჯობესდება სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის მდგომარეობა, რამეთუ მათ გაეხსნებათ ახალი და სასურველი გასაღების ბაზრები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ისურვებდა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ფარგლებში ადგილობრივი მთავრობა ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი დახმარებოდა მათ იაფი კრედიტით, ნერგებითა და შხამ-ქიმიკატებით, რადგან ამ ყველაფერზე ხელმისაწვდომობა მათთვის პრობლემას წარმოადგენს

X. ინფორმაციის მიღების საშუალებები და კულტურა/გართობა

განვიხილოთ თუ რა გზებით იღებს მოსახლეობა ქედის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას. N31 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაციის გავრცელების საშუალებები.

ცხრილი N 31 ინფორმაციის გავრცელების საშუალებები.

ადგილობრივი ხელისუფლება	9,9%
ტელევიზია	59,0%
რადიო	1,1%
ბეჭდური მედია	1,2%
არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები	1,6%
ინტერნეტი	22,9%
ახლობლები/მეგობრები/ნაცნობები	16,3%
საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები	12,9%
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	4,9%
საერთოდ ვერ ვიღებ ინფორმაციას	0,3%
მერის რწმუნებული თემში/სოფელში	2,1%
სხვა	1,6%
მიჭირს პასუხის გაცემა	1,3%

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების ყველაზე პოპულარულ გზას წარმოადგენს ტელევიზია (59%), ინტერნეტი (22.9%) და ინფორმაციის მიღება ახლობლების, მეგობრების ან ნაცნობებისაგან (16.3%).

განვიხილოთ, თუ რა სახის კულტურული და გასართობი ცენტრები ფუნქციონირებს ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელსა თუ თემში. N21 დიაგრამაზე წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

დიაგრამა N 21. კულტურული და გასართობი ცენტრები ქედის მუნიციპალიტეტში.



როგორც ჩანს, ყველაზე ხშირად ჩამოთვლილი კულტურული და გასართობი ცენტრებიდან ქედის მუნიციპალიტეტში გვხვდება სტადიონები. გამოკითხულთა 61.3% ადასტურებს მის სოფელსა თუ თემში სტადიონის არსებობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა ძალზე მცირე ნაწილი (1.2%) ადასტურებს კინოთეატრის არსებობას მის სიახლოვეს. რაც შეეხება სხვა სახის კულტურულ და გასართობ ცენტრებს, შეინიშნება მათი რაოდენობის ნაკლებობა[28].

განვიხილოთ რამდენად იყენებს ამა თუ იმ კულტურულ და გასართობ ცენტრს გამოკითხული მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის გარშემოც არსებობს ცალკეული ცენტრი. მოცემული ინფორმაცია შეჯამებულია N22დიაგრამაზე.

დიაგრამა N 22. კულტურული და გასართობი ცენტრებით სარგებლობა



[28] იხილეთ დიაგრამა N21

დიაგრამიდან ჩანს, გარდა კულტურული და გასართობი ცენტრების ნაკლებობისა შეინიშნება, ცენტრების გამოყენების ნაკლებობაც. მართლაც, შედარებით ხშირად დატვირთულია სტადიონი (38.2%). რაც შეეხება დანარჩენ კულტურულსა და საგანმანათლებლო ცენტრებს, მათ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იყენებს.

XI. ქალთა ჩართულობა

მოცემული ქვეთავი განიხილავს თუ რამდენად სასურველია ქალთა ჩართულობა სხვადასხვა ტიპის აქტივობაში და თუ რამდენად ეფექტურად ითვლება ცალკეული აქტივობის განხორციელება ქალის მიერ.

N32 ცხრილში წარმოდგენილია გამოკითხული მოსახლეობის აზრი იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ეფექტურია ქალის ჩამოთვლილ საქმიანობებში ჩართულობა.

ცხრილი N 32. მოსაზრებები სხვადასხვა საქმიანობაში ქალთა ეფექტიანობის შესახებ

%	სრულიად არაეფექ-ტური	მეტწილად არაეფექტური	დამაკმაყოფილებელი	მეტწილად ეფექტური	სრულიად ეფექტური	მიჭირს პასუხის გაცემა
საჯარო სამსახური	3,1	5,6	10,2	22,1	58,4	0,6
საოჯახო სასტუმრო	2,3	7,8	13,4	31,3	45,0	0,3
მევენახეობა	22,2	41,1	20,3	8,4	7,5	0,6
მეცხოველეობა	6,6	22,2	28,4	22,3	20,2	0,3
მეხილეობა	16,3	32,2	26,3	10,7	13,3	1,1
მაღაზიის მართვა	4,2	7,2	10,8	34,7	42,5	0,6
რეინჯერად მუშაობა	7,7	65,9	9,4	8,1	2,6	4,9
სკოლის დირექტორობა	6,3	5,2	4,7	13,2	68,8	1,7
მერის რწმუნებულობა	8,1	8,5	14,3	30,5	36,6	2,0
სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია	3,1	5,6	16,4	20,8	50,5	3,6

გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი (68.8%) თვლის, რომ ქალები ძალიან ეფექტურად მუშაობენ სკოლის დირექტორის თანამდებობაზე, საჯარო სამსახურში (58.4%), სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისას (50.5%) და საოჯახო სასტუმროს მართვისას (45%). გამოკითხული მოსახლეობის 65.9%-ის აზრით ქალები განსაკუთრებით არაეფექტურები არიან რეინჯერის პოზიციაზე მუშაობისას. გამოკითხულთა 22.2%-ის აზრით ქალები სრული არაეფექტურობით გამოირჩევიან

მევენახეობაში, ხოლო 16.3%-ს მიაჩნია, რომ ქალებს სრულებით არ შეუძლიათ იყვნენ ეფექტურნი მეხილეობის სფეროში.

როგორც მოცემული მონაცემებიდან იკვეთება, გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის, რომ სოფლის მეურნეობაში ქალებს ეფექტური მუშაობაა შესაძლებელი. ბევრი რესპონდენტისათვის ქალების ძირითადი როლი სოფლის მეურნეობაში მაშინ იწყება, როდესაც აუცილებელი ხდება მიღებული პროდუქციის გაყიდვა. გარდა ამისა, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ძირითადად ქალთა სამუშაო ადგილად წარმოიდგენს ადგილს, რომელიც ფიზიკურ შრომას არ უკავშირდება და მის ნაცვლად აქცენტი გაკეთებულია გონებრივ შრომაზე (სკოლის დირექტორობა, საჯარო სამსახურში მუშაობა და ა.შ).

კითხვაზე, ისურვებდა თუ არა რესპონდენტი ქედის მერად ქალს, გამოკითხულთა 80.2% ამბობს, რომ ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა თუკი იგი შეძლებდა ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობას. ანუ მოცემული 80.2% იგივე მოთხოვნებს უყენებს ქედის მუნიციპალიტეტის წარმოსახვით კანდიდატ ქალს, როგორსაც წაუყენებდა კანდიდატ მამაკაცს. გამოკითხულთა 6.8% თვლის რომ ქალი ვერ შეძლებდა გამკლავებოდა მერის თანამდებობას. ნაწილი რესპონდენტებისა (4.8%) აღნიშნავს, რომ ასეთი ქალის არსებობა ქედის მუნიციპალიტეტში არ წარმოუდგენია, ხოლო 4%-ის აზრით ზოგადად მერობა არ არის ქალის საქმე. გამოკითხულთაგან 4.3%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

საინტერესოა ქედის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის აზრი იმასთან დაკავშირებით თუ რატომ მიდიან ახალგაზრდები ქედის მუნიციპალიტეტიდან. ამის დასადგენად განვიხილოთ ცხრილი N33.

ცხრილი N 33. ახალგაზრდების ქედის მუნიციპალიტეტიდან წასვლის მიზეზები[29]

	დაბა ქედა	ცხმორისი	ზვარე	პირველი მაისი	მახუნცეთი	დანდალო	მერისი	ოქტომბერი	წინიარისი
არ აქვთ სამუშაო	91,8%	55,8%	87,1%	100,0%	80,4%	93,7%	96,6%	94,7%	50,9%
არ აქვთ სწავლის შესაძლებლობა	29,7%	19,9%	27,3%	0,0%	7,5%	2,7%	2,7%	0,0%	27,2%
არ აქვთ გასართობი	25,6%	13,6%	6,4%	10,5%	7,4%	19,4%	0,0%	0,0%	13,0%
არ უნდათ სოფლის მეურნეობაში საქმიანობა	18,1%	24,9%	13,9%	0,0%	17,2%	3,7%	3,4%	6,1%	12,9%
ქედაში ძალიან დაბალი ხელფასებია და სხვაგან მიდიან სამუშაოდ	25,4%	15,6%	33,2%	27,5%	6,2%	14,3%	80,3%	88,7%	33,6%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,0%	3,9%	0,0%	0,0%	0,0%	3,6%	0,0%	2,7%	3,0%

[29] აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ ორი მიზეზის დასახელება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიდიან ახალგაზრდები ქედის მუნიციპალიტეტიდან.

ცხრილი N33 ცხადად გამოსახული ტენდენციების მატარებელია: ქედაში წარმოდგენილი თითოეული მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების წასვლის მიზეზად სამუშაოს არქონას ასახელებს.

ცხრილის მიხედვით სამუშაოს უქონლობის პრობლემას ემატება ისიც, რომ გამოკითხული მოსახლეობის აზრით ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან წასვლის მიზეზად გვევლინება დაბალი ანაზღაურება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ მერისისა (80.3%) და ოქტომბრის (88.7%) თემებში შეინიშნება.

სამუშაოს უქონლობისა და ხელფასის სიმცირის უარყოფითი ეფექტი სავარაუდოდ თავის მაქსიმუმს მაშინ მიაღწევს, როდესაც ეს ორი ფაქტორი ერთდროულად დაიწყებს მუშაობას. ანუ თუ რომელიმე თემისთვის სამუშაოს უქონლობა და დაბალი ხელფასი ერთდროულ მახასიათებელს წარმოადგენს მაშინ გამოვა, რომ ამ თემს დასაქმების კუთხით ნამდვილად აქვს პრობლემები და საფიქრებელია, რომ სწორედ ეს პრობლემები იწვევს ახალგაზრდების წასვლას ქედის მუნიციპალიტეტიდან. ამის გასაანალიზებლად განვიხილოთ დიაგრამა N23, სადაც განხილულია ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან წასვლის მოცემული ორი მიზეზი ერთდროულად.

დიაგრამა N 23. შრომის ბაზართან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც იწვევს ახალგაზრდების ქედის მუნიციპალიტეტიდან წასვლას.



დიაგრამა N23 დაყრდნობით იკვეთება ორი თემი, რომლებისთვისაც დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები სავარაუდოდ ყველაზე ხშირად წარმოადგენს ახალგაზრდობის შესაბამისი თემიდან წასვლის მიზეზს. ესენია მერისი და ოქტომბერი. N23 დიაგრამიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება იკვეთება: ძირითად შემთხვევაში ის ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გასვლის მიზეზად სამუშაოს არქონას ასახელებენ, ამბობენ აგრეთვე იმასაც, რომ ახალგაზრდობის მუნიციპალიტეტიდან წასვლის არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზად დაბალი ხელფასები გვევლინება. ანუ ერთდროულად სახეზეა სამუშაოს უქონლობისა და დაბალი ხელფასების პრობლემა. ამას ორი მიზეზი შეიძლება ქონდეს:

1. შესაძლოა ამ თემებში მართლაც არსებობს დასაქმებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა და აღნიშნული მონაცემებიც ამას უსვამს ხაზს, ან
2. მონაცემები შერჩევასთან დაკავშირებული შეცდომის საფუძველზეა მიღებული და ეს განაპირობებს არარეალური კორელაციის გამომჟღავნებას.[30]

როგორც N33 ცხრილიდან ჩანს, დასაქმებასთან შედარებით ნაკლებად აქტუალურ მიზეზებად გვევლინება შემდეგი ფაქტორები: სწავლის შესაძლებლობის არქონა, გასართობის არქონა და სურვილის არქონა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაებან სოფლის მეურნეობაში.

[30] ამის ალბათობა იზრდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე ინდივიდი ასახელებს ორივე პრობლემას ერთდროულად.

XII. დანართები

დანართი N1. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების ტიპები

	რაოდენობა	პროცენტი
საჯარო სექტორი	69	49,0%
ადგილობრივი თვითმმართველობა	4	3,1%
კერძო ორგანიზაცია	12	8,4%
ერთობლივი საწარმო	3	1,8%
სააქციო საზოგადოება	2	1,2%
მთავრობა	9	6,2%
არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია	3	1,8%
ფერმერი	9	6,3%
თვითდასაქმებული	8	5,4%
ქედის ჰოსპიტალი	1	0,8%
სოფლ.მეურნეობა	7	4,8%
საწყობის გამგე	1	0,8%
ბათუმის მედ.ცენტრი	1	0,6%
სუპერმარკეტი	2	1,2%
ინდმეწარმე	2	1,2%
სამშენებლო	2	1,3%
პედაგოგი	1	0,6%
ვაჭრობა	3	1,8%
დურგალი	1	0,6%
შპს გუმბათი ჰესი	2	1,2%
შპს ზეტა	1	0,6%
მინიავტობუსით ემსახურება სოფელს	1	0,6%
მიჭირს პასუხის გაცემა	1	0,6%

დანართი N2. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე მყოფი პრობლემები

არ არის აგრარული ბაზარი	1,6%
მიგრაცია	7,7%
განათლების დაბალი დონე	0,6%
პარკინგი	1,6%
რეკრიაციული ზონა უბანში	0,3%
კინოთეატრი არ არის	0,9%
პროფესიული კოლეჯი	0,6%
საოჯახო სასტუმროები არ არის	0,7%
ინფრასტრუქტურა	6,3%
საგზაო ნიშნები	0,7%
ქუჩების დამისამართება	1,0%
სპორტული დარბაზი	1,3%
ტურიზმის განვითარება	3,9%
ტურისტული ბილიკების განვითარება	0,9%
უმუშევრობა	48,7%
შიდა გზების მოუწესრიგებლობა/გზის რეაბილიტაცია	37,6%
ცენტრალური კანალიზაციის არ არსებობა	6,5%
სანიაღვრე სისტემა არ არის მოწესრიგებული	16,2%
წყლის პრობლემა	28,3%
ახალგაზრდებს გასართობი არ აქვთ/თავშეყრის ადგილები	13,7%
გარე განათება არა არის საკმარისი	29,9%
ნაგვის ურნები არ არის საკმარისი რაოდენობის	9,0%
ინტერნეტის ქსელი არ არის გაყვანლი	18,2%
საბავშვო ბაღის არარსებობა	0,9%
შხამქიმიკატების მიწოდება მოსახლეობისათვის	0,3%
მსხვილფეხა ფერმერთა ასოციაციის ჩამოყალიბებება	0,7%
მედ.პუნქტი უფუნქციოდაა/აფთიაქი არ არის/ამბულატორია არ არის	5,1%
სოფელი არ არის გაზიფიცირებული	9,0%
რიტუალების ჩასატარებელი სახლი	0,3%
საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის/დღეში ერთხელ დადის	5,6%
ტყის რესურსების გამოყენების შეზღუდვა	1,1%
გზის დამცავი ზღუდეები	0,3%
მეწყერსაშიშ ადგილებში დამცავი ჯებირები არ არის	1,7%
საძოვარი ადგილების არარსებობა	0,4%
მიწის დახვნის მომსახურება არ აქვს სოფელს	0,6%
წისქვილი არაა სოფელში	0,9%
სოფლის მეურნეობის განვითარება/ მეფუტკრეობა	1,3%
მარკეტი არ არის	3,4%
ჩამრიცხველი არ არის/ჩასარიცხი აპარატი	0,9%

ფაროსანა	2,6%
ავტოსამრეცხაო	1,2%
ხე-ტყის განადგურება	0,3%
მოსავლის რეალიზაცია/აგროსისტემის გაუმჯობესება	6,7%
უსახსრობა/დაბალი ხელფასები	2,0%
ბინების გაფორმება ხალხისთვის	0,8%
გარევაჭრობა	0,3%
არაკომპეტენტურობა სოც.დაუცველის სტატუსის მინიჭების საქმეში	0,3%
დაბალი პენსიები	1,3%
ელ.გაყვანილობის ავარიული მდგომარეობა	0,6%
გაჩერებასთან მოსაცდელი არ არის	1,8%
სოფლის დამაკავშირებელი გზა	0,3%
შშმ პირებისთვის არახელსაყრელი გარემო	0,6%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,6%

დანართი N 3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ძირითადი საქმიანობები

მეცხოველეობა	54,2%
მეფუტკრეობა	18,3%
მეკარტოფილეობა	37,6%
ფურაჟის წარმოება	5,1%
თივის წარმოება	12,1%
მეღორეობა	6,1%
მეფრინველეობა	18,1%
მეცხვარეობა/თხის მოშენება	1,8%
სასოფლო ტექნიკით მომსახურება	4,0%
კენკროვანი კულტურების წარმოება	6,7%
მეხილეობა	39,3%
მებოსტნეობა	59,2%
მევენახეობა	46,3%
თხილის ბაღი	51,0%
საკალმახე ან სხვა სახის თევზის მეურნეობა	6,6%
საოჯახო სასტუმრო	4,8%
თამბაქოს მოყვანა	21,8%
მაღაზია, საცალო ვაჭრობა	2,3%

დანართი N 4. საქმიანობები, რომლებიც ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია

	%
მეცხოველეობა	4,2
მეფუტკრეობა	6,8
მეკარტოფილეობა	2,9
ფურაჟის	0,4
თივის წარმოება	0
მეღორეობა	0,4
მეფრინველეობა	0
მეცხვარეობა/თხის მოშენება	0,7
სასოფლო ტექნიკით მომსახურება	0,9
კენკროვანი კულტურების წარმოება	0,5
მეხილეობა	3,3
მებოსტნეობა	16,7
მევენახეობა	14,3
თხილის ბაღი	7,3
საკალმახე ან სხვა სახის თევზის მეურნეობა	3,4
საოჯახო სასტუმრო	1,6
თამბაქოს მოყვანა	16,4
მაღაზია, საცალო ვაჭრობა	1,7

დანართი N 5. მოსახლეობის ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზებითაა შესაძლებელი ქედის ეკონომიკის განვითარება

მეცხოველეობის განვითარება	**13,5%**
მეფუტკრეობის განვითარება	34,2%
მეკარტოფილეობის განვითარება	6,5%
თივის წარმოების განვითარება	2,3%
მეფრინველეობის განვითარება	3,6%
მეხილეობის განვითარება	10,6%
მებოსტნეობის განვითარება	13,5%
მევენახეობის განვითარება	42,1%
თხილის ბაღების გაშენება	35,0%
საკალმახე ან სხვა სახის თევზის მეურნეობის განვითარება	12,4%
გზების რეაბილიტაცია	19,5%
ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა	17,8%
ტყეში სალაშქრო ბილიკების გაკეთება	10,4%
საოჯახო სასტუმროების განვითარება	13,6%
სოფლის ტურიზმის განვითარება	39,0%
საოჯახო სასტუმრო	6,3%
თამბაქოს ქარხნის ამუშავება	7,2%
ხურმის ბაღის გაშენება	0,7%
ჩაის პლანტაციების გაშენება	0,5%
სარწყავი სისიტემის მოწესრიგება/წყალმომარაგება	0,7%

თვისებრივი კვლევის ანგარიში

I. შესავალი

თვისებრივი კვლევა წარმოადგენს პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ნაწილს. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით.

ზემოაღნიშული კვლევის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა. კვლევა ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე:

- ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქედაში არსებული ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები;
- ორგანიზაციული განვითარების ხარისხი (თვითმმართველობების ორგანოების არსებობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფორმალური და არაფორმალური სათემო ჯგუფები, თემის მობილიზების და განვითარების გამოცდილება და ა.შ.);
- ადგილობრივი ინტერესები და ინტერესის ჯგუფები.

თვისებრი კვლევა მიზნად ისახავდა სიღრმისეულად გაენალიზებინა აღნიშნული თემები და შეესწავლა ის დეტალები, რომელსაც რაოდენობრივი კვლევა ვერ ფარავს. თვისებრივი კვლევა განხორცილდა 2018 წლის თებერვალ-მაისის პერიოდში. საველე კვლევითი საქმიანობა განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტსა და ბათუმში.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები:

1. ნახევრადსტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ – ჩატარდა 18 სიღრმისეული ინტერვიუ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლებთან სხვადასხვა თემში (7 ქალი და 11 კაცი) ; ასევე, რელევანტურ პირებთან ბათუმში (რესპონდენტების სია მოცემულია დანართში #1).
2. ფოკუსჯგუფი – ჩატარდა რვა ფოკუსჯგუფი:

- *ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სამთვალყურეო საბჭოს წევრები* - 9 მონაწილე : 4 ქალი და 5 კაცი;
- *ქედის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა* - 18-29 წლის 5 მონაწილე: 3 ქალი და 2 მამაკაცი;

- *ქედის მუნიციპალიტეტის ხანდაზმული მოსახლეობა:* 7 მონაწილე: 60 წელს ზემოთ 2 ქალი და 65 წელს ზემოთ 5 კაცი;
- *გოგონები და ქალები:* 18-55 წლის გოგონები და ქალები – 5 მონაწილე;
- *ფერმერები*: 6 მონაწილე – 2 ქალი და 4 კაცი;
- *მცირე მეწარმეები:* 5 მონაწილე – 0 ქალი და 5 კაცი;
- *მეტყევე & რეინჯერები* – 4 მონაწილე – 0 ქალი და 4 კაცი;
- *„ამაგის“ წევრები* – 4 მონაწილე – 1 ქალი და 3კაცი;

ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ხორციელდებოდა წინასწარ შემუშავებული გზამკვლევის შესაბამისად (სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის გზამკლვევი მოცემულია დანართში #2). ასევე, ინტერვიუს რესპონდენტებისთვის მომზადებული იყო ინფორმირებული თანხმობის ფორმა (მოცემულია დანართში #3).

მონაცემების შეგროვება წარიმართა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (20–23 თებერვალი) ჩატარდა 7 ფოკუსჯგუფი და 4 ინტერვიუ; ხოლო მეორე ეტაპზე (21–24 აპრილი) – ერთი ფოკუსჯგუფი და 14 ინტერვიუ. მონაცემების შეგროვების პირველ ეტაპზე მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იყო რაოდენობრივი კვლევის კითხვარის მომზადების პროცესში. ასევე, თვისებრივი კვლევისთვის გამოიკვეთა შემდგომ ჩასაღრმავებელი საკითხები.

კვლევის შედეგები

II. მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა

1. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა და ეკონომიკური მდგომარეობა

რესპონდენტების უმრავლესობისთვის, ქედის მუნიციპალიტეტი არის მთისა და ბარის დამაკავშირებელი ადგილი, რომელიც გულისხმობს როგორც ძველი ტრადიციების, ისე თანამედროვე შეხედულებების არსებობას. *„ვართ სტუმართმოყვარე ხალხი, ტრადიციულები. მაგრამ ტრადიციებიში არ იგულისხმება ის, რომ ჩარჩენილები ვართ პირველ საუკუნეში. ვვითარდებით, მაგრამ ვართ ტრადიციულები“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე მამაკაცი).* ქედის მუნიციპალიტეტის ფოლკლორი და კულტურული ტარდიციები ოდითგანვე იზიდავდა მნახველებს. ტურისტებისთვს მიმზიდველია ქედის ბუნება და ისტორიული ადგილები. ქედას ისტორიულად ახასიათებდა განვითარებული

სოფლის მეურნეობა - ეს ადგილი ცნობილია ისეთი კულტურებით, როგორიცაა ვაზის სპეციალური ჯიშები (ჩხავერი და ცოლიკაური), თამბაქო, ჩაი და სხვა.

ქედის ტურისტული პოტენციალი ყოველწლიურად ძლიერდება. აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლის ინფორმაციით, 2017 წლის კვლევის მონაცემებით, ქედაში ტურისტების რაოდენობა 204%–ით გაიზარდა 2016 წელთან შედარებით. ზოგადად, ტურისტების რაოდენობა მაღალმთიან აჭარაში საგრძნობლად მომატებულია; 2017 წლის კვლევით, მაღალმთიან აჭარაში, 2016 წელთან შედარებით, 98%–ით მეტი ტურისტი იყო, აქედან ყველაზე მეტ ტურისტს ქედის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტს მაღალმთიან აჭარაში სამი ძირითადი ტურისტული მარშრუტი აქვს მოკვლეული: მაჭახელას მიმართულება, ქედის ღვინის მარშრუტები– საოჯახო ტიპის სახლების მარნები და ხულოს მარშრუტები. აღნიშნული სააგენტოს წარმომადგენლის ინფორმაციით, ჩამოთვლილი მარშრუტებიდან 2017 წელს ყველაზე მეტ ტურისტს ქედამ უმასპინძლა. როგორც აღინიშნა, ქედაში ფუნქციონირებს ღვინის ტურისტული მიმართულება, რაც გამყარებულია იმ გარემოებით, რომ ქედაში მოდის ყურძნის განასკუთრებული ჯიშები (ჩხავერი და ცოლიკაური), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. ზოგადად, ყურძენი აჭარაში ყველგან არ მოდის. შესაბამისად, ქედის ერთ–ერთი ძირითადი ტურისტული მიმართულება არის ღვინის ტურიზმი. ამ მიამრთულების გარდა, ქედაში დიდი პოტენციალი აქვს სოფლის ტურიზმსა და სათავგადასავლო ტურიზმს. ქედის მნიშვნელოვან ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს მისი ფოლკლორი: *„ფოლკლორი ყველა მუნიციპალიტეტში არის, მაგრამ ქედაში ტურისტი სპეციალურად ამისთვის ადის. არის ოჯახები, სადაც 3-4 შთამომავალი ერთ ოჯახში ცხოვრობს და ყველანი მღერიან. იციან ინგლისურიც, რუსულიც, ფრანგულიც, გერმანულიც და თვეობით ჩამოდიან ადამიანები ამერიკიდან, კანადიდან, რომ ეს ფოლკლორი ისწავლონ და შემდგომ ჩვენს ფესტივალებშიც კი გამოდიან“* (ინეტრვიუს რესპონდენტი ქალი). ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას გეგმავს აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტი – იგეგმება მერისის მარშრუტის მონიშვნა, როგორც ფოლკტური აჭარაში. აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის მარშრუტი სახელწოდებით „ვიზიტი სოფლად'' მთლიანად მერისის ხეობაზეა მორგებული. "ვიზიტი სოფლად'' ასევე ფარავს გობრონეთის მიმართულებას, რომელიც მთის წრიულ მარშრუტსაც მოიცავს – 2017 წელს, როდესაც ეს მარშრუტი აღინიშნა რუკაზე, ტურისტების დიდი ინტერესი გამოიწვია; რადგან ამ პერიოდისთვის, მთის ბილიკი მარკირებული არ იყო,

აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტი იძულებული გახდა ხეები სპეციალური საღებავებით მოენიშნა – დეპარტამენტის წარმომადგნელის ინფორმაციით პროექტი მალე დასრულდება.

ტურისტული მიმართულების განვითარებამ საშუალება მისცა ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ამ მიმართულებით წარემართა სამეწარმეო საქმიანობა. შეიქმნა არაერთი საოჯახო სასტუმრო, რომელიც ყოველწლიურად მასპინძლობს ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს. ქედის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თვითდასაქმებულია - ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში, აქვთ მცირე საოჯახო სასტუმროები, ჩართულნი არიან მცირე მეწარმეობაში - რაიონის ცენტრში ფლობენ ჯიხურს. მოსახლეობის ძირითად დამსაქმებელს საჯარო სექტორი წარმოადგენს - მუნიციპალიტეტი, გამგეობა, საგანანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, დასაქმება აქაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ოჯახების უმრავლესობას აქვს საკმაოდ დაბალი შემოსავალი, რადგან საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი არის მცირე, განსაკუთრებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულებისა და მცირე მეწარმეთა შემოსავალი ასევე მცირეა. ოჯახების მნიშნველოვან შემოსავალს წარმოადგენს ასაკის გამო მიღებული პენსია და ფულადი სოციალური დახმარება - *„არის სოფლები, სადაც კარგ შემოსავლიანად ითვლება ის ოჯახი, რომელსაც ჰყავს პენსიონერი და იღებს პენსიას“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე მამაკაცი).* ოჯახების უმრავლესობისთვის შემოსავალი საკმარისი არ არის ოჯახის წევრების ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. არასაკმარისი შემოსავლების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი (ძირითადად ახალგაზრდები) შემოსავლის მისაღებად მიემართება თურქეთში - სეზონურ სამუშაოებზე ან ბათუმში - ძირითადად სამშენებლო სამუშაოებზე. აღნიშნული ვითარების გამო, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლები იცლება ახალგაზრდებისგან; ასევე, ბევრ ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვები დედის მზრუნველობის გარეშე იზრდებიან, რადგან დედები სამუშაოდ თურქეთში მიდიან.

კვლევის მონაწილეებისგან მიღებულ ინფორმაციაში გამოიკვეთა რაიონისთვის და მოსახლეობისთვის აქტულური შემდეგი საკითხები:

1. *<u>მცირემიწიანობა:</u>* ოჯახების უმრავლესობა ფლობს ნაკვეთის ისეთ ზომას, რომელიც კომერციული მიზნით არ გამოიყენება; ის მხოლოდ ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროდუქტების მოყვანის საშუალებას იძლევა - *„მცირე*

მიწაზე იმდენ პორდუქტს თუ მოიყვან, რომ ოჯახს ეყოს, ვერ გაყიდი" (ინტერვიუს რესპონდენტი, მამაკაცი). თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, შესაძლებელია მცირე მიწის უფრო ეფექტიანად გამოყენება: მისი ტერასებად დამუშავება და ერთ კვადრატულ მეტრზე იმ კულტურის გაშენება, რომელიც მეტ შემოსავალს იძლევა. ასევე, აღინიშნა, რომ ბევრი მიწა აღარ მუშავდება *„52 ჰექტარიდან მუშავდება 25 ჰექტარი, ახალ მიწას კი არ იმატებს გლეხი, პირიქით, რაც ჰქონდა, იმ მიწასაც კარგავს; იმის გამო რომ ხალხი მიწას არ ამუშავს, მიწა „გატყევდა" (ინტვერვიუს რესპონდენტი, მამაკაცი).*

2. <u>*დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები:*</u> - ბევრ ოჯახს, საკუთრებაში არ აქვს დარეგისტრირებული ის მიწა, რომელიც ითვლება, რომ მას ეკუთვნის. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ეს გარკეულ პრობელმას ქმნის - *„ადამიანმა ზუსტად არ იცის, მისია თუ არა ეს მიწა, გულით ვერ ეკიდება" (ინტერვიუს რესპონდენტი).* თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ მიწის რეგისტრაცია ბევრი ოჯახის ინტერსში არ შედის, რადგან ეს გავლენას ახდენს მათ მიერ სახელმწიფო ფულადი სოციალური დახმარების მიღებაზე; შესაბამისად, ეს ოჯახები დაინტერესებულნი არ არიან, დაიკანონონ ის მიწის ნაკვეთები, რომელიც ფაქტობრივად მათ ეკუთვნით და რომლის დამუშავება შეუძლიათ. მიწის ფლობა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერს დაეხმაროს ბაღისა და სათბურის მოწყობაში. თავიდან მოთხოვნილი იყო მინიმუმ 500 კვადრატული მიწის ფლობა, ახლა კი – 400 კვადრატულისა. მსგავსი პირობებია სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში"

3. <u>*ფერმერებისა და მეწარმეების არაინფორმირებულობა მნიშვნელოვან საკითხებზე:*</u>

   3.1 *ნიადაგის სპეციფიკა* – კვლევის მონაწილე ფერმერებმა არერთხელ აღნიშნეს, რომ მათთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა, რომელსც ფლობენ. მწირემიწიანობის ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია მიწის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება. როგორც აღინიშნა, ხშირად ფერმერთა უმრავლესობა ტრადიციული კულტურების მოშენებას მისდევს, რაც ეფექტური არ არის: *„ტრადიციული ხედვა – სიმინდის და ტრადიციული კულტურების მოშენება - დაბალშემოსავლიანია (ინტერვიუს რესპონდენტი).* თუმცა, კონკრეტულად რომელი კულტურა მოაშენონ, როგორც თავად ფერმერებმა აღნიშნეს, ბევრს ამ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს - არც ნიადაგის

გამოკვლევა შეუძლიათ და შესაბამისი სპეციალისტის რჩევის მიღებაც ნაკლებად ხელმისაწვდომია: *„არ იციან რა დარგონ – ჩხავერი, ცოლიკაური, თამბაქო, თხილი, რომელი კულტურა მოაშენონ. ყველა გადავიდა თამბაქოს დარგვაზე, თამბაქო აღარ საღდება, ბაზარს გასავალი არ აქვს, როგორ გინდა გაასაღო? გამოდის კაცი და მეუბნება, ნიგოზი დარგეო, ნიგოზი არის 50– წლიანი პერსპექტივა, მე გეუბნები ხვალინდელ პერსპექტივაზე... პერსპექტივას ვერ ვხედავ...“ (ფოკუსჯგუფის წევრი მამაკაცი).*

3.2 *კულტურების მოვლა* – ფერმერების უმრავლესობისთვის აქტუალურია შხამ–ქიმიკატების თემა. გამოიყო ორი ძირითადი საკითხი: (1) შხამ-ქიმიკატების ხელმისაწვდომობა - როგორც აღინიშნა, ბევრი ფერმერი ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობით შხამ–ქიმიკატების შეძენას უსახსრობის გამო; და (2) შხამ–ქიმიკატების ხარისხი - ბევრი ფერმერი უკმაყოფილოა შეძენილი პროდუქციით, თვლიან რომ თანხაც დახარჯეს და მოსავალიც გაუფუჭდათ: *„ყოფილა შემთხვევა, რომ ჩავედი ბათუმში, ვიყიდე წამალი და გამოდგა უხარისხო და მთელი წლის მოსავალი გამიფუჭდა. გარანტია არ გვაქვს, რომ წამალი არ გამიფუჭებს და არ დავზარალდები“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე მამაკაცი).* ფერემერები გარკეულწილად სახელმწიფოსგან მოელიან იმ რეგულაციების შემოღებას, რომელიც მათ ხარისხიანი შხამ–ქიმიკატების შეძენაში დაეხმარება. თუმცა, სახელმწიფოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რაიონისა და ადგილობრივი მთავრობების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები აფრთხილებენ მოსახლეობას, რომ შხამ–ქიმიკატები შეიძინონ მაღაზიებში და თავი აარიდონ გარე ვაჭრობებზე მათ შეძენას: *„საბაზრო ეკონომიკა თავისუფალია და ჩვენ ვერ ავკრძალავთ, მაგრამ მაგ კუთხით ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ იყიდოს შესაწამლი საშუალებაც და სასუქიც მაღაზიაში და ზედმიწევნით შეასრულოს ეტიკეტზე დატანილი ინსტრუქცია. ქედაში არ არის სამწუხაროდ, თუმცა ბათუმი არც თუ ისე შორსაა. ხელმისაწვდომობა არის და ლარით ნაკლებს და ხიდის ქვეშ ნაყიდს ჯობია იყიდო მაღაზიაში“ (ინტერვიუს რესპონდენტი მამკაცი).* ფერმერების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ შხამ–ქიმიკატებთან დაკავშირებით ნაკლებად აქვთ პრობლემები, რადგან მხოლოდ მაღაზიებში ყიდულობენ, ასევე აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში შხამ–ქიმიკატების არაეფექტურობა გამოწვეულია არა მისი დაბალი ხარისხით, არამედ იმით, რომ ფერმერები

ზუსტად არ იცავენ მისი მოხმარების ინტრუქციას, რაც მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ თავად ქედაში არ არსებობს შხამ- ქიმიკატების მაღაზია.

3.3 *ტურისტული გზებისა და საოჯახო სასტუმროების განვითარების სპეციფიკა* - ქედის მოსახლეების უმრავლესობას არ აქვს საჭირო ცოდნა ტურისტული ბიზნესის განვითარების შესახებ. პირველი, ხშირად არ ხდება საჭირო მიმართულების განვითარება – ოჯახები ძირითადად ერთმანეთის მსგავს მიმართულებას ავითარებენ, რაც ტურისტისთვის ნაკლებად მიმზიდველია, ადგილობრივებისთვის კი ნაკლებად მომგებიანი – მეზობლები კონკურენციაში შედიან ერთამანეთთან, ეს კი ხშირად არაჯანსაღ პროცესებს იწვევს: *„თუ ერთმა ადამიანმა გააკეთა საოჯახო ტიპის სახლი და გარეთ მარანიც გააკეთა, მეორე, მესამე მეხუთე, მეთეც ზუსტად იგივეს აკეთებს, რაც გააკეთა პირველმა (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).* შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობაში ინფორმირებულობის ამაღლება ტურიზმის დივერსიფიკაციის შესახებ. მეორე, მოსახლეობას არ აქვს სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო ცოდნა – ხშირად მეწარმეებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ინფრასტრუქტურა, რომ ის ტურისტისთვის საინტერესო იყოს: *„მაგალითად მდინარის პირას საპიკნიკე ტერიტორია მოაწყვეს და ააშენეს ბეტონის ქვებით, არც ერთი ტურისტი არ მისულა... ასევე, იყო შემთხვევა, როცა იყო სახლები, რომლებიც მოგვწონდა, ანუ ხის ტრადიციული აივანი, რის გამოც ეს სახლი იყო უნიკალური. მთლიანად მოანგრიეს ის აივანი და ავტომატურად სახლი ველარ მოხვდება აუცილებლად სანახავი ადგილების სიაში (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).*

4. <u>*სახელმწიფოს დახმარება ფერმერებისა და მეწარმეების მხარდასაჭერად*</u> – ქედის ლანდშაფტიდან გამომდინარე, მიწის დამუშავება საკმაოდ რთულია. ამის გათვალისწინებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში ქედის მოსახლეობას მიწის დასამუშავებლად მოტობლოკების შეძენა შაღავათიან ფასებში (900 ლარად) შეეძლო. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ასეთი მოტობლოკები თითქმის ყველა ოჯახშია. ასევე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებდა ნერგების 70%-იან თანადაფინანსებას (აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017).

თანადაფინანსებას კვლევის მონაწილეთა ნაწილი დადებითად აფასებს და უფრო ეფექტურად მიიჩნევს, ვიდრე უსასყიდლოდ დარიგებას: *„თანადაფინანსება ჯობია, ნერგებს რომ აძლევდნენ უფასოდ, იდო ეს ნერგები წლების განამვალობაში, მაშინ როდესაც ყიდულობს, გაიქცევა და აუცილებლად დარგავს“ (ინტერვიუს მონაწილე ქალი).* მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა უმრავლეოსობა დადებითად აფასებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროქტებს, მაინც გამოითქვა შენიშვნები, მაგალითად შეღავათიან ფასში გაყიდული ნერგების ხარისხის შესახებ: *.უხარისხო ნერგები დაარიგეს – „ ყურძენი დავრგე, ცოლიკაური უნდა ყოფილიყო და გამოდგა ისეთი ჯიში, რომ ვერც მე გამოვიყენებ სახლში. კაკალი მოიტანეს, რვა ლარი გადავიხადე, ხუთი წელია არის და იმაზე პატარებია, რაც იყო თავიდან... უხარისხოა ძალიან“ (ინტრვიუს მონაწილე მამაკაცი).* კვლევის მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ უკეთესია, თუ იქნება მცირე გრანტები იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც მოსახლეობას აქვს, მაგალითდ, ყურძნის საწურის ყიდვა – მაგრამ მკაცრი ზედამხედველობის პირობებში. კვლევის მონაწილეები პოზიტიურად აფასებენ საქართველოს მთავრობის პროექტს „აწარმოე საქართველოში“. როგორც აღინიშნა ქედის არაერთი ოჯახია ამ პროგრამის გამარჯვებული. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ საპროექტო განაცხადზე მუშაობისას, უმრავლესობას დახმარება სჭირდება. როდესაც პროექტი საოჯახო სასტუმროს ბიზნესის განვითარებას ეხება, აპლიკანტები ხშირად ღირებულ კონსულტაციებს აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტისგან არაფორმალურად იღებენ.

5. <u>*ფულადი სოციალური დახმარება -*</u> კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ხშირად გაურკვეველია რატომ ენიშნება ან ეხსნება სახელმწიფო ფულადი სოციალური დახმარება ოჯახებს - კრიტერიუმები გაურკვეველია. მეტად მნიშნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სოციალური დახმარება გარკვეულწილად ოჯახებს პასიურობისკენ უბიძგებს: *„რატომ იღებს შემწეობას ჯანმრთელი ადამიანები? იმ დღეს როდესაც სოციალური დახმარება რიგდება, უფრო მეტი არაყი იყიდება მაღაზიებში... უფრო მეტად უნდა წახალისდეს და გამდიდრდეს ის, ვინც შრომობს. და ვინც არ შრომობს, მიხვდეს, რომ მშიერი დარჩება“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).* კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ფულადი სოციალური დახმარების მიღების ან შენარჩუნების მიზნით, ოჯახები დაინტერესებულნი არ არიან მისდიონ შინამეურნეობას –

იყოლიონ შინაური ცხოველები და მოიყვანონ მოსავალი: *„იყო შემთხვევა, როდესაც ორი ძროხა უნდა გადაგვეცა მარტოხელა დედისთვის, ისეთი კარგი ძროხები იყო, შენ წაიყვანდი სახლში. და იცით რა მოხდა?! უარი თქვა ძროხებზე, არ მინდაო“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი)*

6. <u>*ფერმერთა პროდუქციის რეალიზება*</u> – სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზება ზოგი ფერმერისთვის ძალიან პრობლემურია, ზოგისთვის კი ნაკლებად. თუმცა, ორივე კატეგორიისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თურქეთიდან შემოტანილი იგივე პროდუქტი, რომელიც მათ მოჰყავთ - *„რატომ უნდა შემოდიოდეს თურქეთიდან პომიდორი, კიტრი, კალმახი?! ჩვენ რა, არ შეგვიძლია მოყვანა?! სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ეს“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე კაცი). „ჩვენ პროდუქციას „ვიდი არ აქვს“, ერთი „ჰიპი“ იბარებს, თორე ბაზარში რომ წაიღო და გაყიდო, შანსი არ არის მაგის... მოვიყვანო და რა, სად წავიღო?“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე კაცი).* კვლევის მონაწილეები სახელმწიფოსგან ელიან ისეთი რეგულაციების შემოღებას, რომელიც თურქეთიდან სოფლის მეურნეობის იმ პროდუქციის შემოტანას გაართულებს, რომელიც საქართველოში იწარმოება. რეალიზება განსაკუთრებით პრობლემურია მათთვის, ვინც ბევრს არ აწარმოებს, მისთვის მომგებიანი არ არის ბათუმში ჩასვლა, ხოლო ადგილზე გაყიდვა რთულია: *„ქედაში პროდუქციას ვერ გაყიდი – 20000 კაცია მოსახლეობა, აუცილებელია მისი გატანა, ქედაში ბაზარი არ არის (ინტერვიუს მონაწილე ქალი).* ამ ჯგუფის (კატეგორიის) ფერმერებისთვის მეტად მნიშვნელოვანია პროდუქციის ადგილზე დასაწყობება - მათთვის მეტად მნიშვნელოვანია ქედაში საწყობის, სამაცივრე მეურნეობის გაკეთება. ეს ხელს შეუწყობს გადამყიდველის გარეშე პროდუქციის გასაღებას, რაც ასევე დადებითად აისახება ფერმერთა შემოსავალზე. როგორც აღინიშნა, ქედაში იგეგმება ლოჯისტიკური ცენტრის გაკეთება. ლოჯისტიკური ცენტრი დაეხმარება მას, ვისაც პროდუქციის რეალიზება უჭირს. ლოჯისტიკურ ცენტრს პირდაპირი კავშირი ექნება სასტუმროებთან, სუპერმარკეტებთან. ეს ცენტრი ჩაიბარებს ნებისიმიერ პროდუქტს, გარდა რძისა და ხორცისა. იგეგმება დაფასოების ხაზის შექმნა და მაცივრებით უზრუნველყოფა. *„ჩვენ რომ ჩავდივართ ბაზარში, გადამყიდველები ფასშიც გვატყუებენ და წონაშიც, იმედია ამ ცენტრით მოწესრიგდება, ძალიან გამარტივდება საქმე“ (ინტერვიუს მონაწილე კაცი).* ქედაში არიან ფერმერები, რომლებსაც წლების განამავლობაში კლიენტების

საკუთარი ქსელი აქვთ ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით ისინი, ვისაც ყურძნის საფირმო ჯიშები მოჰყავს და ეკოლოგიურ პროდუქტს აწარმოებს: *„მე მაქვს მარწყვი, შინ მაკითხავენ სუპერმარკეტები და 5 ლარს სახლში მიხდიან. თუ ეკოლოგიურად სუფთას მოიყვან, პრობლემა არ არის“ (ინტერვიუს მონაწილე კაცი).* ადგილობრივი მაღალხარისხიანი ღვინის რეალიზებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ არ არის შესაბამისი შეფუთვა, ეტიკეტი, ლაბორატორიის დასკვნა. აქაურ ფერმერებსა და მეწარმეებს მნიშვნელოვნად დაეხმარეობდა, ადგილობრივად რომ იყოს შესაძლებელი ღვინის შესაბამისი შეფუთვა და ეტიკეტირება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზებას ისიც ართულებს, რომ მოსახლეობამ მასიურად დაიწყო იმ კულტურების მოშენება, რომლებიც ბაზარზე მოთხოვნადი იყო (თამბაქო, თხილი), ამას დაემატა მათი შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდანაც - ამჯერად ბაზარი გაჯერებულია, ამ კულტურებზე ფასი დავარდა და ფერმერისთვის სასურველ ფასში მისი რეალიზება რთულია. ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას მნიშვნელოვან დახმარებას ვერ უწევს ქედაში არსებული ღვინისა და ხილის ქარხნები.

7. <u>*მოსახლეობის გადინება*</u> – როგორც კლვევის მონაწილეები აღნიშნავენ, ზემო აჭარას და მათ შორის ქედას რეგულარულად აკლდება მოსახლეობა. მოსახლეობის გადინება ძირითადად სოციო–ეკონომიკური მიზეზებით აიხსნება. პირველ რიგში უმუშევრობა და დაბალი შემოსავალი – ქედაში ნაკლებად არის რეგულარული და მაღალანზღაურებადი სამუშაო ადგილები, რაც ამ ადგილს საცხოვრებალდ ნაკლებად საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. რაიონში არ არსებობს პროფესიული სასწავლებელი, რაც ადგილობრივი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს პროფესიული განათლების ადგილზე მიღების შესაძლებობას არ *აძლევს „პროფესიული სასწავლებელი რომ გვქონდეს აქ, შეიძლება უფრო გაჩერებულიყვნენ ახალგაზრდები, ისწავლინდნენ ხელობას და აქვე დასაქმდებოდნენ“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).* განათლების მისაღებად ქედიდან წასული ახალგაზრდები უკან ნაკლებად ბრუნდებიან; თუმცა, მათი უკან დაბრუნება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რაიონის განვითარებას: *„მნიშვნელოვანია, განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდების უკან დაბრუნება, რადგან პროდუქციის ევროპულ და ზოგადად დასავლეთის ბაზარზე გასასვლელად ახალი სტანდარტების ცოდნაა საჭირო“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).* როგორც

კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ბათუმთან სიახლოვე ხელს უწყობს იმას, რომ მოსახლეობა მასიურად არ ტოვებს ქედას – *„ეს კიდე ქალაქთან ახლო რაიონია და ახალგაზრდები მიდიან, მთელი დღე მუშაობენ და საღამოს მოდიან სახლში, და ზემოთ რაიონებში – ხულოში, რომ ავედი გული მეტკინა, გული მომიკვდა. ის რაც უნდა იყოს, არ არის. დაცლილია. არაჩვეულებრივი ისტორიული კუთხეა, მაგრამ..“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).* ქედის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკავებულია სეზონური სამუშაოებით. მოსახლეობის გადინებას ასევე ხელს უწყობს მეწყერსაშიში ზონები – ქედაში მრავლადაა მესწყერსაშიში ადგილები. *„მთის კანონმა ბევრი დადებითი შემოიტანა, მაგრამ რომ შეაჩეროს მიგრაცია, არა მგონია“ (ინტერვიუს მონაწილე ქალი)*

8. <u>*დაბალი ხელფასები –*</u> როგორც აღინიშნა, ქედის მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია საჯარო სამსახურსა და საგანამანათლებლო დაწესებულებებში. საშუალო ხელფასი არის დაბალი. განსაკუთრებით დაბალია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული ხელფასი. საგანამანათლებლო დაწესებულებებში დაბალი ანაზღაურების მიზეზია ის, რომ ხშირად პერსონალი საშტატო განაკვეთში არ არის, რაც აისახება მათი ანაზღაურების ოდენობაზე. კვლევის მონაწილეების ნაწილმა გაღიზიანება გამოთქვა ხელფასის იმ მკვეთრ განსახვავებასთან დაკავშირებით, რაც არსებობს მაღალი თანამდებობების მქონე პირების ხელფასებსა და რიგითი მოქალაქეების ხელფასებსა და შემოსავალს შორის. ქედაში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ის, რომ ადამიანები ერთდროულად არიან ანაზღაურებად სამსახურში და ამავე დროს მისდევენ მეწარმეობას. ქედის მოსახლეობის დიდი ნაწილის ძირითადი შემოსავალი სეზონურ სამუშაოებს უკავშირდება *„ზაფხულში მთელი აჭარა მიდის თურქეთში, რომ იმუშაოს ჩაი იქნება, თუ თხილი.. დროებითი სამუშაოები მშენებლობაზე (ფოკუსჯგუფის მონაწილე მამაკაცი).*

9. <u>*მოსახლეობის ცნობიერება*</u> – *„ჯერ კიდევ იმ მენტალიტეტის ხალხი ვართ, როცა გვგონია, რომ სახელმწიფო იზრუნებს იმაზე, რომ ჩვენ ვიყოთ მდიდრები. სახლმწიფო ვალდებულია, რომ გამამდიდროს“ (ინტერვიუს რესპონდენტი მამაკაცი).* ასევე აღინიშნა, მოსახლეობის ნაწილს კარგად არ შეუძლია შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობაში მოყვანა – *„ქედაში ერთ დღეს ქორწილზე ალბათ ის პროდუქტი იხარჯება, მთელ ბათუმს ეყოფოდა. ეკონომიკური სიდუხჭირის*

პრობლემა დევს იმაში, რომ არ ვიცით, რამდენი დავხარჯოთ“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი). როგორც ზოგიერთ ინტერვიუში აღინიშნა, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს მეზობლებთან ანაზღაურებადი მუშაობა ეთაკილებათ. ასევე, კვლევის მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ფერმერებმა სახელმწიფოს დახმარება არამიზნობრივად გამოიყენეს - *„სახელმწიფო ჰქონდა პროგრამა, რომელის ფარგლებში მოსახლეობაში სასუქის ვაუჩერებს არიგებდნენ, იყო შემთხვევები, როდესაც შხამ–ქიმიკატების ვაუჩერები ნახევარ ფასად ფულში გადაცვალეს (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).* სოფელში ადამიანები აღარ მუშაობენ იმდენს, რამდენსაც ადრე მუშაობდნენ. როგორც აღინიშნა, ხშირად მოსახლეობას ბიზნესისადმი არასწორი დამოკიდებულება – ბიზნესის რისკებზე პასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოსგან მოელიან *„ბიზნესს აქვს რისკები – მეწყერი რისკია, გვალვა რისკია, ფაროსანა რისკია, სახელმწიფო ცდილობს ამ რისკებზე იმუშავოს და შეამციროს“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).*

10. <u>*ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი ხედვა რაიონულ და მუნიციპალურ დონეზე*</u>– ამ ეტაპზე არც ქედაში და არც ზოგადად, აჭარაში არ არსებობს ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ტურიზმის გეგმაზომიერი და თანმიმდევრული განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ტურისტული დივერსიფიკაცია. როგორც აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის წარმოამდგენელთან საუბარში გამოიკვეთა, აღნიშნული დეპარტამენტი იწყებს რეგიონის ტურისტულად განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობას – *„აქ უკვე შევა კონკრეტული მიმართულებები თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს ქედა, ეს იქნება მამოძრავებელი დოკუმენტი, რომელსაც ქედის ტურიზმი და მუნიციპალიტეტი უნდა დაეყრდნოს“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).* ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ტურიზმის სამსახურის გაძლიერება და გააქტიურება. ამჟამად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ტურიზმის კომპონენტში თანხა გათალისწინებული არ არის; თუმცა, ამ სფეროს ადგილობრივი სპეციალისტების აზრით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ამ მიმართულებით უფრო აქტიურად მუშაობდნენ – დიდი რესურსი უნდა ჩაიდოს მუნიციპალიტეტების ტურიზმის სამსახურების გააქტიურებაში: სამსახურების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაში, ინფოტურების, ფესტივალებისა და სხვადასხვა

კრეატიული ღონისძიებების ორგანიზებაში. ტურისტული მიმართულებით ქედის დატვირთვა უფრო მეტად არის შესაძლებელი – *„შემორჩენილია ძველი ტრადიციული სახლები, რომლებიც შესაძლებელია ტურისტულად დაიტვირთოს, არ არის გამართული მუზეუმი, არ არის მზად ტურისტებისთვის. შეიძლება წამოწევა ისეთი რამეების, რაც მარშრუტს უფრო შეავსებს...“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).*

2. სამედიცინო მომსახურებასა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობა

ქედაში მოსახლეობის პირველად სამედიცინო მომსახურებას სოფლის ამბულატორიები უზრუნველყოფს. ამ მომსახურებაზე სოფლის ნემისმიერ მცხოვრებელს აქვს ხელმისაწვდომობა. სოფლის ამბულატორიას აქვს რესურსი შინ მოემსახუროს მათ, ვისაც სახლიდან გამოსვლა არ შეუძლია (ქედის საკრებულო და გამგეობა, 2018). ზვარეს ამბულატორიის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ USAID-ის პროგრამის მხარდაჭერით უზრუნველყოფილია ამბულატორისს წყალმომარაგება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნვეყოფს შეშას, ტრანსპორტს და ფარავს ელქტროენეგიის გადასახადს (ქედის საკრებულო და გამგეობა, 2018).

სოფლის ამბუულატორიებს მოსახლეობა ძირითადად აკითხავს წნევისა და გულის პრობლემებით. სოციალლურად დაუცველი და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის მოქმედებს სპეციალური პროგრამები – მედიკამენტები არის უფასოდ. ქედის მოსახლეობისთვის, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, პრობლემას წარმოადგენს დამატებითი გამოკვლევების ჩატარება და მედიკამენტების შეძენა. ხშირია შემთხევები, როდესაც ადგილობრივი ან რაიონული მთავრობა ფარავს ოპერაციის საფასურის იმ ნაწილს, რასაც არ აფინანსებს საყოველთაო დაზღვევა. ამბულატორიის ექიმები პაციენტებს აწვდიან ინფორმაციას მერიაში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის პროგრმების შესახებ – *„ვაკვალიანებთ პაციენტს და თუ რაღაცა საჭირო გახდება ჩვენც რეკომენდაციას ვაძლევთ. არ მქონია შემთხვევა, რომ ვინმე წასულიყო და უარყოფითი პასუხით მოსულიყო. ეხმარებიან, შეიძლება თანხა გამოუყონ ერთჯერადადაც, ეხმარებიან რითაც შესაძლებელია (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).*

კვლევის მონაწილეები დადებითად აფასებენ გადაუდებელი სასწრაფო დახმარების მუშაობას. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ეს სამსახური გამართულად მუშაობს და ნებისმიერ ადგილზე შეუძლია მომსახურება.

პრობლემურია საავადმყოფოებში გაწეული მომსახურების ხარისხი; კვლევის მონაწილეთა დიდ ნაწილს ამ მხრივ ნეგატიური გამოცდილება აქვს – პრობლემა უკავშირდება როგორც მომსახურების ხარისხს, ისე ფასს – *„გლანდების ოპერაცია გავუკეთე ჩემს შვილს და ორჯერ ჩასვლა, კონსულტაცია და ოპერაციის გაკეთება თბილისში არ დამიჯდა იმდენი, რამდენიც ბათუმში რომ სჭირდება მარტო ოპერაციას. ყველა საავადმყოფოს მისი ფასები აქვს, 250 ლარი დამიჯდა თბილისში და აქ კიდე მარტო 300 ლარი ჯდება ოპერაცია“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი).*

ადგილობრივი მთავრობა სპეციალურ სამედიცინო პროგრამებზე მუშაობს წინა გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე. დამატებულია პროგრამა პარკინსონის მქონე ადმიანებისთვის და შინ მოვლის პროგრამა. ასევე, ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტში არის სარეზერვო თანხა, რომელიც იხარჯება სამედიცინო საჭიროებებისთვის.

ქედის რაიონის 64 სოფელს 29 სკოლა და 15 ბაღი ემსახურება. სკოლამდე სამანქანო გზა შეიძლება იყოს ერთი, ორი ან სამი კილომეტრი. საბავშვო ბაღისა და სკოლის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენი ბავშვია სოფელში. სკოლებს ემსახურებათ მიკროავტობუსი – ბავშვები მიჰყავთ სკოლაში და სამ საათზე სახლში მოჰყავთ. როგორც მშობლებმა აღნიშნეს, ასეთი გრაფიკი საშუალებას არ აძლევს ბავშვს დაესწრონ სკოლაში არსებულ სხვადსხვა წრეებს, მაგ. ცეკვა, მუსიკა და სხვა.

სასკოლო განათლების ხარისხი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს იმ ცოდნით, რომელიც აუცილებელია ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისთვის – ეს პრობლემა არამარტო ქედისთვის, არამედ ზოგადად ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი (განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2011)

კვლევის მონაწილეთა უმრავლეობა უარყოფითად მიიჩნევს იმას, რომ ქედაში არ არის პროფესიული სასწავლებელი. ამის გამო ქედის ახალგაზრდებს სახელობო და პროფესიული განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ. კვლევის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ქედაში არსებული პროფესიული სასწავლებელი მოემსახურებოდა როგორც ადგილობრივებს, ისე შუახევისა და ხულოს ახალგაზრდებს და ზოგადად, ზრდასრულ მოსახლეობას. ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მოსახლეობის პროფესიულ კვალიფიკაციას და გაზრდიდა მათი ადგილზე დასაქმების შესაძლებლობას. მაგალითად, როგორც ერთ–ერთმა კვლევის მონაწილემ აღნიშნა, ერთ–ერთი ბიზნესმენი დაინტერესებული იყო, რომ ქედაში გაეხსნა სამკერვალო, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ვერ ნახა 400 შესაბამისი კვალიფიკაციის პირი.

ქედაში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობს დემოკრატიის ინსტიტუტი – არსებობს ინგლისური ენის, კულინარიისა და პროფესიული დახელოვნების კურსები; ამაში ჩართულია გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაცია, რომელსაც ყოველწლიურად გრანტი აქვს გამოყოფილი. დემოკრატიის ინსტიტუტის ბაზაზე ასევე მუშაობს სპეციალური კურსები აბიტურიენტებისთვის, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

3. ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები და მოწყვლადი ჯგუფები

ახალგაზრდებს არ სურთ სოფელში გაჩერება და უპირატესობას ქალაქს ანიჭებენ – ეს რეალობა მარტო ქედას არ ეხება, ის მთელი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. ამის მიზეზს კვლევის მონაწილეები უპირველეს ყოვლისა სოციო–ეკონომიკურ პირობებში ხედავენ. როგორც აღინიშნა, რაიონში არ არის პროფესიული სასწავლებელი; რთულია სტაბილური სამსახურის ნახვა. იმისთვის, რომ ახალაგზრდებმა ხელი მიჰყონ სოფლის მეურნეობას ან წამოიწყონ სამეწარმეო საქმიანობა, პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი ცოდნა – სამწუხაროდ, ქედის რაიონში შეუძლებელია პროფესიული განათლების მიღება ან გაღრმავება. საკუთარი მეურნეობის წამოსაწყებად, ცოტას თუ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ბათუმში ან თურქეთში სეზონური სამუშაოებით დაკავება არის ყველაზე გავრცელებული გზა, რომელსაც ქედელი ახალგაზრდები ირჩევენ.

ახალგაზრდების გულაცრუებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ საკმაოდ მდორედ მიდის ქედის კულტურული ცხოვრება. არ არის ადგილები, სადაც ახალგაზრდებს შეხვედრა და ერთად თავისუფალი დროის გატარება შეუძლიათ, „ჩაკლულია კლუბების ცხოვრება“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი). მეტ ყურადღებას საჭიროებს ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება – კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ სოფლებში უნდა არსებობდეს სპორტული ბაზები, რადგან ყველა ვერ ახერხებს დაბაში სპორტზე სიარულს. ასევე, რაიონში მეტად უნდა ტარდებოდეს მასიური ღონისძიებები, კონცერტები, ფესტივალები, რომელიც გაამხიარულებს და სიცოცხლეს შემატებს ქედის ცხოვრებას. კვლევის მონაწილეთა აზრით, მსგავსი ღონისძიებები ადგილობრივი მთავრობის განსახორციელებელია.

ქედის ცხოვრებაში ქალები აქტიურად მონაწილეობენ. მიუხედავად იმისა, რომ ქედა ტრადიციებს ინარჩუნებს, ქალების როლი მხოლოდ სტეროტიული პერსპექტივიდან არ განიხილება – *„უკაცრავად და „შედი ქალო კუხნაში" ჩვენს რეგიონში, ეს ნამდვილად არაა. მე*

პირადად ვარ სრულიად თავისუფალი, მერე რა რომ ქალი ვარ? არაფერში არ ვარ შეზღუდული, მთავარია ჩემი სურვილი იყოს, რაც მინდა საზოგადოებაში გავაკეთებ იმას" (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი). ქალები აქტიურად არიან ჩართული საოჯახო სასტუმროების განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში. *„რა თქმა უნდა ბევრია დამოკიდებული ოჯახზე, როგორ ზრდიან გოგოებს, თუმცა ქალის აქტიურობაზე ბევრია დამოკიდებული" (ინტერვიუს მონაწილე ქალი).* თუმცა, დასაქმების თვალსაზრისით გენდერული სტერეოტიპული განაწილება შენარჩუნებულია – მაგალითად საკრებულოს დეპატუტთა შორის მხოლოდ ერთი ქალია; ასევე, გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობზე ძირითადად მამაკაცები მუშაობენ; ქალები ძირითად მუშაობენ საგანმანათლებო სისტემაში – ამავე დროს, სკოლის დირექტორების დიდი ნაწილი ქალია. ქედაში გვხვდება გენდერული სტერეოტიპებიც, რომელიც ზოგადად ქვეყნისთვის მეტნაკლებად არის დამახასიათებელი – *„მე მაგალითად ჩემს მაგალითს გეტყვით, რომ საზოგადოების დამოკიდებულებას აქვს ძაან დიდი მნიშვნელობა. მე ვარ ქმარს განაშორები სამ წელზე მეტია, მაგრამ ძალიან გამიჭირდა, რომ ადაპტაცია გავიარო საზოგადოებაში, რომ მიმიღონ ისეთი როგორიც ვარ, ჩვეულებრივი. მაქვს ორი უმაღლესი, განათლება, მაგრამ ეგ არ არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც საზოგადოების დამოკიდებულებისგან 6 თვე ვერ გამოვედი, იმიტომ, რომ ხალხი რას იტყვის. ქალის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არის პრობლემა, ანუ როგორ აღვიქვამთ. ანუ თუ განათლება არ აქვს ქალს ადვილია მისი გათხოვება, ანუ არ სწავლობს უნდა გათხოვდეს. თვითონ ქალი არ აქცევს ყურადღებას მის განათლებას, ანუ თუ ვერ ჩააბარა მეთორმეტე კლასის საატესტატო, იმით მთავრდება ყველაფერი, ან პირველ ცდაზე თუ ვერ ჩააბარა ეროვნული გამოცდები და სტუდენტი ვერ გახდა, იმით დამთავრდა ყველაფერი" (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი).* კვლევის მონაწილეები გენდერულ სტერეოტიპებს ძირითადად ცნობიერებისა და განათლების დონეს უკავშირებენ და თვლიან, რომ ამ მიმართულებით მნიშნელოვანი მუშაობა არის გასაწევი – *„ცნობიერების ამაღლება ყველაზე მთავარია. გეტყვით მაგალითს, მიწის გაფორმება უნდოდა ერთ ოჯახს, ხოდა ქმარი მუშაობდა სამარშრუტო ტაქსზე და არ ეცალა სულ. არადა ამ ქალს სჭირდებოდა, საოჯახო სასტუმრო უნდა გაეკეთებინა. ვეუბნებოდი გააფორმე მეთქი და მეუბნებოდა მე როგორ გავაფორმო, ქმარია იგიო. ქმარი რას გიშლის, რა შუაშია? ვინმე დაგსჯის? იმდენად დამოკიდებულია, რომ მამამთილი ცუდს იტყვის, დედამთილი ცუდს იტყვის, მეზობელი ცუდს იტყვის, რაში ხედავ პრობლემას რომ შენ წახვიდე არქივში, მოიტანო ცნობა და მე გაგიკეთო. ამაში ცუდს რას ხედავ? 100%–დან 90% ასე ფიქრობს. ეს ცნობიერების ძალიან*

დაბალი მაჩვენებელია (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი). გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, ქედაში მუშაობს როგორც ადგილობრივი მთავრობა, ისე არასამთავრობო სექტორი. საკრებულოში შექმნილია გენდერული საბჭო, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი. ქედის მერიაში ფუნქციონირებს ქალთა ოთახი. ქალთა ოთახის მუშაობას კვლევის მონაწილეები პოზიტიურად აფასებენ. ის განიხილება როგორც ადგილობრივი ქალების შეხვედრების, მათთვის საინტერესო თემებზე ინფორმაციის გაცვლისა და ახალი სოციალური კავშირების განვითარების ადგილი – *„ქალთა ოთახმა ბევრი ქალი გამაცნო რაიონში. მთელი ცხოვრება სადღაც ხელმძღვანელ პოსტებზე ვმუშაობდი, მაგრამ არავის არ ვიცნობდი. აქ ისეთი ქალები გავიცანი პირდაღებული დავრჩი. საქმეები წამოუწყიათ, მცენარეებს რგავენ, საოჯახო სასტუმროები გაუკეთებიათ, ჟოლოს ბაღი გაუშენებია ახალგაზრდა გოგოს (ინტერვიუს მონაწილე ქალი).* აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეები სახელმწიფო ფულადი სოციალური დახმარების უარყოფით გავლენას ქალთა აქტიურობაზეც ხედავენ: *„მე ვხედავ მაგალითად დედაჩემის სოფელში მეზობლები არიან, ახალგაზრდა ქალები არიან, არ ჰყავთ ძროხა. რატომ არ უნდა გყავდეს ძროხა, ან პირუტყვი ან ქათამი. იმიტომ რომ არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების რიგში, ურჩევნია ფული მთავრობამ გამზადებული მისცეს. გაზარმაცდა ხალხი (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი).*

კვლევის ხანდაზმულ მონაწილეებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი მზად არის კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს ქედის განვითარებაში. როგორც ფოკუსჯგუფმა, ისე ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართული ადგილობრივი მთავრობის მუშაობაში, თუმცა სურვილი დიდი აქვთ. დარწმუნებულნი არიან, რომ საკუთარი გამოცდილებით და ცოდნით სასიკეთო წვლილის შეტანა შეუძლიათ. ხანდაზმულები პოზიტიურად აფასებენ ხანდაზმულთა კლუბის მუშაობას, რომელიც დემოკრატიის ინსტიტუტის ბაზაზე ფუქნციონირებს და მასპინძლობს მათ ყოველკვირეულ შეხვედრებს. ამ შეკრებებზე მათ შეხვედრისა და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა აქვთ, რაც აქტიურობის შენარჩუნებაში ეხმარებათ.

ქედაში არიან მარტოხელა ხანდაზმულები, თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, მათი რაოდენობა ბევრი არ არის. როგორც აღინიშნა, ქედაში ჯერ კიდევ არის ის ტრადიციები და ჩვევები, რომლის თანახმად მარტოხელა მოხუცებზე სოფელი მზრუნველობას გამოხატავს – *„ჩვენთან არ არიან მშიერი მოხუცები“ (ფოკუსჯგუფის*

მონაწილე კაცი). მარტოხელა ხანდზმულებისთვის ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შინ მოვლის პროგრამა.

ქედაში ცხოვრება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მოსახლეობის ამ ჯგუფთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი ძირითადად სოციალურად იზოლირებულად ცხოვრებენ. ინფრასტრუქტურა ხელმიუწვდომელია გადაადგილებისა და მხედველობის პრობლემების მქონე პირებისთვის. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ქედაში მოქმედებს ინკლუზიური განათლება, თუმცა ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც შშმ ბავშვები არ დადიან სკოლაში. აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლიდან ფუნქციონირებს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით შშმ პირთა საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებად თითოეულ თემში გაიმართა შეხვედრები; თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, შშმ პირთა უფლებების დაცვას მაინც ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტებში.

ქედის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმანია. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რელიგური განსხვავება არავითარ გავლენას არ ახდენს ურთიერთობებზე და თითქმის გამორიცხულია ამ ნიადაგზე უთანხმოებები და კონფლიქტები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ოჯახის წევრები არიან როგორც მუსლიმანები, ისე მართლმადიდებელი ქრსიტიანები. ასეთ ოჯახში იცავენ ორივე რელიგიის წესებს. აღინიშნა, რომ ახალგაზრდები ძირითადად ქრსიტიანებად ინათლებიან – *„ჩვენ სადაც ვცხოვრობთ იმ დონეზე სითბოა, რომ მაგი არ გვაწუხებს. მე მუსულმანი ვარ და ახლა იმის დრო არ მაქვს, რომ მოდაზე მოვინათლო. მე ველარც ვმარხულობ, ჯანმრთელობა როცა არ მიწყობს ხელს. ჩემი ხელით რაც შემიძლია, იმ მადლს ვაკეთებ. შვილები ყველანი ქრისტიანები არიან. მე ხელი არ შემიშლია. ჩემი თაობის ყველა მუსულმანია, მაგრამ ბავშვები გაქრისტიანდნენ და ჩვენ ძირით ქრისტიანობიდან მოვდივართ. ეს ურთიერთობაში ხელს არ გვიშლის. კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცეო. საერთოდ არაა არავინ, რომ კონფლიქტი გვქონდეს. მასეთი რამეები არ არის ჩვენთან“ (ინტერიუს რესპონდენტი ქალი). „არავინ არავის არაფერს არ უშლის. მე მყავს პაციენტები ზოგი არის მუსულმანი, ზოგი არის ქრისტიანი. ერთ ოჯახში. რძალი და შვილი ქრისტიანია, დედამთილ–მამამთილი მუსულმანი. რძალი ამბობა, რომ ვემსახურები ორივე რელიგიას, იმიტომ რომ ოჯახში მყავს ასე. ვერ ვხედავ მე ,რაიმე ჩხუბი იყოს და რაიმეს მომსწრე ვიყო (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).*

III. რაიონის ინფრასტრუქტურული საჭიროებები

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქედაში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად. განხორციელებული პროექტების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა; გაუმჯობესდა გზების საფარი, გაყვანილია ახალი ასფალტირებული გზები – *„გასულ წელში, მაგალითად მერისში ასფალტირება მოხდა სამ კილომეტრიანი გზის“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე მამაკაცი).* ამასთანავე აღინიშნა, რომ ამჟამად მდინარიდან ხრეშის მოსაპოვებლად მიმდინარე სამუშაოების გამო, დაზიანებულია გზის ნაწილი, რაც სავარაუდოდ ურყოფითად აისახება მოახლოებულ ტურისტულ სეზონზე: *„გზა გვაქვს, მადლიერი ვართ ამის. დაბალი სახის მანქანებითაც მოდიან, გზას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ ძალიან ცუდი გზებია, ეგ თუ არ შერემონტდა ტურისტი კიდევ შეჩერდება. შეაკეთებენ ალბათ მაისის თვეში“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).* უამინდობის დროს ქუჩები იწმინდება, რომ ტრასპორტმა შეუფერხელად იაროს; თუმცა, როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ არიან ოჯახები, რომლებსაც უამინდობის დროს უჭირთ სახლიდან გადაადგილება – ცუდ ამინდში მშობლებს უჭირთ ბავშვების საბავშვო ბაღში მიყვანა ისეთ ადგილებში, სადაც ბაღები სახლებიდან მოშორებულია. მიუხედავად იმისა, რომ ტრასნპორტის მუშაობას კვლევის მონაწილეები ზოგადად დადებითად აფასებდნენ, ბავშვების საბავშვო ბაღებში ტრასნპორტირების შემთხვევაში, ეს მაინც პრობლემურია.

ქედაში ინტერნეტი მოსახლეობას ძირითადად ტელეფონის საშუალებით აქვს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ინტერნეტის საშუალებით საინტერესო ინფორმაციის მოძიება შეიძლება სოფლის მეურნეობის შესახებ; შესაბამისად, როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, ინტერნეტის უფრო ფართოდ გავრცელება ხელს შეწყობს მოსახლეობაში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გავრცელებას. რაც შეეხება კომუნიკაციას მობილური ტელეფონით, ის თითქმის შეუზღუდავად არის გავრცელებული.

როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, ადგილობრივმა მთავრობამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია წყლის სისტემის გასაუმჯობესებლად. როგორც აღინიშნა, წყალი თითქმის ყველგან არის მიყვანილი და ოჯახებში შეყვანა უკვე მოქალაქეების ვალდებულებაა – *„დანდალოს თემს 1 700 000 ლარი წყლის სისტემაში ჩაუდეს და წყალი მოუყვანეს ისეთი, რომ შიდა ქსელებია გასანაწილებელი, ყველას ისე უნდა მზამზარეული“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე კაცი).* თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა როგორც სარწყავი, ისე

სასმელი წყლის უქონლობას ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი განიცდის: *„წყლის ამბავი პრობლემაა. ეზოში წყარო მოდის, მაგრამ ზაფხულში შრება. კილომეტრიდან მაქვს ჩამოყვანილი და იმას ვხმარობთ. სარწყავი კიდე ღელეა და იქიდან მყავს ამოყვანილი“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი); „წყლის პრობლემა ძალიან დიდი გვაქვს. არჩევნებამდე ყველა გვპირდება, არჩევნების მერ დუმს (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი).* კვლევის მონაწილეთა აზრით, გარკვეულწილად პრობლემურია ადგილობრივ წყაროებში მომდინარე წყლის ხარისხი, რადგან ლაბორატორიული გამოკვლევა ხშირად მათში სხვადასხვა არასასურველი ბაქტერიებისა და ჩხირების არსებობას ადასტურებს, ეს კი ჯანმრთელობისთვის საშიშია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის. თემის ზოგიერთ სოფელში არ არის წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა; ამასთან, წყაროებიდან მიღებული წყალი, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა, ბინძურდება და ეს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აჭარაში და მათ შორის ქედაში ტურიზმის განვითარებისთვის. ამის კარგი მაგალითია მახუნცეთის ინფრასტრუქტურის განვითარება. ხდება ძველი ისტორიული ხიდების კეთილმოწყობა, ძველი ციხეების შეკეთება. *„ხიხანის ციხეზე 2006 წელში ჯიპებით ავედით, ეხლა ბატონო ხიხანის ციხეზე მისასვლელი გზა არის. გომის მთაზე მაგალითად ელექტროგანათების სისტემა წავიდა უკვე, წელს უკვე ელექტროგანათება ჩაირთვება. გოდერძის კურორტმა ძალიან ხელი შეუწყო, გომარდულის კურორტმა ძლიან ხელი შეუწყო. ეს რა არის? არაა ხელშეწყობა?“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).*

ქედაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტი. ხდება ტურისტული მარშრუტების მარკირება, გზების მონიშვნა, დაფების დამაგრება, ბუკლეტების დაბეჭდვა. მუნიციპალიტეტის დონეზე მუშაობენ ტურისტული საინფორმაციო ბიუროები. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტი თანამშრომლობს ქედის მუნიციპალიტეტთან: *„გზა და წყალი ყველგან არის სადაც ტურისტი მიდის და ჩვენ (აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტი) როცა რეკომენდაციებს ვაგზავნით, ყველა მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს და გზები მიდის“ (ინტერვიუს რესპონდენტი ქალი).* თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ზოგჯერ ინფრასტრუქტურული პროექტები არ ითვალისწინებს ტურიზმის თავისებურებებს – ამას ადასტურებს ზემოთ განხილული მაგალითი საპიკნიკე

ადგილების ბეტონით გაკეთებასთან დაკავშირებით; ბეტონის გამოყენებამ ეს ადგილი ტურისტებისთვის არამიმზიდველი გახადა. ასევე აღინიშნა, რომ ქედაში ჯერ კიდევ მრავლადაა ადგილები, მდინარის პირი, ჩანჩქერები და სხვა, რომელთა შესაბამისად მოწყობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ტურიზმის განვითარებაში.

IV. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული განვითარების ხარისხი

1. მოსახლეობის ინფორმირებულობა რაიონული და მუნიციპალური მთავრობების მუშაობის შესახებ

კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ინფორმირებულია ადგილობრივი მთავრობის მუშაობის შესხებ – იციან რა ღონისძიებებია დაგეგმილი, როდის იმართება საკრებულოს სხდომები. კვლევის მონაწილეები ინფორმაციის მიღების სხვადასხვა გზას ასახელებენ – ნაწილი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მოსდით ტელეფონზე, ნაწილი აღნიშნავს, რომ სიახლეებს მერის წარმომადგენლებისგან იგებენ. ზოგი კი სიახლეების გასაგებად სოციალურ ქსელსა და ადგილობრივი მთავრობის ვებ–გვერდს იყენებს, რომელიც რეგულარად ახლდება: *„დღევანდელი ტექნოლოგიები თითქმის ყველამ ვიცით. ქედის მერიაში რამე ახალი პროექტი თუ გაჩნდა, მეორე დღესვე ფეისბუქზე დევს. ყველა სოფელს თავისი გამგებლები ყავთ და შეაქვთ ინფორმაცია. ვინც დაინტერესებულია და ცხოვრებაში ერკვევა, ის კიდეც კითხულობს“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე კაცი).* ასევე, თითოეულ თემში მუშაობს თემის რწმუნებული, რომელიც სამუშაო საათებში იმყოფება სამუშაო ადგილას – მოსახლეობის ინფორმირება და მათ კითხვებზე პასუხების გაცემა მის ერთ–ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენს.

სოფლებში მერის წარმომადგენლები ზრუნავენ მოსახლეობის ინფორმირებულობაზე არა მარტო ადგილობრივი მთავრობის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების შესახებ, არამედ ხელს უწყობენ რაიონული და ცენტრალური მთავრობების პროგრამების პოპულარიზაციას. კვლევის მონაწილე მერის ერთ–ერთი წარმომადგენლის ინფორმაციით, ადგილობრივი თუ რაიონული პროგრამების შესახებ მერის წარმომადგენლები სოფლის მოსახლეობაში არიგებენ ლიფლეტებს, ორგანიზებას უკეთებენ რაიონული თუ ადგილობრივი მთავრობის შესაბამისი პირების შეხვედრას სოფლის

მოსახლეობასთან და სხვა; თუმცა, როგორც აღინიშნა, სოფლის მოსახლეობის დაინტერესება საკმაოდ რთულია: *„მაგალითად სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს პროგრამა, გავდივართ ჩვენ, ჯერ გვაფრთხილებენ, რომ თვითონ მათ გააკეთონ პრეზენტაცია. იმიტომ რომ მე ხომ დეტალურად არ ვიცი რამდენ ნერგს მოიტანენ თუ რას მოიტანენ, მათ უნდა მითხრან ხო? ჩვენ გავალთ მოსახლეობას გავაფრთხილებთ რომ სამ საათზე არის კრება და უნდა მოხვიდეთ. თუ დაინტერესდებიან მოვლენ, ცნობას მივცემთ და დანარჩენი ვისაც აინტერესებს გააკეთებს. ჯანდაცვაზე ბევრჯერ იყო, ამოვიდნენ ბევრჯერ ადგილზე ჩაატარეს გამოკვლევები“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე).*

როგორც აღინიშნა, ხშირად მოსახლეობა ნაკლებ ინტერესს იჩენს ზემოთ აღწერილი ღონისძიებების მიმართ – არ ესწრებიან შეხვედრებს. ამის მიზეზად ძირითადად ინდიფერენტულობა და ზოგადად ნაკლები ინტერესი დასახელდა – *„რატომ არ მიდის? თუ ახლა მოვიდა სოფლის რწმუნებული და თემის რწმუნებული და შენ თუ არ გაინტერესებს ის ახლა ძალით ხომ არ წაგიყვანს.... დილის ცხრის ნახევრიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე თემის რწმუნებულია და შენ თუ რამე ინფორმაცია გაინტერესებს არის იქ ადამიანი მიხვალ და სრულ ინფორმაციას მიიღებ და ის ახლა ოჯახში ვერ მოვა“ (ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალი).*

ნაკლებად გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგეს საკრებულოს სხდომებზე მოსახლეობის დასწრება. საკრებულოს სხდომებისა და საბჭოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და თემის აქტივისტები. კვლევის ხანდაზმულმა მონაწილეებმა სურვილი და მზადყოფნა გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს სხდომებში - როგორც მათ აღნიშნეს, არასოდეს მიუღიათ ინფორმაცია სხდომების ჩატარების განრიგის შესახებ.

2. მოსახლეობის ინფორმირებულობა რაიონში მოქმედი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისა და შესახებ

კვლევის მონაწილეები კარგად არიან ინფორმირებულნი დემოკრატიის ინსტიტუტისა და CENN მუშაობის შესახებ; ასევე, ინფორმაცია აქვთ რაიონში მოქმედი საინიციატივო ჯგუფების „ამაგების“ და „LAG-ის“ შესახებ.

კველვის მონაწილეები არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ *„არასამთავრობოს, ზოგადად, ძალიან დიდი როლი აქვს, იმიტომ, რომ ეს ხალხი*

გამოაფხიზლა მარტივად რომ ვთქვათ. რაც ეს პროექტები შემოვიდა და რაც ეს ორგანიზაცია ამუშავდა და ამოიქოქა, უამრავ ხალხს ვხედავთ ახლა აქ. თუნდაც ავიღოთ, სამასზე მეტი ადამიანი, როდესაც გაწევრიანებულია რაღაცის მოლოდინში, ესეიგი გამოფხიზლებულია, ესე იგი ცდილობს, რომ რაღაცა გააკეთოს“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი). კვლევის მონაწილეები პოზიტიურად აფასებენ იმ წრეებსა და კლუბებს, რომლებიც დემოკრატიის ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს.

როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, ქედაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობის გაზრდის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით გამოყოფობენ ე.წ. „პეტიციების პროექტს“, რომელიც დემოკრატიის ინტსტიტუტის განხორციელებულია – *„პეტიცია ცნობიერების ამაღლებასაც გულისხმობს, ამიტომ ჩვენ სხვადასხვა ადამიანი ავიყვანეთ ადმინისტრაციული ერთეულებიდან და ჩავრთეთ, რომ ესწავლათ რა არის პეტიცია და რაში გამოადგებოდათ ზოგადად ცხოვრებაში. ძალიან აქტიურად ჩაერთო ხალხი და წარმატებასაც მივაღწიეთ, იმიტომ, რომ გარკვეული პროექტები, რომლებიც მათ მოითხოვეს საკრებულომ სცნო და გააკეთა სხვადასხვა აქტივობები: ბაღების კეთილმოწყობა, მშენებლობა, დამისამართებები და ა.შ.“ (ინტერვიუს რესპონდენტი კაცი).*

კვლევის მონაწილეები CENN–ის მუშაობას ძირითად უკავშირებენ LAG-ის ჩამოყალიბებას და დაგეგმილ საგრანტო პროგრამას, რომელიც ქედის მოსახლეობისა და ზოგადად, რაიონის გაძლიერებისკენ არის მიმართული. კვლევის მონაწილეები დიდ იმედს ამყარებენ LAG-ის მუშაობაზე. თვლიან, რომ CENN–ს პროექტის ფარგლებში საკმარისი რესურსი აქვს, რომ ამ ჯგუფმა ინსტიტუციურად გაძლიერება და დამოუკიდებლად ფუნქციონირება შესძლოს. როგორც LAG-ის სამეთვალყურეო საბჭო, ისე რიგითი წევრები თვლიან, რომ მიმდინარე პროექტი, რომელსაც CENN–ი ახორციელებს (რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა LAG-ი) ქედისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება.

კვლევის მონაწილეები პოზიტიურად აფასებენ „ამაგების“ მუშაობას – აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებებს, რომლებიც 2017 წელს შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. „ამაგები“ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა და მიმართულია სოფლის გაძლიერებისკენ. სულ აჭარაში 45 „ამაგია“. ქედის მუნიციპალიტეტში – 6. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს „ამაგებმა“ აქტიურად დაიწყეს მუშაობა, თუმცა შემდეგ მათი მუშაობა თანდათან შესუსტდა. თავდაპირველად „ამაგებში“ 702 წევრი იყო გაერთიანებული;

თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, მათი რაოდენობა თანდათან იკლებს. მოსახლეობის ინტერესის კლებას კვლევის მონაწილეები ხსნიან იმით, რომ „ამაგების“ მუშაობა არ იყო თანმიმდევრული – ამ მიმართულებით პასუხისმგებლობას ძირითადად სოფლის მეურნეობის სამინისტროს აკისრებენ. „ამაგების“ დაარსებიდან დღემდე ვერ მოხერხდა ამ ჯგუფის იურიდიულ პირად დარეგისტრირება. როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, ნაკლები ძალისხმევა იყო გაწეული „ამაგების“ ინსტიტუციური გაძლიერებისთვის; ამის გაკეთება კი მატერიალური რესურსების გარეშე შეუძლებელია – მიაჩნიათ „ამაგის“ წევრებს. სწორედ ამაში ხედავენ გასხვავებას „ამაგებსა“ და LAG-ს შორის. CENN–ი LAG-ს ინსტიტუციური გაძლიერების შესაძლებლობას იძლევა – LAG-ი დარეგისტრირებულია იურიდიულ პირად, LAG-ის წევრებისთვის ტარდება სხვადასხვა ტრენინგები რაც მათ შემდგომში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის საჭირო უნარების განვითერებაში ეხმარება; იგეგმება საგრანტო კონკურსი. აქედან გამომდინარე, კველვის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ LAG-ი როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი წარმატებით შეძლებს მუშაობას რაიონის საკეთილდღეოდ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობასთან. ადგილობრივი მთავრობასთან შექმნილია გენდერული საბჭო, რომლიც მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუსში არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების თემატიკა. ადგილობრივ მთავრობაში არ არის შექმენილი შშმ საკითხებზე მომუშავე საბჭო.

V. ძირითადი დასკვნები

ქედა აჭარის ისტორიული მხარეა, რომელიც ყოველთვის საინტერესო იყო მნახველებისთვის - განსაკუთრებული ლანდშაფტის, ბუნებისა და ისტორიული ადგილების გამო, ის საინტერესოა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის. ქედაში ოდითგანვე მისდევნენ სოფლის მეურნეობას - არსებობს განაკუთრებული კულტურები, რომელთა მოშენება ძირითადად აქ ხდება.

ქედის განვითარება ძირითადად ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას უკავშირდება. ორივე მიმართულებით ქედის მუნიციპალიტეტს ძლიერი პოტენციალი აქვს. უნიკალური ვაზის ჯიშების (ჩხავერი, ცოლიკაური) მოშენება ქედის მუნიციპალიტეტს მაღალხარისხიანი უნიკალური ღვინის წარმოების შესაძლებლობას აძლევს, რაც პოზიტიურად აისახება

ადგილობრივი მოსახლობის კეთილდღეობის ზრდაზე; ასევე, დადებით გავლენას ახდენს ქედაში ღვინის ტურიზმის განვითარებაზე. დღესდღეობით აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელშეწყობით ქედაში ტურისტებისთვის ღვინის ტურიზმის მარშრუტებია მარკირებული. თუმცა, ასევე იგეგმება ფოლკლორული და სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტებზე მუშაობა.

აჭარაში ტურზმის განვითარებას, აჭარის კურორტებისა და ტურიზმის განვითარების სააგენტო ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის მიხედით გეგმავს. ქედაში ტურისტული მიმართულებების განვითარება სწორედ ამ დოკუმენტის შესაბამისად წარიმართება. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია რაიონული და ადგილობრივი მთავრობების თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფორმირებულობის ამაღლება მოსახლეობაში. ასევე, ადგილორივი მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების გაძლიერება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქედაში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა რაიონული და ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერით. შეკეთდა არსებული გზის საფარი და დაიგო ახალი გზები, გაუმჯობესდა სარწყავი და სასმელი წყლის სისტემა. თუმცა, კვლავ რჩება ადგილები, სადაც როგორც გზის, ისე წყლის დაბალი ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

სიღარიბე და უმუშევრობა ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითად სოციალურ პრობლემას წარმოადგენს - ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების მსგავსად. ადგილობრივი ოჯახების სოციო-ეკონომიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანად განაპირობებს ის, რომ ქედაში არ არის საკმარისი რაოდენობის სტაბილური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი. ამის გამო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სეზონური სამუშაოსთვის ქედიდან მიდის - ძირითადად ბათუმსა და თურქეთში. ადგილობრივი ოჯახების დიდი ნაწილი იღებს სახელმწიფო ფულად სოციალურ დახმარებას. სახლმწიფო სოციალური დახმარებისადმი მოსახლეობას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს - ბევრს მიაჩნია, რომ სახელმწიფო დახმარება არასწორად გაიცემა და ხშირად ადამიანებს პასიურობისა და გაზარმაცებისკენ უბიძგებს.

მიუხედვად იმისა, რომ ქედაში სოფლის მეურნეობა ისტორიულადაა განვითარებული, ის შემოსავლის მნშვნელოვან წყაროს ბევრი ოჯახისთვის არ წარმოადგენს. ამის მიზეზად დასახელებულია: (1) ქედის რაიონისთვის დამახასიათებელი მცირემიწიანობა - ოჯახების უმრავლესობა არ ფლობს იმ მოცულობის მიწას, რომლის გამოყენება კომერციული მიზნით

არის შასაძლებელი; (2) კულტურების მოსაყვანად საჭირო ხარისხიანი შხამ-ქიმიკატებისადმი ხელმისაწვდომობა; (3) მოყვანილი პროდუქციის რეალიზება - მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით მათ, ვისაც არ ჰყავს კლიენტების საკუთარი ქსელი, უჭირს პროდუქციის რელიზება; (4) ადგილობრივი ღვინისა და წვენების საწარმოები მნიშვნელოვან დახმარებს ვერ უწევენ მოსახლეობას პროდუქციის რეალიზებაში; (5) მოსახლეობას მოჰყავს ისეთი კულტურები, რომელთა რეალიზება სასურველ ფასში რთულია, რადგან ადგილობრივი ბაზარი ამ პროდუქტით გაჯერებულია; (6) თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქცია ხელს უშლის მოსახლეობას ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებაში და (7) სახელმწიფო ფულადი სოციალური დახმარების მიღებასა და შენარჩუნების მიზნით, ოჯახები ხშირად უარს ამბობენ შინამეურნეობაზე.

მოსახლეობა პოზიტიურად აფასებს ფერმერებისა და მცირე მეწარმეების ხელშემწყობ ცენტრალური, რაიონული და ადგილობრივი მთავრობების მიერ განახორციელებულ პროექტებს. ქედაში არაერთი ოჯახია სახელწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ გამარჯვებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ საპროექტო განაცხადზე მუშაობისას, როგორც წესი, განმცხადებლები საჭიროებენ დახმარებასა და დამატებით კონსულტაციებს.

ქედის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია პირველადი სამედიცინო დახმარება, რომელსაც ისინი სოფლის ამბულატორიებში იღებენ. კარგად მუშაობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სამედიცინო პრობლემები უკავშირდება მედიკამენტების შეძენასა და ძვირადღირებულ სამედიცინო გამოკვლევებსა და მკურნალობას, რომელსაც საყოველთაო დაზღვევა არ ფარავს. ადგილობრივ და რაიონულ მთავრობებს ბიუჯეტში აქვთ სპეციალური სარეზერვო თანხები, რომელიც ხშირად მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად არის მიმართული. სოფლის ამბულატორიების გამართულ მუშაობას მხარს უჭერს ადგილობრივი მთავრობა (ფარავს დენის გადასახადს, უზრუნველყოფს შეშით, მანქანის საბურავებით და სხვა)

ქედაში დაწყებითი და საშუალო სკოლები ყველა ბავშვისთვის არის ხელმისაწვდომი. იქ, სადაც სკოლები დაშორებულია ბავშვების საცხოვრებელი ადგილიდან, ბავშვების ტარსპორტირებას ემსახურება სპეციალური მინიავტობუსი. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები ვერ ახერხებენ საშუალო სკოლაში სიარულს. თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები - არის შემთხვევები, როდესაც ბაღები ბავშვების საცხოვრებლიდან მნიშნელოვნად არის დაშორებული და ცუდ ამინდში, მშობლებს უჭირთ

ბავშვები ბაღში მიყვანა. ქედაში არ არის პროფესიული სასწავლებელი, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების პროფესიულ მომზადება-გადამაზადებაზე. პროფესიული სასწავლებელი, ქედაში არსებობის შემთხვევაში, მოემსახურებოდა არა მარტო ადგილობრივ, არამედ ხულოსა და შუახევის დაინტერესებულ პირებს.

მარტოხელა ხანდაზმულებისთვის ადგილობრივ მთავრობას აქვს შინ მოვლის პროგრამა. აქვე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ჩართულნი არიან ხანდაზმულები. თუმცა, ხანდაზმული მოსახლეობა შეიძლება უფრო აქტიურად იყოს ჩართული რაიონის ცხოვრებაში და უკეთ იყოს ინფორმირებული როგორც ადგილობრივი მთავრობის მუშაობის, ასევე რაიონში მიმდინარე აქტივობების შესახებ.

ქედაში მცხოვრები შშმ პირები ძირითადად სოციალურად იზოლირებულ ცხოვრებას ეწევიან. გადაადგილებისა და მხედველობის პრობლემების მქონე პირებისთვის არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტს არ წარმოადგენს შშმ პირთა უფლებების ადვოკატირება. ადგილობრივ მთავრობაში არ ფუქნციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების თემატიკაზე მომუშავე საბჭო.

რელიგიური განსხვავებულობა ქედაში არ წარმოადგენს მოსახლეობას შორის დაპირისპირებისა და კონფრონტაციის საფუძველს. ხშირად ოჯახებში არიან როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ისე მუსლიმანები. როგორც წესი, ოჯახები იცავენ ორივე საწრმუნოების წესებს.

ქალის როლი, ძირითადად, ნაკლებად განიხილება მხოლოდ სტერეოტიპული პერსპექტივიდან. ქალები აქტიურად არიან ჩართულნი სოფლის მეურნეობაში და მეწარმეობაში. თუმცა, რაიონში გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობზე ძირითადად კაცები მუშაობენ. საკრებულოში მხოლოდ ერთი ქალი დეპუტატია (სულ 24 დეპუტატია). ქალები ძირითადად მუშაობენ საგანმანათლებლო სისტემაში - სკოლის დირქტორების დიდ ნაწილს ქალები წარმოადგნენ. ადგილობრივ მთავრობაში ფუნქციონირებს ქალთა ოთახი, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

უკანსაკნელი წლების განამავლობაში რაიონული და ადგილობრივი მთავრობების მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ხელი შეუწყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას (გზები და წყლის სისტემა), ისე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქედაში

მნიშვნელოვანად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა. თუმცა, ქედაში ჯერ კიდევ არის ადგილები, რომელთა ადეკვატური ათვისება კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ტურისტების მოზიდვას.

ადგილობრივი მთავრობის მუშაობის შესახებ მოსახლეობა ძირითადად ინფორმირებულია თემში სპეციალური რწმუნებულების დახმარებით. ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოსახლეობას ეგზავნება მოკლე სატელეფონო ტექსტური შეტყობინების სახით, ინფორმაციის განთავსება ხდება ადგილობრივი მთავრობის ვებ–გვერდზე და ვრცელდება სოციალური ქსელით.

ქედაში მოსახლეობის ნაწილი ინფორმირებულია დემოკრატიის ინსტიტუტისა და CENN-ის მუშაობის შესახებ. ასევე იციან „ამაგების“ და LAG-ის მუშაობის შესახებ. „ამაგებთან“ შედარებით LAG-ის მუშაობა უფრო პერსპექტიულად მიაჩნიათ, რადგა თვლიან რომ LAG-ი უკვე არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი („ამაგისგან“ განსხვავებით) და მნიშვნელოვანი აქტივობები ხორციელდება მისი ორგანიზაციული განვითარებისთვს.

VI. ბიბლიოგრაფია

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ (2012). კვლევის ანგარიში - ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ & ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა (2012). ქედის მუნიციპალიტეტის მარკეტინგული გეგმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (2014). 2015-2018 წლების სტრატეგიული გეგმა. ბათუმი.

საქართველოს მთავრობა (2016). დადგენილება 631 - საქართველოს სოფლის განვითარების 2017- 2020 წლების სტრატეგიისა და საქართველოს სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2018), განკარგულება #12- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2018), განკარგულება #59 - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო (2018), განკარგულება # 60 - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ.

VII. დანართები

დანართი # 1. კვლევის მონაწილეთა სია

#	თემი	საქმიანობა	კვლევის ტიპი	კვლევაში მონაწილეობის თარიღი
1	დაბა ქედა	მეწარმე	ფოკუს ჯგუფი	20.02. 2018
2	დაბა ქედა	საქედის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ჯარო მოხელე	ფოკუს ჯგუფი	20.02. 2018
3	პირველი მაისის თემი. სოფ. აგარა	არასამთავრობო ორგანიზაცია	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
4	დაბა ქედა	მენეჯერი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
5	მრისის თემი სოფ. მერისი	პედაგოგი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
6	დაბა ქედა	სანკო სექტორი, მენეჯერი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
7	დაბა ქედა	პედაგოგი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
8	სხმორისის თემი სოფ.გეგელიძეები	აღმზრდელი ბაღში	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
9	დაბა ქედა სოფ.ქედა	აჭარის სოფლის მეურნეობის სამინიტრო	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
10	დაბა ქედა	პედაგოგი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
11	ზვარის თემი სოფ. ზვარე	ფინანსისტი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
12	მერისის თემი სოფ. მერისი	უმუშევარი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
13	დაბა ქედა სოფ. ზენდიდი	სოციალური მუშაკი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
14	დაბა ქედა	ორგანიზაციის დირექტორი	ფოკუსჯგუფი	20.02. 2018
15	დაბა ქედა	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
16	დაბა ქედა სოფ. ქედა	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
17	დაბა ქედა	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
18	დაბა ქედა სოფ. ზენდიდი	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018

19	დაბა ქედა	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
20	ზვარეს თემი სოფ.ზესოფელი	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
21	დაბა ქედა	პენსიონერი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
22	დანდალოს თემი სოფ. ბალაძეები	ქედის მერიის წარმომადგენლის თანაშემწე	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
23	დაბა ქედა სოფ. ძენწმანი	ქედის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
24	დაბა ქედა	ქედის მერიის კულტურის ცენტრის წარმომადგენელი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
25	მერისის თემი სოფ. ინაშარიძეები	საჯარო სკოლაში საქმის მწარმოებელი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
26	მერისის თემი სოფ.მერისი	პედაგოგი	ფოკუსჯგუფი	21.02. 2018
27	მახუნცეთის თემი სოფ. ბზუბზუ	ლაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
28	დაბა ქედა სოფ. გულები	მეწარმე–საკალმახე მეურნეობა, ლაგი წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
29	წონიარისის თემი სოფ. კანტაური.	ლაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
30	ზვარის თემი სოფ.ვაიო	ლაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
31	ზვარის თემი სოფ. ვაიო.	ღვინის მეწარმე , ლაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
32	ცხმორისის თემი სოფ. ახო	მეწარმე, ლაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
33	ცხმორისის თემი სოფ. გობრონეთი.	საოჯახო სასტუმროს მფლობელი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
34	პირველი მაისის თემი სოფ კოლოტაური	მუზეუმის დირექტორი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
35	დაბა ქედა სოფ. სოფ გულები.	ფერმერი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
36	ცხმორისის თემი სოფ. გეგელიძეები	საჯარო მოხელე	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
37	ზვარის თემი სოფ. ზვარე	ფერმერი	ფოკუსჯგუფი	22.02. 2018
38	ცხმორისის თემი სოფ. აბუქეთა	მეტყევე	ფოკუსჯგუფი	23.02. 2018

39	მერისის თემი სოფ. ნამონასტრევი	მეტყევე	ფოკუსჯგუფი	23.02. 2018
40	დანდალოს თემი სოფ. ხარაულა.	მეტყევე	ფოკუსჯგუფი	23.02. 2018
41	მახუნცეთის თემი სოფ. დოლოგანი	მეტყევე	ფოკუსჯგუფი	23.02. 2018
42	დაბა ქედა სოფ. ორცვა	ბაგა–ბაღის დირექტორის მოადგილე	ფოკუსჯგუფი	23.02. 2018
43	დაბა ქედა	მერის წარმომადგენელი ქედის დაბაში ადმინისტრაციულ ერთეულში	პირისპირ ინტერვიუ	23.02. 2018
44	ცხმორისის თემი სოფ. გეგელიძეები	ფერმერი	პირისპირ ინტერვიუ	23.02. 2018
45	ზვარის თემი სოფ. ზვარე	ოჯახის ექიმი	პირისპირ ინტერვიუ	23.02.2018
46	ქედის მუნიციპალიტეტი მერი	ქედის მერი	პირისპირ ინტერვიუ	22.02.2018
47	ზვარის თემი სოფ. ვაიო.	ფერმერი/მეწარმე	პირისპირ ინტერვიუ	21.04.2018
48	ოქტომბრის თემი სოფ. კუჭულა.	პენსიონერი	პირისპირ ინტერვიუ	21.04.2018
49	მერისის თემი სოფ. სილიბაური.	ფერმერი	პირისპირ ინტერვიუ	21.04.2018
50	მახუნცეთის თემი სოფ. ბაბუჩოღლები.	ფერმერი/მეწარმე	პირისპირ ინტერვიუ	21.04.2018
51	დაბა ქედა	უმუშევარი, შშმ პირი	პირისპირ ინტერვიუ	21.04.2018
52	ზვარის თემი სოფ.ზვარე	ფერმერი,	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018
53	ზვარის თემი სოფ. ზვარე	დემოკრატიის ინსტიტუტის წარმოამდგენელი	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018
54	დაბა ქედა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018
55	მერისის თემი სოფ. ინაშარიძეები	უმუშევარი	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018
56	მერისის თემი სოფ.მერისი	პენსიონერი, შშმ პირი	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018

57	მერისის თემი სოფ. გუნდაური	უმუშევარი, შშმ პირი	პირისპირ ინტერვიუ	22.04.2018
58	დაბა ქედა	დემოკრატიის ინსტრიტუტის წარმომადგენელი	პირისპირ ინტერვიუ	23.04.2018
59	დაბა ქედა	ლაგის / ამაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	23.04.2018
60	დაბა ქედა სოფ. ქედა	ამაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	23.04.2018
61	დაბა ქედა	პედაგოგი/ამაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	23.04.2018
62	ზვარის თემი სოფ. კვაშტა	ამაგის წევრი	ფოკუსჯგუფი	23.04.2018
63	ბათუმი	აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ინტერვიუ	24.04.2018
64	ბათუმი	ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს დირექტორი	ინტერვიუ	24.04.2018

დანართი # 2 სიღრმისეული ინტერვიუს & ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო კითხვები

1. **მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა**

1. როგორ შეაფასებდით თქვენს რაიონში, სოფელში ცხოვრებას?

2. როგორ შეაფასებდით თქვენი სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას:
   ა) ყველაზე მეტად საზოგადოების რომელი ჯგუფი განიცდის მატერიალურ სიდუხჭირეს და რატომ?
   ბ) ძირითად, რას ეყრდნობა ოჯახების შემოსავალი (მიწის დამუშავება, ვაჭრობა..)?
   გ) რას საქმიანობს საზოგადოების ეკონომიკურად აქტიური ნაწილი (ქალებზე, უმცირესობებზე ჩაკითხვა), სოფლის მეურნეობას რამდენად ეწევიან? რამდენად მომგებიანია სოფლის მეურნეობით დაკავება? ძირითადად, რომელი დარგებია განვითარებული?
   დ) თქვენი აზრით, რა გააუმჯობესებდა თქვენი ოჯახების მატერიალურ კეთილდღეობას?
   ე) რომელი დარგის განვითარება დაეხმარება სოფელს /რაიონს განვითარებაში? რა აზრის ხართ სოფლის ტურიზმის განვითარებაზე?

3. ძირითადად, თქვენი აზრით, რა სახის ხარჯებზე ჰყოფნით შემოსავალი ოჯახებს? ოჯახების უმრავლესობისთვის რა წარმოადგენს ძირითად ხარჯებს და რისი დაფარვა შეუძლიათ არსებული შემოსავლებით?

4. რამდენად ინფორმირებული ხართ არსებული სახელმწიფო სოციალური პროგრამების შესახებ:
   ა) რომელი პროგრამების შესახებ გსმენიათ? საიდან გაქვთ ინფორმაცია? თქვენ ან თქვენს ახლობელს თუ მიუმართავს? რა გამოცდილება არსებობს?
   ბ) თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტური სოციალური პროგრამა, რომელიც თქვენი რაიონის მოსახლეობისთვის არის ხელმისაწვდომი? რატომ თვლით ასე?
   გ) თქვენი აზრით, რა სახის დახმარება იქნებოდა ყველაზე ეფექტური თქვენი სოფლის /რაიონის მოსახლეობისთვის?

5. როგორ შეაფასებდით სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას თქვენი სოფლის/რაიონის მოსახლეობისთვის?
   ა) ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა – სიახლოვე, საჭირო მომსახურების არსებობა...
   ბ) მომსახურების ხარისხი ...
   დ) ფინანსური ხელმისაწვდომობა – სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები
   ე) თქვენი აზრით ძირითადად, რა სამედიცნო საჭიროებებით მიმართავენ ადგილობრივ ჯანდაცვის დაწესებულებებს? ვინ მიმართავს უფრო ხშირად და ნაკლებად, რატომ ? (პენსიონრები, ქალები, მამაკაცები...)

6. როგორ შეაფასებდით განათლების ხელმისაწვდომობას თქვენი სოფლის/რაიონის მოსახლეობისთვის?
   ა) ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა –საბავშვო ბაღებისა და სკოლების ახლო მდებარეობა?
   ბ) პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, სატრენინგო ცენტრები ზრდასრულებისთვის?
7. ა) თქვენი აზრით, ვინ განიხილება თქვენს სოფელში/რაიონში როგორც უმცირესობათა ჯგუფი – რატომ? თქვენი აზრით, რამდენად დაცულია ამ ადამიანების უფლებები – რამდენად თანაბრად მონაწილეობენ სოფლის/რაიონის ცხოვრებაში? რამდენად მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა არსებული მომსახურება?
   ბ) რას იტყოდით სოფლის/რაიონის ცხოვრებაში ქალების ჩართულობაზე? თქვენი აზრით, რომელ სფეროებში არ მიესალმებიან ქალების მონაწილეობას? რამდენად მისაღებია ესთავად ქალებისთვის?
   გ) რს იტყოდით სოფლის ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობაზე? სად ვლინდება ყველაზე მეტად მათი აქტიურობა, ჩართულობა?

2. მოსახლეობის ინფრასტრუქტურული საჭიროებები

2.1. თქვენი აზრით, რა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემები ახდენს ყველაზე მეტად გავლენას სოფლის/რაიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე – გზების მდგომარეობა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, სტრატეგიული დანიშნებულების ობიქტებთან (სამედიცინო დაწესებულება, სკოლა, მაღაზია...)?

2.2. რამდენად მოგვარებადია ეს პრობლემები?

3. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული განვითარების ხარისხი

3.1 თქვენი აზრით, რამდენად ინფორმირებულია სოფლის/რაიონის მოსახლეობა თვითმმართველობის მუშაობის შესახებ?
   ა) პირადად, თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა – რა ფორმით? გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
   ბ) ძირითადად, ვინ არის ჩართული? რომელი ჯგუფები? ქალები, ახალგაზრდები, თუ არიან ჩართულნი – თავად გამოხატავენ სურვილს?
   გ) გიახსენეთ, სოფლისთვის/რაიონისთვის რომელიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – როგორ იყო მიღებული? ვინ იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში? როგორ იყო გათვალისწინებული მოსახლეობის მოსაზრებები? ყველა ჯგუფის?
   დ) როგორ ხდება საკრებულოში, გამგეობაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დაკავება? რა ფაქტორები არსი წამყვანი: განათლება, გამოცდილება, სქესი, ეროვნება, რელიგია, პროტექცია... ?

3.2 რამდენად ინფორმირებული ხართ თქვენს რაიონში მოქმედი ბიზნეს ორგანიზაციების შესახებ?
   ა) ძირითადად, რა სახის ადგილობრივი ბიზნესი მოქმედებს ?

ბ) თქვენი აზრით, რამდენად მარტივია თქვენს რაიონში ბიზნესის დაწყება? რა ფაქტორებს უკავშირდება? ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

3.3 რამდენად ინფორმირებული ხართ რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ?

ა) რომელ სფეროში უფრო მეტად აქტიურობენ? რამდენად ახდენენ გავლენას რაიონის ცხოვრებაზე – ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე და მოსახლეობის დამოკიდებულებებზე?

ბ) როგორ აფასებთ მათ საქმიანობას? ხომ არ გახსენდებათ კონკრეტული მაგალითები?

3.4 რამდენად ინფორმირებული ხართ მოქმედი სათემო ორგანიზაციების შესახებ?

ა) რა მიზნით ფუძნდება, ვინ არიან ინიციატორები, ვინ არიან ჩართულები და სხვა?

ბ) რამდენად ახდენს გავლენას სათემო ორგანიზაციები სახელისუფლებო გადაწყვეტილებებზე, მოსახლეობის განწყობებსა და დამოკიდებულებებზე, ძირითადად რომელ სფეროში მოქმედებენ?

გ) რამდენად დადებითად აფასებთ მათ საქმიანობას?

დ) ხომ არ გახსენდებათ თემის მობილიზაციის კონკრეტული მაგალითები?

დანართი # 3 ინფორმირებული თანხმობის ფორმა სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებისთვის

ინფორმირებული თანხმობის ფორმა სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტებისთვის

ინფორმირებული თანხმობის ფორმა

ორგანიზაციის დასახელება: **საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი**

მთავარი მკვლევარი: **თამარ მახარაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

ინფორმირებული თანხმობა შედგება ორი ნაწილისაგან:

- **საინფორმაციო ფურცელი (რომელშიც მოწოდებულია ინფორმაცია კვლევის შესახებ)**
- **თანხმობის ფორმა (ხელმოწერებისათვის, თუ თქვენ თანახმა ხართ კვლევაში მონაწილეობაზე)**

ინფორმირებული თანხმობის სრული ფორმის ერთი ასლი თქვენ გადმოგეცემათ.

ნაწილი I: საინფორმაციო ფურცელი

შესავალი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ატარებს კვლევას ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესახებ. კვლევა ტარდება პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით.

კვლევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის მენეჯერს/აქტივობის ლიდერს ზურაბ ტატანაშვილს. საკონტაქტო ინფორომაცია: ელ:ფოსტა: ztatanashvili@csrdg.ge ტელეფონი: +995 598 935 250 ან მიაკითხოთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს მისამართზე: თბილისი, დელისის I შესახვევი, 5ა.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

მიზანი

კვლევის მიზანია შევისწავლოთ შეისწავლიან ქედის მუნიციპალიტეტის საჭიროებები, კერძოდ:

- ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქედაში არსებული ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები;
- ორგანიზაციული განვითარების ხარისხი (თვითმმართველობების ორგანოების არსებობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფორმალური და არაფორმალური სათემო ჯგუფები, თემის მობილიზების და განვითარების გამოცდილება და ა.შ.);
- ადგილობრივი ინტერესები და ინტერესის ჯგუფები.

კვლევაში მონაწილე პირების (კვლევის სუბიექტების) შერჩევა

კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და ინტერესების მქონე ქალები და მამაკაცები. კვლევაში მონაწილეობას იღებენ რესპონდენტები ქედის მუნიციპალიტეტის ცხრავე ადმინისტრაციული ერთეულიდან. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩნენ ისინი, ვინც აქტიურად მონაწილეობს სოფლის/რაიონის ცხოვრებაში და ინფორმირებულია მისი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ.

ნებაყოფლობითი მონაწილეობა

კველვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მონაწილეს კვლევის ნებისმიერ მომენტში შეუძლია შეწყვიტოს ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობაზე უარი არვითარი ფორმით არ აისახება მონაწილის შემდგომ პროფესიულ საქმიანობაზე ან პირად ცხოვრებაზე.

პროცედურები და პროტოკოლი

მონაწილეობა სიღრმისეულ ინტერვიუში: მონაწილეს უკავშირდება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრი და უთანხმდება კვლევაში მონაწილეობაზე. მკვლევართან შეხვედრა ინიშნება რესპონდენტისთვის სასურველ დროსა და ადგილზე. შეხვედრა არის ერთჯერადი. ინტერვიუ გასტანს 20–30 წთ.

მონაწილეობა ფოკუსჯგუფში: მონაწილეს უკავშირდება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრი და უთანხმდება კვლევაში მონაწილეობაზე. დასტურის შემთხვევაში, ატყობინებს ფოკუსჯგუფის ჩატარების ადგილსა და დროს. ფოკუსჯგუფი გასტანს 45–60 წთ.

გამოყენებული პროცედურები, მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: ნახევრადსტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ და ფოკუსჯგუფი

ხანგრძლივობა

კვლევაში მონაწილეობა არის ერთჯერადი. ინტერვიუში მონაწილეობა გულისხმობს 20–30 წუთს, ხოლო ფოკუსჯგუფში მონაწილეობა – 45–60 წუთს.

გვერდითი/არასასურველი ეფექტები

თეორიულად ასეთის არსებობა არ არის გათვალისწინებული.

რისკი

კვლევაში მონაწილეობა მონაწილისთვის არავითარ რისკთან არ არის დაკავშირებული.

დისკომფორტი

თეორიულად ასეთის არსებობა არ არის გათვალისწინებული.

სარგებლობა

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ქედის მუნიციპალიტეტის შემდგომ განავითარებას, რაც სარგებლობის მომტანია მისი მოსახლობისთვის, მათ შორის კვლევის მონაწილეებისთვის.

კონფიდენციალურობა

ფოკუსჯგუფისა და ინტერვიუს აუდიოჩანაწერები და მათი ტრანსკრიპტები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მთავარი მკლევარისთვის (კვლევის ხელმძღვანელისთვის). კვლევის დასრულების შემდეგ შენახული იქნება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითრების ცენტრის ოფისში, ჩაკეტილ კარადაში. კვლევის ანგარიშში გამოყენებული ციტატებით შეუძლებელი იქნება ავტორის ამოცნობა.

ინფორმაციის გაზიარება

კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან შეხვედრისას. ასევე, გაშუქდება ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით.

უარის გაცხადების უფლება

კვლევის მონაწილეებს ნათლად მიეწოდებათ ინფორმაცია, რომ კვლევაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და ნებისმიერ დროს შეუძლიათ უარი თქვან კვლევაში მონაწილეობაზე. ასევე, ნათლად განემარტებათ, რომ კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა არავითარი ფორმით არ აისახება მათ პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

კვლევის მონაწილეებს განემარტებათ, რომ ნებმისმიერი კითხვის შემთხვევაში, შეუძლიათ დაუკავშირდენ პროექტის მენეჯერს/აქტივობის ლიდერს. მონაწილეებს მიეწოდებათ მისი საკონტაქტო ინფორმაცია.

ნაწილი II: თანხმობის ფურცელი

მე მონაწილეობას ვიღებ კვლევაში, რომლის მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების შესწავლა. მივიღე დეტალური ინფორმაცია კვლევის შესახებ, ასევე, მივიღე პროექტის მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება მივმართო ნებისმიერი კითხვით და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით.

გავეცანი, ჩემთვის მოწოდებულ ინფორმაციას (ან წამიკითხეს ინფორმაცია) კვლევის შესახებ და მასში ჩემი შესაძლო მონაწილეობის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე. მქონდა შესაძლებლობა დამესვა ჩემთვის მნიშვნელოვანი კითხვები და ყველა კითხვაზე მივიღე გასაგები პასუხი. ნებაყოფლობით ვაცხადებ თანხმობას მოცემულ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე და გაცნობიერებული მაქვს, რომ ნებისმიერ ეტაპზე ჩემი სურვილისამებრ შემიძლია გამოვეთიშო კვლევას, რაც გავლენას არ მოახდენს ჩემთვის სამედიცინო მომსახურების გაწევაზე.

მონაწილის სახელი და გვარი _____

მონაწილის ხელმოწერა _____

თარიღი _____

კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირი დეტალურად გაეცნო ინფორმირებული თანხმობის ფორმას, მას ჰქონდა შესაძლებლობა დაესვა კითხვები. ვადასტურებ, რომ მან ნებაყოფლობით განაცხადა თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე.

მკვლევარის სახელი და გვარი _____

მკვლევარის ხელმოწერა _____

თარიღი _____

თანხმობის ფორმის ერთი ასლი გადაეცა კვლევის სუბიექტს ----------

(მკვლევარის ხელმოწერა)